დანართი №2

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

სსიპ თამარ მეფის სახელობის წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ გეგუთის #1 საჯარო სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ლანა ყურაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი)

წევრები:

სოფიო ბურჯანაძე - (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
ლია ბოგვერაძე - (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზაზა მანია - (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზურაბ ურიადმყოფელი - (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
სალომე არაბიძე - (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თეა ღვინიანიძე - (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
სოფიო ხვადაგიანი - (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თეონა აბრამიშვილი - (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ნადია უშიკიშვილი - (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ნინო ჭიჭინაძე - (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ თამარ მეფის სახელობის წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ გეგუთის #1 საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	221294711

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	წყალტუბო, სოფელი გეგუთი
იურიდიული მისამართი	წყალტუბო, სოფელი გეგუთი
ფაქტობრივი მისამართი	წყალტუბო, სოფელი გეგუთი
საფოსტო ინდექსი	5400
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	სკოლების პორტალი - ემის.გე
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	Geguti1@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	577964437

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	28/07/2023 MES 9 23 0000939233
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	24-25 აგვისტო, 2023 წელი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	**ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება**	**ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური**	**ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა**	**ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის** (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	ქართული	წყალტუბოს მუნიციპალიტეტი, სოფელი გეგუთი
	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	ქართული	წყალტუბოს მუნიციპალიტეტი, სოფელი გეგუთი
	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	ქართული	წყალტუბოს მუნიციპალიტეტი, სოფელი გეგუთი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ბრძანებით განსაზღვრულმა ექსპერტთა ჯგუფმა, ვიზიტის დაწყებამდე შეისწავლა სკოლის თვითშეფასება და თანდართული დოკუმენტაცია. გამართა ექსპერტთა ჯგუფის სამუშაო შეხვედრები, განიხილა ვიზიტის საორგანიზაციო საკითხები, შეიმუშავა დღის წესრიგი და წარმოების ფარგლებში დამატებით გამოსათხოვი დოკუმენტაციის ნუსხა, რომელიც დაწესებულებას გაეგზავნა წინასწარ.

სსიპ თამარ მეფის სახელობის წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ გეგუთის #1 საჯარო სკოლაში განხორციელებული ჰიბრიდული ვიზიტის ფარგლებში ადგილზე, სკოლაში, იმყოფებოდა ექსპერტთა ჯგუფის 3 წევრი. თავმჯდომარე, ექსპერტი ხარისხის მიმართულებით და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი. ვიზიტი წარიმართა წინასწარ გათვალისწინებული დღის რეჟიმის შესაბამისად, მშვიდ და საქმიან გარემოში. ექსპერტთა ჯგუფმა ვიზიტის ფარგლებში შეამოწმა სკოლის მიერ შემუშავებული სკოლის ფილოსოფია (შემუშავების, გაზიარების, გასაჯაროების და მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები), განსახორციელებელი ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები, სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერისა და მოსწავლეთა მხარდაჭერის მიმართულებით სკოლის მიერ დაგეგმილი საქმიანობა. დაათვალიერა კურიკულუმთან მიმართებაში დაწესებულების სასწავლო გარემო, საგანმანათლებლო და მატერიალური რესურსები, შეამოწმა სკოლის ბიბლიოთეკა და ლაბორატორიები. გაესაუბრა სკოლის წარმომადგენლებს: ადმინისტრაციას, მასწავლებლებს (კათედრების მიხედვით). ზემოთაღნიშნულის საფუძველზე მომზადდა შესაბამისი დასკვნის პროექტი.

ექსპერტების მიერ, წარმოების ფარგლებში შესწავლილი დოკუმენტების ანალიზისა და ინტერვიუების შედეგად დანახული მიგნებები გაცნობილი იქნა დაწესებულების წარმომადგენლებისთვის ვიზიტის დასასრულს.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება მოქმედ საჯარო სკოლაზე/პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტრიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	**☒ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	**☒ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

	☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	**☒ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
კომპონენტი 4.1	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: 550	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	აღწერა *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. ექსპერტთა ჯგუფის შეფასება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამასთან/პროგრამებთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფმა სრულ და მეტწილ შესაბამისად შეაფასა შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები:

დაწყებითი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა, საბაზო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა, საშუალო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

IV. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*ხარვეზი*
ინდიკატორი N....		.....
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*ხარვეზი*
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)	*ხარვეზი*
ინდიკატორი N....		.....

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

V. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგანსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)[1]

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		.....
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	
ინდიკატორი N...		.....
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი	*სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია*

[1] გარდა მეორე სტანდარტის ნაილზივი შესაბამისობისა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

	(ასახეთ კურიკულუმის დასახელება)	
ინდიკატორი N....		.....

VI. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*რჩევა*
ინდიკატორი N....		.....
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*რჩევა*
ინდიკატორი N3.4.1.1.	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას	სკოლამ აიყვანოს სერტიფიცირებული შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი სკოლამ საბუნებისმეტყველო ლაბორატორიაში უზრუნველყოს ამწოვი კარადის დამონტაჟება, ცდების ჩასატარებელი მაგიდის ზედაპირის დაცულობა ცეცხლგამძლე ზედაპირით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორი N3.4.1.5.	სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას	სკოლასა და მშობელს შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაში დაემატოს მუხლი მოსწავლის პერსონალური მონაცემების გამოყენების შესახებ.
სტანდარტი N4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	***რჩევა***
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** **დაწყებითი საფეხური**	***რჩევა***
ინდიკატორი 2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;	მასწავლებლებმა მომავალი სასწავლო წლიდან ისე დაგეგმონ სასწავლო პროცესი, რომ მეტი აქცენტი გააკეთონ თემის ფარგლებში უფრო მეტი კომპლექსური ბუნების დავალების განხორციელებაზე ყველა სამიზნე ცნების გააქტიურებით.
სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** **საბაზო საფეხური**	***რჩევა***
ინდიკატორი 2.3.2.3	შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;	სკოლას მიეცა რჩევა, რომ დახვეწოს და გააუმჯობესოს კლასის დამრიგებელთა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

		მიერ ჩატარებული სადამრიგებლო საათების ამსახველი დოკუმენტაცია.
სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი საშუალო საფეხური	*რჩევა*
ინდიკატორი 2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;	მასწავლებლებმა მომავალი სასწავლო წლიდან ისე დაგეგმონ სასწავლო პროცესი, რომ მეტი აქცენტი გააკეთონ თემის ფარგლებში უფრო მეტი კომპლექსური ბუნების დავალების განხორციელებაზე ყველა სამიზნე ცნების გააქტიურებით.

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VIII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

სკოლამ გაიზიარა დასკვნის პროექტში წარმოდგენილი ფაქტობრივი გარემოებები, შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფი იზიარებს სკოლის მიერ წარმოდგენილ პოზიციას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;
2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;
3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;
4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;

სკოლის მისია და ხედვა პასუხობს ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს. მისიისა და ხედვის განაცხადით სკოლა აქცენტს აკეთებს უწყვეტ განვითარებაზე, რომელიც ფორმალური, არაფორმალური და სამეწარმეო განათლების ხელშეწყობით გრძელვადიან მიზანზეა ორიენტირებული და ამზადებს თავისუფალ, კონკურენტუნარიან და 21-ე საუკუნის უნარ-ჩვევებით აღჭურვილ მოსწავლეებს პროფესიული და უმაღლესი განათლების მისაღებად. მისიიისა და ხედვის განაცხადი ორიენტირებულია სწავლა-სწავლების თანამედროვე პარადიგმაზე, მოსწავლეზე ორიენტირებულ სასწავლო გარემოზე, სადაც თითოეულ მოსწავლეს ეძლევა საკუთარი შესაძლებლობების გამოვლენისა და მაქსიმალური რეალიზების საშუალება. იგი ჰპირდება სასკოლო საზოგადოებას ეროვნული ღირებულებების მატარებელი და ტოლერანტი თაობის აღზრდას, რომ მოსწავლეები ხარისხიანი განათლების მიღებით შეძლებენ საკუთარი პოტენციალის რეალიზებას, რომლითაც თავის წვლილს შეიტანენ როგორც ქვეყნის და ასევე მსოფლიოს მასშტაბით საზოგადო სიკეთის შექმნის საკითხში.

ექსპერტთა ჯგუფმა ინდიკატორი შეაფასა შესაბამისად

2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

სკოლა საკუთარ თავს განიხილავს, როგორც სოციო-კულტურულ სივრცეს, სადაც მაღალია მიკუთვნებულობის განცდა და სკოლის საქმიანობა ეფუძნება თანამშრომლობის, თანასწორობის, სკოლისადმი ერთგულების ღირებულებებს. სკოლას ჩამოყალიბებული აქვს სამუშაო პრინციპები, რომელზეც თანხმდება სასკოლო საზოგადოება. აღნიშნული განაცხადი არის სტრატეგიული გეგმის ნაწილი და წარმოდგენილია შემდეგი ფორმულირებით: „ჩვენთვის მნიშვნელოვანია“ - პროფესიონალიზმი, საქმის სიყვარული, სკოლისადმი ერთგულება, კეთილსინდისიერება, კოლეგიალობა, გუნდურობა, პროფესიულ განვითარებაზე ორიენტირება, საზოგადოებრივი სარგებლის შექმნის მნიშვნელობა. წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება სასკოლო საზოგადოების და თემის ჩართულობა დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში, ასევე რისკების ანალიზის, გარემო ფაქტორების ანალიზისა და SWOT ანალიზის, დაინტერესებული მხარეების ანალიზის ნაწილში ნათლად ჩანს, რომ დეტალურად არის შესწავლილი თემის საჭიროებები, რომელიც გათვალისწინებულია სტრატეგიულ გეგმაში.

ექსპერტთა ჯგუფმა ინდიკატორი შეაფასა შესაბამისად

3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;

სკოლას შემუშავებული აქვს სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია, სადაც გათვალისწინებულია მისიისა და ხედვის სასკოლო საზოგადოებასთან გაზიარებისა და უკუკავშირის მიღების მექანიზმი. სკოლას შესწავლილი აქვს სასკოლო საზოგადოების - მასწავლებლები, მოსწავლეები, მშობლები ხედვა სკოლის საჭიროებებთან და გადაჭრის გზებთან, პრიორიტეტულ საკითხებთან დაკავშირებით, ასევე ჩატარებულია მშობელთა ფოკუს ჯგუფებთან შეხვედრები. შედეგად განხორციელდა სკოლის მისიისა და ხედვის ახლებური ფორმულირება, რომელიც დეკლარირებულია სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმაში და განხილულია როგორც სამეურვეო საბჭოს, ასევე პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე. სკოლის დირექტორის ბრძანებით შექმნილია სტრატეგიული განვითარების ჯგუფი, რომელსაც დაევალა, ემოქმედა სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის საფუძველზე, რომელშიც მოცემულია დაგეგმვის ჯგუფის მიერ მისიის განაცხადის რევიზიის და ხედვის ფორმირების საკითხები. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავდა ჯგუფის წევრთა ჩართულობით, ჯგუფი შედგებოდა სკოლის დირექციის და სხვადასხვა კათედრის წარმომადგენლებისგან. ჯგუფმა უზრუნველყო სასკოლო საზოგადოების ჩართულობა მისია, ხედვა, ღირებულებების სამუშაო ვერსიის გაცნობა-გაზიარების საშუალებით, რომელიც დასტურდება ჯგუფის სხდომის ოქმით.

ექსპერტთა ჯგუფმა ინდიკატორი შეაფასა შესაბამისად

4. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;**

სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიაში მოცემულია მისიასა და ხედვის გასაჯაროვების და სასკოლო საზოგადოების მხრიდან უკუკავშირის მიღების საკითხი. მისიის, ხედვის და ღირებულებების სამუშაო ვერსია **ხელმისაწვდომი** იყო სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის, განხორციელდა მისი დაინტერესებული პირებისთვის მიწოდება. დირექტორმა მშობლებს, მასწავლებლებსა და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

მოსწავლეებს მიაწოდა მისია, ხედვა, ღირებულებების სამუშაო ვერსია, განხორციელდა მისი განხილვა, უკუკავშირის მიღება და საბოლოო ვერსიაში გათვალისწინება. აღნიშნული დასტურდება სტრატეგიული განვითარების ჯგუფის 2023 წლის 25 მაისის #1 სხდომის ოქმით. სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმაში დეკლარირებული პრინციპებით დეკლარირებულია სასკოლო საზოგადოებაში „ჩვენ" ცნების მნიშვნელობა, გაცხადებულია სკოლაში არსებული მაღალი მიკუთვნებულობის განცდის არსებობა, სადაც გადაწყვეტილებები მიიღება **კონსენსუსის,** აზრთა ურთიერთშეჯერების საფუძველზე.

ექსპერტთა ჯგუფმა ინდიკატორი შეაფასა შესაბამისად

5. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;**

სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გასაჯაროვებულია სკოლის ვებ-გვერდზე. ასევე, დოკუმენტი განთვსებულია სკოლის საინფორმაციო დაფაზე, შენობაში თვალსაჩინო ადგილას. მისია, ხედვა და ღირებულებები დეკლარირებულია სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმაში, სკოლის მისია დეკლარირებულია სასკოლო სასწავლო გეგმაში.

ექსპერტთა ჯგუფმა ინდიკატორი შეაფასა შესაბამისად

6. **სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.**

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება შეესაბამება კანონმდებლობით განსაზღვრულ სახელს. დაწესებულება თავის საქმიანობას ახორციელებს ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად და მოიცავს ზოგადი განათლების სამ საფეხურს. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 23 აგვისტოს #74/ნ ბრძანებით განსაზღვრულია სსიპ-წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ გეგუთის #1 საჯარო სკოლისათვის თამარ მეფის სახელის მინიჭების საკითხი. აღნიშნული ბრძანების საფუძველზე სკოლის დასახელება ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: თამარ მეფის სახელობის წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ გეგუთის #1 საჯარო სკოლა.

ექსპერტთა ჯგუფმა ინდიკატორი შეაფასა შესაბამისად

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სტრატეგიული განვითარების გეგმა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

- სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია;
- ბრძანება სტრატეგიული განვითარების ჯგუფის შექმნის შესახებ;
- სამეურვეო საბჭოს ოქმი;
- პედაგოგიური საბჭოს ოქმი;
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 23 აგვისტოს #74/ნ ბრძანებით განსაზღვრულია სსიპ-წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ გეგუთის #1 საჯარო სკოლისათვის თამარ მეფის სახელის მინიჭებისა და ზოგასაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის #448 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ;
- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან საკადასტრო კოდი 29.14.37.030
- სკოლის ვებგვერდი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;
2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;
3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;**

სკოლას შემუშავებული აქვს სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის დოკუმენტი, რომელშიც გაწერილია სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების საკითხები. სტრატეგიული დაგეგმვის პროცესის ინიცირების ფაზაში ხდება სტრატეგიული დაგეგმვის ჯგუფის ფორმირება, რომელიც პასუხისმგებელია როგორც სტრატეგიული გეგმის პროექტის შემუშავებაზე, ასევე პროცესში სკოლის ფართო საზოგადოების ჩართვაზე. დოკუმენტით გათვალისწინებულია SWOT ანალიზი, სკოლის ძლიერი და სუსტი მხარეების ანალიზი, ორგანიზაციული შესაძლებლობებისა და საფრთხეების ანალიზი, რომლის საფუძველზეც ჯგუფი განსაზღვრავს სტრატეგიულ პრიორიტეტულ საკითხებს. სტრატეგიული გეგმის განხილვის მიზნით დაგეგმვის ჯგუფი სასკოლო საზოგადოების წინაშე ატარებს ღია პრეზენტაციას, რომელსაც ესწრება სასკოლო საზოგადოების ყველა დაინტერესებული პირი და მოწვეული ორგანიზაციები. სტრატეგიული დაგეგმვის პროცესი შედგება შემდეგი ფაზებისგან: ინიცირების ფაზა, მომზადება და განხილვების ფაზა, დამტკიცების ფაზა, გადახედვის ფაზა.

სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავებაზე პასუხისმგებელია სამუშაო ჯგუფი, რომელსაც ხელმძღვანელობს სკოლის დირექტორი.

მეთოდოლოგიაში განსაზღვრულია ცვლილების/გადახედვის შესაძლებლობა, რომელიც შესაძლოა, განხორციელდეს გარე თუ შიდა ფაქტორების წარმოჩენის შემთხვევაში, რომელიც გავლენას ახდენს სკოლის განვითარებაზე და საჭიროებს სტრატეგიულ რეაგირებას. დოკუმენტი მოიცავს ინფორმაციას, რომ სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგი ხორციელდება შესაბამისი მექანიზმის გამოყენებით.

დოკუმენტში განსაზღვრულია, რომ დაგეგმვის ჯგუფის მიერ საბოლოოდ მოწონებული სტრატეგიული გეგმის პროექტი განიხილება პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე და დასამტკიცებლად წარედგინება სკოლის სამეურვეო საბჭოს. დამტკიცების შემდეგ გეგმა საჯაროდ ქვეყნდება სკოლის საინფორმაციო სივრცეში.

ექსპერტთა ჯგუფმა ინდიკატორი შეაფასა შესაბამისად

2. **სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

სკოლას შემუშავებული აქვს სტრატეგიული განვითარების გეგმა შვიდ წელზე. სტრატეგიული გეგმა არის ციკლური და იგი 2023-2030 წლებს მოიცავს. სტრატეგიული გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისია, ხედვა, ღირებულებებიდან და განსაზღვრული სტრატეგიული მიმართულებები: 1.განათლების ხარისხის უწყვეტი გაუმჯობესება; 2. სკოლის ორგანიზაციული განვითარება; 2. არაფორმალური, სამეწარმეო და პროფესიული განათლების განვითარების ხელშეწყობა. აღნიშნული მიმართულებები თავის მხრივ მოიცავს შემდეგ სტრატეგიულ მიზნებს: სწავლა-სწავლების ხრისხისა და მოსწავლეების შედეგების გაუმჯობესება, პერსონალის პროფესიული განვითარება, სასწავლო პროცესის მართვა, სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმის საფუძველზე ყოველწლიური სამოქმედო გეგმის შემუშავება/განვითარება, ადამიანური რესურსების მართვა, ანგარიშვალდებულების წარმოება, მატერიალური რესურსების მართვა, მოსწავლეთა საჭიროებების კვლევა-ანალიზი, სასკოლო პროექტები, კლუბები, წრეები, ეროვნულ და საერთაშორისო კონკურსებში მონაწილეობა, სამეწარმეო და პროფესიული მიმართულებით სხვადასხვა ვიზიტები, მუშაობის მონიტორინგი, შეფასება, ანგარიში. წარმოდგენილი სტრატეგიული მიზნები გაწერილია ამოცანებად და ქვეამოცანებად, რომელიც მიმართულია სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებებით გათვალისწინებული განაცხადის განხორციელებისთვის.

ექსპერტთა ჯგუფმა ინდიკატორი შეაფასა შესაბამისად

3. **სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;**

სკოლას წარმოდგენილი აქვს 2023-2024 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა, რომელიც დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოს მიერ. სკოლას განხორციელებული აქვს საჭიროებების კვლევა, რომლითაც შესწავლილია მასწავლებლების, მშობლებისა და მოსწავლეების შეხედულებები სკოლის ძლიერ მხარეებზე, გამოწვევებზე, პრობლემების გადაჭრის გზებზე. სამოქმედო გეგმა ეფუძნება სკოლის წინა სასწავლო წლის საქმიანობის შეფასების შედეგებს, რომელიც განხილულია პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე, ასევე სამეურვეო საბჭოს სხდომაზე წარმოდგენილი საჭიროებების კვლევის ანალიზზე.

ექსპერტთა ჯგუფმა ინდიკატორი შეაფასა შესაბამისად

4. **სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.**

სკოლის 2023-2024 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა მოიცავს სტრატეგიულ მიზნებს, ამოცანებს და შესაბამის აქტივობებს, გაწერილია შესრულების ინდიკატორები, ვადები, გადამოწმების წყაროები, განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირები და სტრუქტურული ერთეულები, რესურსები, ჩართული მხარეები და რისკები.

ექსპერტთა ჯგუფმა ინდიკატორი შეაფასა შესაბამისად

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია
- სტრატეგიული განვითარების გეგმა 2023-2030
- სამოქმედო გეგმა 2023-2024
- სკოლის საჭიროებების კვლევის ანალიზი
- პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმი
- სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი
- სკოლის დირექტორის მ/შ 2023 წლის 25 აგვისტოს ბრძანება #2-145.

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;
2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;
3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა;
4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;
სკოლას სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიაში გაწერილია, რომ სტრატეგიული გეგმით გათვალისწინებული მიმართულებების შესრულება ფასდება ყოველწლიურად, რომელსაც ატარებს სტრატეგიული დაგეგმვის ჯგუფი. მიგნებები და დასკვნები გამოიყენება სამოქმედო გეგმის შედგენის პროცესში, ასევე შესაძლებელია, ცვლილებები განხორციელდეს სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებში. ინიცირებას ახდენს დირექტორი. მიმოხილვის პროცესი მიმდინარეობს დაგეგმვის პროცესის მსგავსად. ჯგუფი უფლებამოსილია, გამართოს საკონსულტაციო შეხვედრები და მოამზადოს შეფასების ანგარიში. სამოქმედო გეგმის მონიტორინგი ხორციელდება სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგის მექანიზმის გამოყენებით. სკოლას შემუშავებული აქვს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია, სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ხარისხის უზრუნველყოფის ხელშემწყობი მექანიზმი, რომელიც მოიცავს სასკოლო საქმიანობის მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს. სკოლას შემუშავებული აქვს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია - სკოლის დირექტორის 2023 წლის 5 ივლისის ბრძანება #2-124 დანართი 6. სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი - სკოლის დირექტორის 20223 წლის 5 ივლისის ბრძანება #2-124 დანართი 8; ხარისხის უზრუნველყოფის ხელშემწყობი მექანიზმი - სკოლის დირექტორის 20223 წლის 5 ივლისის ბრძანება #2-124 დანართი 8-ის დანართი 1.

ექსპერტთა ჯგუფმა ინდიკატორი შეაფასა შესაბამისად

2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;

სკოლას გაწერილი აქვს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგისა და შეფასების საკითხი მეთოდოლოგიაში.

მიმდინარე წარმოების ფარგლებში ინდიკატორი არაა შეფასებადი.

3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა;

სკოლის პრაქტიკაა, რომ დირექტორი ახდენს სკოლის საქმიანობის შესახებ ანგარიშს სამეურვეო საბჭოს წინაშე, როგორც სასწავლო, ასევე ფინანსური მიმართულებით. ასევე, სასწავლო წლის ბოლოს ხორციელდება პედაგოგიური საბჭოსა და სამეურვეო საბჭოს წინაშე სკოლის საქმიანობის შესახებ ანგარიშების წარდგენა.

მიმდინარე წარმოების ფარგლებში ინდიკატორი არაა შეფასებადი.

4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.

სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიით განსაზღვრულია, რომ სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები, მიგნებები და დასკვნები გამოიყენება სამოქმედო გეგმის შედგენის პროცესში, რაც ადასტურებს სკოლის შემდგომ განვითარებაზე ზრუნვას.

მიმდინარე წარმოების ფარგლებში ინდიკატორი არაა შეფასებადი.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

- სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია
- სკოლის დირექტორის ანგარიში სამეურვეო საბჭოს.
- პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმი
- სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი
- ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია - სკოლის დირექტორის 2023 წლის 5 ივლისის ბრძანება #2-124 დანართი 6.
- სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი - სკოლის დირექტორის 20223 წლის 5 ივლისის ბრძანება #2-124 დანართი 8;
- ხარისხის უზრუნველყოფის ხელშემწყობი მექანიზმი - სკოლის დირექტორის 20223 წლის 5 ივლისის ბრძანება #2-124 დანართი 8-ის დანართი 1.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;

სკოლას წარმოდგენილი აქვს სქემატურად გამოსახული სკოლის სტრუქტურა, რომელიც შესაბამისობაშია სკოლის წესდებით განსაზღვრულ ორგანიზაციულ მოწყობასთან და აჩვენებს ურთიერთმიმართებას სტრუქტურული ერთეულებს/პირებს შორის.
სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები განსაზღვრულია სკოლის სტრუქტურული ერთეულების/პირები ფუნქციების აღმწერი დოკუმენტი, რომელიც დამტკიცებულია სკოლის დირექტორის 2023 წლის 5 ივლისის #2-124 ბრძანებით, სადაც გაწერილია დირექტორის, დირექტორის მოადგილის, ბუღალტრის, მასწავლებლის, სპეციალური მასწავლებლის, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორის, საქმისმწარმოებლის, საინფორმაციო მენეჯერის, ბიბლიოთეკარის, ექიმის, დარაჯის, დამლაგებლის, ცეცხლფარეშის ფუნქციები და ამავდროულად, აღნიშნულ დოკუმენტში გაწერილია სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები: კათედრები, პედაგოგიური საბჭო, სამეურვეო საბჭო, მოსწავლეთა თვითმმართველობა, დირექცია, დისციპლინური კომიტეტი.
სკოლაში წარმოდგენილია ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, რომელიც შექმნილია 2020 წლის 30 ნოემბრის #2-97 ბრძანებით და შემუშავებული აქვთ სამუშაო დებულება (დასტურდება ოქმით 2020 წლის 3 დეკემბრის #1 ოქმით).
ამავდროულად, ფუნქციები მკაფიოდ არის გაწერილი პერსონალთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში, რომლითაც დასტურდება პერსონალის მიერ საკუთარი ფუნქციების გაცნობის ფაქტი.
სკოლას შემუშავებული აქვს ბიბლიოთეკის დებულება, საქმისწარმოების წესი, ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი, სასკოლო სასწავლო გეგმა.

სკოლამ ვიზიტის პერიოდში წარმოადგინა პერსონალთან შეთანხმების ფორმის ნიმუში, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და რომლითაც დასაქმებული ადასტურებს, რომ გაეცნო სკოლის დირექტორის 2023 წლის 5 ივლისის #2-124 ბრძანებას სსიპ თამარ მეფის სახელობის წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ გეგუთის #1 საჯარო სკოლის მარეგულირებელი დოკუმენტების, ზოგიერთი წესისა და მექანიზმის დამტკიცების შესახებ“ დანართი 1 „სტრუქტურული ერთეულების პირების ფუნქციების აღწერა“.

ექსპერტთა ჯგუფმა ინდიკატორი შეაფასა შესაბამისად.

2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

სკოლის მიერ წარმოდგენილი ორგანიგრამის, სკოლის სტრუქტურული ერთეულების/პირები ფუნქციების აღმწერი დოკუმენტის, ხელშკრულებაში გაწერილი ფუნქციების, საშტატო განრიგის გათვალისწინებით და მართვის საინფორმაციო სისტემის მონაცემების (პერსონალის შესახებ) მიხედვით შეგვიძლია ვიმსჯელოთ, რომ სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციები და პასუხისმგებლობები განაწილებულია, არ ხდება ფუნქცია - მოვალეობების დუბლირება. სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

მთლიანობაში, სრულად მოიცავს ყველა იმ სფეროსა და არეალს, რომლებიც სკოლის ძირითად საქმიანობის შესრულებასა და მიზნებს უკავშირდება.
სტრატეგიული განვითარების გეგმით და სამოქმედო გეგმით დასტურდება საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებისთვის აუცილებელი ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების გადანაწილების საკითხი. სკოლაში წარმოდგენილია ანგარიშვალდებულების სისტემა (დირექტორის ანგარიში სამეურვეოს). სკოლას შემუშავებული აქვს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი, რომელიც არეგულირებს სკოლაში შესრულებული სამუშაოების მონიტორინგს და გამოიყენება 5 მიდგომა: რაოდენობრივი და ხარისხობრივი კვლევა, ექსპერტული შეფასება, საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვა, კომპლექსური შეფასება.

ექსპერტთა ჯგუფმა ინდიკატორი შეაფასა შესაბამისად.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის სტრუქტურა
- სკოლის სტრუქტურული ერთეულების/პირები ფუნქციების აღმწერი დოკუმენტი
- ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის შექმნის ბრძანება და სამუშაო დებულება
- პერსონალთან დადებული შრომითი ხელშეკრულებები და შეთანხმების ფორმები ფუნქციების აღმწერი დოკუმენტის გაცნობის შესახებ
- ბიბლიოთეკის დებულება
- საქმისწარმოების წესი
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი
- სასკოლო სასწავლო გეგმა.
- ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;
4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;**

პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის და სკოლის შიდამარეგულირებელი აქტების საშუალებით სკოლის შინაგანაწესით, პერსონალთან დადებული ხელშეკრულებებით, სკოლის წესდებით. სკოლას შემუშავებული აქვს პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც არეგულირებს თანამშრომლების შერჩევის, აყვანის, პროფესიული განვითარების, შეფასების, შრომის ანაზღაურების, წახალისების/ მოტივაციისა და განთავისუფლების სრულ პროცესებს. შინაგანაწესის გაცნობას სკოლის პერსონალი ადასტურებს სასწავლო წლის დასაწყისში შინაგანაწესის გაცნობაზე ხელმოწერებით. თუმცა, სკოლა გეგმავს, რომ სკოლასა და პერსონალის ხელშეკრულებებში დაემატოს მუხლი: შინაგანაწესის გაცნობის შესახებ.

ექსპერტთა ჯგუფმა ინდიკატორი შეაფასა შესაბამისად.

2. **სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;**

სკოლის შიდა ხარისხის მექანიზმისა და პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტით რეგულირდება საჭიროებების დადგენის გზები და საშუალებები, რომლითაც სკოლა ახდენს წინასწარ დაგეგმვას და განსაზღვრავს ადამიანური რესურსების მოთხოვნის საჭიროებას, რომელიც შესაძლოა დაკმაყოფილდეს შიდა როტაციის (ხდება გადამზადება, ფუნქციების დაკისრება, ახალ პოზიციაზე გადაყვანა), ახალი კადრების მიღების საკითხებს. ასევე სკოლას შემუშავებული აქვს მექანიზმი საჭიროებისამებრ დასაქმებულის არყოფნის შემთხვევაში, როგორ უზრუნველყოფს მისი ფუნქციების დელეგირებას სხვაზე. სკოლის პოლიტიკის დოკუმენტებით დასტურდება, რომ სკოლა ორიენტირებულია, შეფასება მოახდინოს განვითარებისთვის, წარმოდგენილია გაზიარებული პასუხისმგებლობა და გამართული ანგარიშვალდებულების სისტემა, გაზიარებული და აღიარებულია წარმატებული გამოცდილება და სკოლა ხელს უწყობს სიტუაციური ლიდერების წარმოქმნას, ხელშეწყობილია ავტონომიურობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ექსპერტთა ჯგუფმა ინდიკატორი შეაფასა შესაბამისად.

3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;

სკოლა მასწავლებლის შერჩევას, კადრების მოზიდვასა და დასაქმებას უზრუნველყოფს საქართველოს კანონმდებლობის და სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტის შესაბამისად. სკოლა თითოეული ვაკანსიის შემთხვევაში შეიმუშავებს კონკურსის ჩატარების წესს. სკოლის პედაგოგების შერჩევის მიზნით ვაკანსიის გამოცხადება ხდება, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს N174/ნ ბრძანებით დამტკიცებული „მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის“ დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად.

დაწესებულებამ წარმოადგინა კანონმდებლობის შესაბამისად მასწავლებლის, სპეციალური მასწავლებლის დასაქმების პროცესის ამსახველი ვაკანსიის გამოცხადების და გასაუბრების კომისიის ფორმირების ბრძანებები, გასუბრების ოქმები, გადაწყვეტილებები, შერჩევის კრიტერიუმები. რაც შეხება ადმინისტრაციულ პერსონალს, სკოლა შესაბამისი კადრის მოსაზიდად აკეთებს განაცხადს სკოლის სოციალურ ქსელში და დირექტორს აჰყავს გასაუბრებით.

ვიზიტის პროცესში გადამოწმდა პერსონალის პირადი საქმეები. პირადი საქმეების გადამოწმებისას აღმოჩნდა, რომ სკოლის პერსონალს წარმოდგენილი ჰქონდა ცნობები:

- ნასამართლობის შესახებ
- საქართვლოს კანონით ზოგადი განათლების შესახებ (მუხლი 33 [1] -ით პერსონალისათვის დადგენილი შეზღუდვა) განსაზღვრული ცნობა „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“
- საქართველოს მთავრობის №463 დადგენილებით განსაზღვრული ცნობა „უფლების ჩამორთმევის შესახებ“. (იმ პერსონალის შემთხვევაში, რომელიც მიღებულია სკოლაში 2020 წლის ივლისის შემდგომ პერიოდში)

ექსპერტთა ჯგუფმა ინდიკატორი შეაფასა შესაბამისად.

4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;

სკოლაში საგანმანათლებლო საქმიანობას ეწევა 23 მასწავლებელი, ამათგან 4- მენტორი, 11 - წამყვანი და 5 უფროსი მასწავლებელი, 1 სპეციალური მასწავლებელი, 1 - მტუკი, 3 - დამლაგებელი, 2- დარაჯი, 1- საქმისმწარმოებელი, 1- ბიბლიოთეკარი, 1 ბუღალტერი, 1 საინფორმაციო მენეჯერი, 1 ცეცხლფარეში (სეზონურად) , 1 დირექტორის მოადგილე, 1 - ექიმი.

სკოლას შემუშავებული აქვს საკვალიფიკაციო მოთხოვნების დოკუმენტი, სადაც გაწერილია სკოლის პერსონალისადმი არსებული მოთხოვნები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

მასწავლებლებთან გაფორმებულია სტატუსის შესაბამისი ხელშეკრულებები. პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულებები შესაბამისობაშია საქართველოს ორგანულ კანონთან, საქართველოს შრომის კოდექსის მოთხოვნებთან.
ექსპერტთა ჯგუფმა გადაამოწმა პირად საქმეში წარმოდგენილი პერსონალის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია და დაადგინა, რომ პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას.

ექსპერტთა ჯგუფმა ინდიკატორი შეაფასა შესაბამისად.

5. **პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;**

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები, რომელიც ასახავს სკოლაში მიმდინარე პროცესებს: სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის შემუშავება, მისია, ხედვა, ღირებულებებისა და სტრატეგიულლი და სამოქმედო გეგმების შემუშავება, მასწავლებლის შერჩევის პროცედურა, კათედრების, სამეურვეო საბჭოს, პედაგოგიური საბჭოს, მრჩეველთა საბჭოს სხდომის ოქმები, ამტკიცებს, რომ სკოლაში დამკვიდრებულია მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპები.

ექსპერტთა ჯგუფმა ინდიკატორი შეაფასა შესაბამისად.

6. **სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.**

სკოლის შინაგანაწესიდან და ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტიდან იკითხება, რომ შეფასების შედეგებზე დაფუძნებით სკოლა ახდენს მასწავლებელთა წარმატებული გამოცდილების აღიარებას და ითვალისწინებს წახალისების მექანიზმებს, როგორიცაა: მადლობის სიგელი. წარმატებული გამოცდილების გაზიარება ხორციელდება სკოლის სოციალურ გვერდზე ინფორმაციის განთავსებით, კათედრის სხდომებზე და პედაგოგიურ საბჭოზე.

ექსპერტთა ჯგუფმა ინდიკატორი შეაფასა შესაბამისად.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი;
- სკოლის შინაგანაწესი;
- სკოლის წესდება;
- პერსონალთან დადებული ხელშეკრულებები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

- ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია;
- ვაკანსიის გამოცხადების და გასაუბრების კომისიის ფორმირების ბრძანებები, გასუბრების ოქმები, შერჩევის კრიტერიუმები;
- პირადი საქმეები;
- საკვალიფიკაციო მოთხოვნების დოკუმენტი;
- სამუშაო ჯგუფების, კომისიების, სტრუქტურული ერთეულების სხდომის ოქმები.

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. სკოლას აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;

სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტით განსაზღვრულია თანამშრომელთა საქმიანობის, მიღწევების და კონკრეტული პროფესიული კვალიფიკაციისა და პროფესიული უნარ-ჩვევების შეფასება. სკოლის თანამშრომელთა შესაფასებლად გამოიყენება შემდეგი პროცედურები: სკოლის პედაგოგების შეფასება, საგაკვეთილო პროცესზე ურთიერთდასწრება, ადმინისტრაციული/ დამხმარე პერსონალის შეფასება, ასევე სკოლის პედაგოგების, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის კმაყოფილების შეფასება. სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტში გაწერილია ადმინისტრაციული/დამხმარე პერსონალის შეფასების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

საკითხი, მოთხოვნები, შეფასების კრიტერიუმები, რეაგირებების მექანიზმი. დოკუმენტს თან ერთვის გაკვეთილზე ურთიერთდასწრების ფორმა და ადმინისტრაციული პერსონალის შეფასების გამოკითხვის ფორმა.
ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდამჭერი ჯგუფი ახდენს სკოლაში მასწავლებელთა პროფესიული საჭიროებათა დადგენას. სკოლა ხელმძღვანელობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფციით.

ექსპერტთა ჯგუფმა ინდიკატორი შეაფასა შესაბამისად.

2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;

ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტის მიხედვით, ასევე ხარისხის ჯგუფის მიერ გაკეთებული შედეგების ანალიზის, კათედრების სემესტრული ანგარიშების და ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფციის საფუძველზე ჩატარებულლი კვლევებისა და მონიტორინგის შედეგად გამოვლენილი საჭიროებებს სკოლა პასუხობს სხვადასხვა შეთავაზებებით, როგორიცაა: პროფესიული განვითარების ტრენინგებსა და საკონსულტაციო შეხვედრებს, პროექტებში მონაწილეობა და სხვადასხვა სამთავრობო/არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ სკოლასთან თანამშრომლობით დაგეგმილ ტრენინგებზე, სემინარებსა და სამუშაო შეხვედრებში მონაწილეობას.
ადამიანური რესურსის განვითარების საკითხი სკოლას გაწერილი აქვს სტრატეგიული განვითარების და შესაბამისად ერთწლიან გეგმაში.

ექსპერტთა ჯგუფმა ინდიკატორი შეაფასა შესაბამისად.

3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;

სკოლა ხელს უწყობს პერსონალის და მათ შორის მასწავლებელთა კარიერულ ზრდას. სკოლაში მოქმედი კრიტიკული მეგობრის ინსტიტუტი და კათედრის შიგნით მასწავლებელთა თანამშრომლობა, პროფსიული დიალოგი ხელს უწყობს თითოეულ მათგანს პროფესიულ დაოსტატებაში და შესაბამისად სტატუსის მოპოვებაში/ამაღლებაში. მიმდინარე პერიოდში სკოლას 1 პედაგოგი ჰყავს წარდგენილი მენტორი მასწავლებლის სტატუსზე.
სკოლას აქვს ხარისხის მართვის პოლიტიკა, ხარისხის ჯგუფი, რომელიც უზრუნველყოფს სკოლის ბაზაზე მასწვლებელთა პროფესიულ განვითარებას. რომ მასწავლებლის ვალდებულებები კანონმდებლობის შესაბამისად იქნეს დაცული ტრენინგები, წარმოდგენილია თანამშრომლობითი გარემო და კრიტიკული მეგობრის ინსტიტუტი.

ექსპერტთა ჯგუფმა ინდიკატორი შეაფასა შესაბამისად.

4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

სკოლას შემუშავებული აქვს ახალდანიშნული თანამშრომლის ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმების გზამკვლევი. სკოლის დირექტორის 2023 წლის 5 ივლისის 2-124 ბრძანება დანართი 3. სკოლა იღებს ვალდებულებას, ახალდანიშნულ თანამშრომელს გააცნოს სკოლის ფილოსოფია, შინაგანაწესის მოთხოვნები და სკოლაში მოქმედი პროცედურები და წესები. უშუალო ხელმძღვანელი (ადმინისტრაციის შემთხვევაში) და კათედრის ხელმძღვანელი (მასწავლებლის შემთხვევაში) ახალ თანამშრომელს აცნობს თანამდებობრივ ინსტრუქციას და განუმარტავს თუ რას გულისხმობს არსებული სამუშაო და რა მოთხოვნები იქნება წაყენებული მისადმი, როგორ და რა კრიტერიუმებით შეფასდება იგი მომავალში და უსახავს ყველა იმ საჭირო ორიენტირს, რომელიც აუცილებელია მისი საქმიანობის ხარისხიანად შესრულებისათვის.

ექსპერტთა ჯგუფმა ინდიკატორი შეაფასა შესაბამისად.

5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

სკოლას შემუშავებული აქვს მასწავლებელთა ინიციატივების წახალისების მექანიზმი, რომლის მიხედვითაც, სკოლა აცხადებს მზაობას მიიღოს და განიხილოს მასწავლებლების ინიციატივები, რომელიც ხელს უწყობს სასწავლო პროცესის გაუმჯობესებას. ინიციატივის გამოვლენის შემთხვევაში სკოლა განიხილავს მის მიზანშეწონილობას სკოლის საჭიროებებთან და განვითარებასთან მიმართებით და იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას. სკოლა იყენებს მოტივაციის შემდეგ ფაქტორებს: შექება, საჯარო მადლობა, საჯაროდ ღვაწლის დაფასება, მადლობის წერილი, საზეიმო ღონისძიება. სკოლის დირექტორის 2023 წლის 24 აგვისტოს ბრძანება #2-141 დანართი 1. სკოლის თანამშრომელთა ინიციატივების მხარდამჭერი მექანიზმი.

ექსპერტთა ჯგუფმა ინდიკატორი შეაფასა შესაბამისად.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი;
- ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია;
- სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- სამოქმედო გეგმა;
- ხარისხის განვითარების ჯგუფის შექმნის ბრძანება;
- ხარისხის განვითარებსი ჯგუფის სხდომის ოქმები;
- ახალდანიშნული თანამშრომლის ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმების გზამკვლევი;
- სკოლის თანამშრომელთა ინიციატივების მხარდამჭერი მექანიზმი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

შეფასება:

სკოლის შინაგანაწესი ხელმისაწვდომია მოსწავლეებისთვის და მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლებისთვის, სკოლაში ფუნქციონირებს დისციპლინური კომიტეტი, რომელიც პასუხისმგებელია საჩივრების განხილვაზე. სასწავლო წლის დაწყებიდან არაუგვიანეს ერთი თვის ვადაში დამრიგებლები აცნობენ მოსწავლეებს შინაგანაწესის მუხლებს, როგორც წახალისების, ასევე პასუხისმგებლობის ფორმებს. მათ უფლებებსა და მოვალეობებს. მოსწავლეთა ქცევის წესებს, მოსწავლის ქცევის კოდექსისა და სკოლის შინაგანაწესის საფუძველზე შეიმუშავებენ კლასის ხელმძღვანელები მოსწავლეებთან ერთად. სკოლის შინაგანაწესი და სასკოლო სასწავლო გეგმა სასწავლო წლის დასაწყისში ეცნობა მშობლებს და მოსწავლეებს. მოსწავლეებისათვის ხელმისაწვდომია აღნიშნული დოკუმენტები, რომლებიც გამოკრულია საინფორმაციო დაფაზე. 2-124 ბრძანების დაანართი 15 დამტკიცებულია „მოსწავლის ინიციატივების მხარდამჭერი მექანიზმები“ ატვირთულია სკოლის ვებგვერდზე და ხელმისაწვდომია ასევე ზოგადსაგანამანათლებლო დაწესებულების მიმართ წარდგენილი განცხადების/საჩივრის განხილვის პროცედურა დამტკიცებულია სკოლის დირექტორის 2023 წლის 5 ივლისის N 2-124 ბრძანების N4 დანართით და აღნიშნული დოკუმენტი განთავსებულია სკოლის ვებგვერდზე.

ექსპერტთა ჯგუფმა ინდიკატორი შეაფასა შესაბამისად.

3. **მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება. სკოლამ წარმოადგინა სკოლასა და მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელთან გასაფორმებელი ხელშეკრულებებიც სადაც გაწერილია: დეტალური ვალდებულებები და უფლებები ორივე მხრიდან, როგორც დაწესებულების, ასევე სკოლის დირექციამ აღნიშნა, რომ მოსწავლეთა მშობელთა კრებებზე მშობლებს/მეურვეებს დეტალურად გააცნეს შინაგანაწესი, ასევე ხელშეკრულების ნაწილია და ცალკეა გამოყოფილი შინაგანაწესის გაცნობის დასადასტურებლად ხელმოწერის ველი, რაც დადასტურებულია მშობელთა ხელმოწერებით;

ექსპერტთა ჯგუფმა ინდიკატორი შეაფასა შესაბამისად.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი;
- მშობელთა კრების ოქმის დანართი;
- სკოლასა და მოსწავლეთა მშობლებს შორის ხელშეკრულების;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- სკოლის საიტი http://bit.ly/3Z00Qje
- მოსწავლეთა მხარდაჭერის მექანიზმები
- ზოგადსაგანამანათლებლო დაწესებულების მიმართ წარდგენილი განცხადების/საჩივრის განხილვის პროცედურა

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;
2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;
3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;**

მოსწავლეთა სკოლაში ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის პროცედურებს ახორციელებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული წესების და პროცედურების შესაბამისად. კერძოდ: "ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩარიცხვისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესით" (საქართველოს განთლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით N04/ნ (11/01/2017) ასევე სკოლის დირექტორის 2023 წლის 31 ივლისის N 2-132 ბრძანების დანართი N 3 დამტკიცებულია „მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმები".

ექსპერტთა ჯგუფმა ინდიკატორი შეაფასა შესაბამისად.

2. **სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;**

მოსწავლის ჩარიცხვა, საფეხურის დაძლევა, მობილობა, სტატუსის შეჩერება თუ შეწყვეტა რეგულირდება სკოლის დირექტორის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტებით და პედაგოგიური საბჭოს გადაწყვეტილებებით. სკოლის დირექტორის 2023 წლის 31 ივლისის N 2-132 ბრძანების დანართი N 3 დამტკიცებულია „მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმები"

ექსპერტთა ჯგუფმა ინდიკატორი შეაფასა შესაბამისად.

3. **სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;**

სკოლის სერვისების და სკოლაში მოქმედი რეგულაციების შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომია დაინტერესებული პირებისთვის. მეორე უცხო ენა და არჩევითი საგნები წინასწარ არის ცნობილი მოსწავლეებისა და მშობლებისათვის მათ სთავაზობს არჩევანს მეორე სავალდებულო უცხოური ენის ასარჩევად. ამ მიზნით მშობელთა კრებებზე ან სოციალურ ქსელებში დამრიგებლები ატარებენ გამოკითხვას. სკოლაში შექმნილია სამოქალაქო განათლების კლუბი „მომავალი ჩვენია"; კლუბში გაწევრიანებული არიან საბაზო და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

საშუალო საფეხურის მოსწავლეები; ასევე ქიმიის წრე „პროტონი“ რომელიც მოსწავლეებს სთავაზობს მოსწავლეების საჭიროებებზე მორგებულ აქტივობებს.

ექსპერტთა ჯგუფმა ინდიკატორი შეაფასა შესაბამისად.

4. **სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.**

სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ, რომელიც დაკავშირებულია სსიპ თამარ მეფის სახელობის წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ გეგუთის N1 საჯარო სკოლასთან მიმართებით მის ტერიტორიაზე და ინტერნეტ სივრცეშიც არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული. სკოლის სახელით გავრცელებული ყველა ინფორმაცია ეყრდნობა ეთიკის, გამჭვირვალობის და არადისკრიმინაციულობის ძირითად პრინციპებს. გავრცელებული ყველა ტიპის ინფორმაცია შეთანხმებული, გადამოწმებულია სკოლის დირექციასთან. დირექტორის 2023 წლის 24 აგვისტოს N 2-139 ბრძანებით სკოლას განსაზღვრული ჰყავს საიტის მართვაზე და ინფორმაციის განთავსებაზე პასუხისმგებელი პირი.

ექსპერტთა ჯგუფმა ინდიკატორი შეაფასა შესაბამისად.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმები“
- მოსწავლეთა უფლებების დოკუმენტი;
- სკოლის პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესისა და მონიტორინგის მექანიზმების დამტკიცების შესახებ“
- მშობლების „თანხმობა პერსონალურ მონაცემების დამუშვებაზე“
- მშობლებთან ურთიერთობის დებულების (კომუნიკაციის სტრატეგიის) დამტკიცების შესახებ
- ქიმიის წრის სამუშაო გეგმა.
- სკოლის ვებგვერდსა და სკოლის სოციალურ ქსელში ინფორმაციის დადგენილი წესით განთავსებაზე პასუხიმგებელი პირების განსაზღვრის შესახებ.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;
2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;
3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;
5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;
6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;

მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის პერიოდში სკოლა ხელს უწყობს ყველა მოსწავლეს, იქნება ეს ტრანზაცია ბაღიდან სკოლაში, თუ სკოლიდან პროფესიულ სასწავლებელში ან სხვა სკოლიდან გადმოსული ახალი მოსწავლის შემთხვევაში. სკოლის დირექტორის 2023 წლის 5 ივლისი N2-124 ბრძანების დანართი 13 დამტკიცებულია „მოსწავლის გარემოსთან ადაპტაციის მექანიზმი“ სადაც გაწერილია : პირველკლასელების ადაპტაცია სკოლაში, სკოლაში გადმოსული მოსწავლეების ადაპტაცია, განსაზღვრულია აღნიშნული ბრძანების დაცვის კონტროლზე პასუხიმსგებელი პირი, ახლავს რეკომენდაცია მშობლებისათვის სკოლასთან ადაპტაციის მექანიზმები და ასევე დანართის სახით ახლავს „მოსწავლეთა კმაყოფილების სავარაუდო კითხვარი“. დახმარება ხდება ყველა ახალი მოსწავლის, თუ ის სსსმ მოსწავლეა აცნობს სპეციალურ მასწავლებელსაც, ასევე დირექციის დახმარებით ეცნობიან სკოლის გარემოს: საკლასო ოთახს, რესურს ოთახს, სკოლაში არსებულ სველ წერტილებს. ინკლუზიური განათლების სპეციალისტები მშობელს უწევენ კონსულტაციას მთელი სასწავლო წლის განმავლობაში. პროცესზე პასუხისმგებელი პირია შესაბამისი კლასის დამრიგებელი. საბაზო /საშუალო საფეხურზე მყოფი სსსმ მოსწავლის პროფესიულ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სასწავლებელში ტრანზიციის მიზნით, მოსწავლის შესაძლებლობებიდან და ინტერესებიდან გამომდინარე აწვდიან ინფორმაციას სხვადასხვა კოლეჯის და პროფესიული პროგრამების შესახებ.

ექსპერტთა ჯგუფმა ინდიკატორი შეაფასა შესაბამისად.

2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;

სკოლას სასკოლო სასწავლო გეგმით დამტკიცებული აქვს სსსმ მოსწავლისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების ფორმა - დოკუმენტი, რომელიც ითვალისწინებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის ინტერესებს, სპეციფიკურ მოთხოვნებსა და საჭიროებებს. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა იძლევა საშუალებას ორიენტირებულად მოხდეს დროის ყოველი მონაკვეთის დაგეგმვა, გაკვეთილებზე დასწრებისა და რესურს ოთახში ინდივიდუალური მეცადინეობების გათვალისწინებით. ისგ იქმნება კონკრეტული სსსმ მოსწავლისათვის. ისგს- ქმნის ისგ ჯგუფი, რომელიც დამტკიცებული აქვს დირექტორის სასწავლო წლის დასაწყისშივე. აღსანიშნავია, რომ ისგ-ს აქტიური წევრია სსსმ მოსწავლის მშობელი. სკოლას მიმდინარე სასწავლო წელს ჰყავდა 5 სსსმ მოსწავლე. რომელთაც 1 სპეციალური მასწავლებელი ემსახურებოდა რესურს ოთახში. ყველა სსსმ მოსწავლეზე იყო მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნა, შეფასება, წლის განმავლობაში ისგ გუნდის მიერ ოთხი წარმოებული ოქმი, საგნობრივი გეგმები. სკოლას ასევე შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლისთვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაციები, სადაც გაწერილია რა ნაბიჯები უნდა გადადგას სკოლამ პრობლემის იდენტიფიცირებიდან მოსწავლისათვის სტატუსის მინიჭებამდე, სტატუსის განსაზღვრიდან ინდივიდუალური გეგმის შექმნისათვის, გეგმის განხორციელების პროცესში მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასებით დამთავრებული.

ექსპერტთა ჯგუფმა ინდიკატორი შეაფასა შესაბამისად.

3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;

მოსწავლეს აქვს შესაძლებლობა ისარგებლოს სწავლის უსაფრთხო პირობებით, მიიღოს ხარისხიანი განათლება, სასწავლო პროგრამისა და კარიერული განვითარებისთვის საჭირო ინფორმაცია/კონსულტაცია, ისარგებლოს სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, ბიბლიოთეკით, ინტერნეტითა და სხვა საშუალებებით. აღნიშნული პროცესები რეგულირდება სკოლის შინაგანაწესით და სკოლის წესდებით, ასევე სასკოლო სასწავლო გეგმით/კურიკულუმით. მასწავლებლებთან და დამრიგებლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ მოსწავლე იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ექსპერტთა ჯგუფმა ინდიკატორი შეაფასა შესაბამისად.

4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;

სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით. მოსწავლეების ადმინისტრაციული მხარდაჭერა უზრუნველყოფილი იქნება მიმართვის შემთხვევებში. საჭირობის შემთხვევაში, მოსწავლეებმა შეიძლება ისარგებლონ შინ სწავლებით, ექსტერნატის ფორმით დაძლიონ ცალკეული კლასი/საგნები და ა.შ. სკოლაში ძალიან ხშირია სხვადასხვა ხასიათის საკლასო და სასკოლო ღონისძიებების ორგანიზება და ჩატარება, რაც ინიცირებულია როგორც მასწავლებლების, ისე მოსწავლეების და მათი მშობლების მიერ. შესაბამისად, ამ პროცესში აქტიურად მონაწილეობენ მოსწავლეები და მათი მშობლები, რაც მოსწავლეებში შემოქმედებითი და სოციალური უნარების განვითარების გარდა, ბავშვის პროცესებში მონაწილეობის უფლების რეალიზებას ახდენს.

ექსპერტთა ჯგუფმა ინდიკატორი შეაფასა შესაბამისად.

5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;

სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას. სკოლის დირექტორს 2023 წლის 2-124 ბრძანების მე-15 დანართით დამტკიცებულია „მოსწავლეთა ინიციატივების მხარდამჭერი მექანიზმები“ სადაც გაწერილია: რა პროცედურების დაცვით შეუძლია მოსწავლემ წარადგინოს ინიციატივა და რის მიხედვით იქნება გადარჩეული შემოსული წინადადებები), დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში ინიციატორს უნდა ეცნობოს არგუმენტირებული უარი ასევე მოსწავლეთა ინიციატივების მხარდამჭერი მექანიზმის სრულად დაცვის მიზნით განსაზღვრულია პასუხიმგებელი პირები.

ექსპერტთა ჯგუფმა ინდიკატორი შეაფასა შესაბამისად.

6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

2023 წლის მაის-ივნისში სსიპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ გეგუთის N1 საჯარო სკოლის მასწავლებელთა სამუშაო გუნდი შეხვდა მშობელთა ფოკუს ჯგუფს. შეხვედრა მიზნად ისახავდა მშობელთა იდეებისა და დამოკიდებულებების ანალიზს. კვლევის საფუძველზეც სასკოლო საზოგადოებამ (მოსწავლეები, მშობლები, მასწავლებლები.) მოახერხა სკოლის ძლიერი და სუსტი მხარეების იდენტიფიცირება. კვლევაში გამოვლინდა ისეთი პრიორიტეტული საკითხების განვითარების მზაობა, როგორიცაა: 1. სკოლაში განათლების ხარისხის უწყვეტი გაუმჯობესება 2. სკოლის ორგანიზაციული განვითარება. 3. არაფორმალური, სამეწარმეო და პროფესიული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

განათლების განვითარების ხელშეწყობა. უკუკავშირების გათვალისწინებით სკოლა ცდილობს მოსწავლეთა მომსახურების გაუმჯობესებას, რათა მეტად შეუწყოს ხელი მათი შესაძლებლობების გაძლიერებასა და ჩართულობის ხარისხის ამაღლებას.

ექსპერტთა ჯგუფმა ინდიკატორი შეაფასა შესაბამისად.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კვლევა „სკოლის საქმიანობით კმაყოფილებისა თუ პირიქით შედეგების შესახებ“
- სკოლის მოსწავლეთა ჩართულობის ამსახველი ფოტოები და ფოტო-ბაღის აღსაზრდელთა სკოლასთან ადაპტაცია
- სადამრიგებლო პროგრამა
- სასწავლო ექსკურსიაზე მოსწავლეთა გაყვანის მიზნით მშობლების თანხმობა
- სამეწარმეო ფესტივალში მონაწილეობის სერტიფიკატი
- მოწმობა მოსწავლეთა კომპანიის დაარსების შესახებ
- თამაზ ბექაიას ფონდისგან გრანტის მიღების შესახებ
- მოსწავლეთა ინიციატივების მხარდამჭერი მექანიზმები

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;
2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკოლას მემორანდუმი აქვს გაფორმებული ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტთან, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროფესიული პროგრამა ,,ჭრა-კერვის საწყისი უნარ-ჩვევების განვითარება; ტანსაცმლის კერვა და დიზაინი". აღნიშნული პროგრამის ფარგლებში სკოლას გადმოეცა საჭირო რესურსი, კერძოდ საკერავი მანქანები და სხვა საჭირო ნივთები (ქსოვილი, ზაფი, უთო, საუთაო მაგიდა). მოსწავლეებმა სამეწარმეო განათლების ხელშეწყობის ფარგლებში ჩამოაყალიბეს თავიანთი საწარმო ,,კრეატივი" და დაიწყეს სამზარეულოს წინსაფრების კერვა, რომლის გამოფენა-გაყიდვა მოაწყვეს ,,ჯუნიორ ეჩივმენტის" პროექტის ფარგლებში. სკოლა დიდ ყურადღებას უთმობს მოსწავლეებში პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარებას, ამ მიზნით ჩაერთო თამაზ ბექაიას ფონდის მიერ გამოცხადებულ საგრანტო კონკურსში და მიიღო 8000 ლარის ღირებულების გრანტი, რომლის ფარგლებში სკოლის ეზოში განათავსა საველე კვლევითი ლაბორატორია საბუნებისმეტყველო საგნების სწავლა-სწავლების ფარგლებში კვლევითი სამუშაოების დასაგეგმად, მოსწავლეების მიერ მცენარეების მოვლა-პატრონობის უნარ-ჩვევების გასავითარებლად.

ექსპერტთა ჯგუფმა ინდიკატორი შეაფასა შესაბამისად.

2. **სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან** დაკავშირებით;

საბაზო საფეხურის დაძლევის შემდეგ მოსწავლეებს და მათ მშობლებს სკოლა აწვდის ინფორმაციას პროფესიული განათლების მიღების შესაძლებლობის შესახებ. სასწავლო პროცესის პარალელურად სკოლაში განახორციელოს რამდენიმე მიმართულების პროფესიული პროგრამა, ამ მიზნით სკოლას გაფორმებული აქვს მემორანდუმი აქვს გაფორმებული ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტთან, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროფესიული პროგრამა ,,ჭრა-კერვის საწყისი უნარ-ჩვევების განვითარება; ტანსაცმლის კერვა და დიზაინი".

ექსპერტთა ჯგუფმა ინდიკატორი შეაფასა შესაბამისად.

3. **სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.**

სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს. მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით სკოლამ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტთან თანამშრომლობითა და აკაკი წერეთლის უნივერსიტეტთან არსებული ,,ტექნო ლაბის" მხარდაჭერით საინტერესო აქტივობები განახორციელა. პროექტ "კრეატიულობა და ინტელექტუალური საკუთრება საქართველოს სკოლებში" ფარგლებში ფუნქციონირებს სამკერვალო საწარმო „კრეატივი".

ექსპერტთა ჯგუფმა ინდიკატორი შეაფასა შესაბამისად.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

- აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტთან თანამშრომლობის დოკუმენტი
- ილიაუნთან თანამშრომლობის დოკუმენტი
- სამეწარმეო ფესტივალში მონაწილეობის სერტიფიკატი
- მოწმობა მოსწავლეთა კომპანიის დაარსების შესახებ

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;
2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;

სკოლაში ინკლუზიური გარემოს შექმნა-განვითრება ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია. სკოლის დირექტორის 2023 წლის 5 ივლისის N2-124 ბრძანების დანართი N16 დამტკიცებულია „სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაციის მექანიზმები“ სადაც გაწერილია სპციალური პრევენციული და ინტერვეციული მექანიზმების არსებობა, სწავლის დაწყებისთანავე (პირველ კლასში) სსმ სტატუსის მოპოვების რეგულაციები, სკოლამ ზრუნავს მშობლის ჩართულობაზე და მისი თანხმობით სსსმ სტატუსის მოთხოვნის გაგზავნაზე მულტიდისციპლინურ გუნდთან, რასაც არეგულრიებს სსმ სტატუსისი მოპოვების რეგუალციით. ასევე გაწერილია სტატუსის მოხსნის რეგულაცია. სკოლას აქვს ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა, ჰყავს შიდა მონიტორინგის ჯგუფი და ხორციელდება ინკლუზიური განათლების ხარისხის შეფასება. შემუშავებულია ინტერვენციის გეგმა. სპეციალური მასწავლებელი მუშაობს როგორც საგნის მასწავლებლებთან, ასევე თანამშრომლობს მშობლებთან. სკოლაში 5სწავლობს 5 სსსმ მოსწავლე. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა იძლევა საშუალებას ორიენტირებულად მოხდეს დროის ყოველი მონაკვეთის დაგეგმვა, გაკვეთილებზე დასწრებისა და რესურს ოთახში ინდივიდუალური მეცადინეობების გათვალისწინებით. ისგ იქმნება კონკრეტული სსსმ მოსწავლისათვის. ისგს- ქმნის ისგ ჯგუფი, რომელიც დამტკიცებული აქვს დირექტორის სასწავლო წლის დასაწყისშივე. აღსანიშნავია, რომ ისგ-ს აქტიური წევრია სსსმ მოსწავლის მშობელი. სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლის ტრანზიციის გეგმა, სასკოლო გარემოსთან ადაპტაცია, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კონსულტაცია, სსსმ მოსწავლეების შეფასების მექანიზმების გაცნობა. აღსანიშნავია ასევე რომ დოკუემნტში აღწერილია კონფიდენციალურობის უზრუნველყოფის რეგულაცია. რესურსოთახი მოწესრიგებულია და აღჭურვა შესაბამისი რესურსებით. სკოლას აქვს მოსწავლის ტრანზიციის გეგმა სადაც განსაზღვრულია სსმ მოსწავლეების ტრანიზცია, შეფასების მექანიზმების გაცნობა და ა.შ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ექსპერტთა ჯგუფმა ინდიკატორი შეაფასა შესაბამისად.

2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

სკოლის სასკოლო საზოგადოების თითოეული რგოლის ჩართულობა და მხარდაჭერა (მასწავლებელი, მშობელი, მოსწავლე) ხელს უწყობს სსსმ განვითარების მხარდაჭერას. სკოლაში ინკლუზიური განათლების კულტურა მაღალია. შექმნილია სწავლებისადმი კეთილგანწყობილი გარემო, რაც დაფუძნებულია მასწავლებლებს შორის ცოდნისა და გამოცდილების გაზიარებაზე. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს. საპირფარეშოები კეთილმოწყობილი და ადაპტირებულია. სკოლას აქვს პანდუსი და სკოლის პირველი სართულის სივრცე ხელმისაწვდომია შშმ პირთათვის. სსსმ მოსწავლის სწავლა/სწავლების პროცესისათვის სკოლას აქვს რესურს ოთახი, რომელიც აღჭურვილია მოსწავლის საჭიროებებისათვის აუცილებელი სასწავლო მატერიალურ/ტექნიკური რესურსით (სასკოლო-სასწავლო ინვენტარი, კომპიუტერული ტექნიკა, საკანცელარიო ნივთები, თვალსაჩინოებები, ადაპტირებული მხატვრული ლიტერატურა, კლასგარეშე საკითხავები.). ისგ ჯგუფის შეხვედრის შემდეგ საგნის მასწავლებელი განსაზღვრავს მოსწავლის აქტუალურ დონეს, შეადგენს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას და მოსწავლის შესაძლებლობისა და უნარების გათვალისწინებით გაწერს მოკლევადიან და გრძელვადიან მიზნებს, ხდება რესურსების მოძიება, აქტივობების შერჩევა და სასკოლო დავალებების ადაპტირება. სპეციალური მასწავლებელი შეიმუშავებს ინტერვენციის გეგმას, ადგენს რესურს ოთახში მოსწავლესთან მუშაობის ცხრილს. ამ პროცესში ჩართულია მშობელი და გათვალისწინებულია მისი ინტერესები.

ექსპერტთა ჯგუფმა ინდიკატორი შეაფასა შესაბამისად.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ისგ ჯგუფის შექმნის ბრძანება
- მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნა
- ისგ ჯგუფის შეხვედრის ოქმი
- მონიტორინგის ჯგუფის ოქმი დანართი
- რესურს ოთახის ფოტო
- მოსწავლის ტრანზიციის გეგმა
- სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაციის მექანიზმი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანამანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურეობა და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;
3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურეობა და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

სკოლა ამ ეტაპზე ახორციელებს მოსწავლეებისათვის სასკოლო სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ დამატებით არასავალდებულო საგანმანათლებლო მომსახურებას სასკოლო ბუფეტის ფუნქციონირებით.

2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;

ბუფეტის ფუნქციონირებისთვის ფართი იჯარით არის გაცემული სამეურვეო საბჭოს თანხმობით, განათლებისა და მეცნიერების სამინიტროსა და ქონების მართვის სააგენტოს ნებართვით. აუქციონის წესით გამარჯვებული ინდ.მეწარმე ახორციელებს საქმიანობას,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

მოსწავლეებს სთავაზობს ბუფეტის მომსახურებას მომსახურება .არსებული დადგენილი ნორმების დაცვით. პერიოდულად ხორციელდება მონიტორგი, რომლისთვისაც დიირექტორის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრულია პირი.

3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს სკოლის დირქტორის 2022 წლის 10 ოქტომბრის N 2-83 ბრძანებით განსაზღვრულია „სასკოლო კვების ორგანიზების შესახებ რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირი“.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- იჯარის ხელშეკრულება;
- ქონების მართვის სააგენტოს ნებართვა იჯარით გაცემული ფართის შესახებ;
- სასკოლო კვების შესახებ რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგზე პ/პირის განსაზღვრის შესახებ ბრძანება;
- სამეურვეოს ოქმი ფართის გაიჯარებაზე.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

სტანდარტი 2 **სასკოლო კურიკულუმი** დაწყებითი საფეხური	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* ☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;

ვიზიტის პერიოდში სსიპ-თამარ მეფის სახელობის წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ გეგუთის N1 საჯარო სკოლამ წარმოადგინა 05/07/2023 წ. N2-124 ბრძანებით დამტკიცებული კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია. წარმოდგენილი მეთოდოლოგიის მიხედვით სასკოლო კურიკულუმის განვითარება უწყვეტი პროცესია, რომელიც გულისხმობს კურიკულუმის შემუშავების, დანერგვის, დანერგვის პროცესის მონიტორინგისა და შეფასების, გადასინჯვისა და რევიზიის უწყვეტ ფაზებს. დოკუმენტის მიხდვით მასწავლებლების მიერ შემუშავებული კურიკულუმი შემდგომ ვითარდება მშობლების და დირქციის აქტიური ჩართულობით. დოკუმენტით დასტურდება, რომ მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობების გათვალისწინების შესაძლებლობას.კურიკულუმის როგორც შექმნის,ასევე განვითარების პროცესში გათვალისწინებული იქნება სკოლის მისია და ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული პრიორიტეტული თემა/ები, რომელბზე მუშაობასაც გადაწყვეტს სკოლა. მეთოდოლოგიის მიხედვით, მოსწავლეთა ჩართულობა პროცესში გამოიხატება მასწავლებლების მხრიდან მოსწავლებზე დაკვირვების შედეგად (მასწავლებლები აკვირდებიან მოსწავლეებს როგორი დავალებები მოსწონთ, რა ფორმით გადაცემულ ინფორმაციაა მათთვის ადვილად აღსაქმელი და გასააზრებელი და შესაბამისად კურიკულუმში იცვლება საკითხები, მეთოდები, მიდგომები) კურიკულუმში ასახულ ცვლილებში. წარმოდგენილი დოკუმენტიდან ჩანს, რომ კურიკულუმის შემუშავებაში სასკოლო საზოგადოების ჩართვა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

უზრუნველყოფილი იქნება მშობლებთან, სასკოლო საზოგადოების სხვა წევრებთან სკოლის ვებგვერდის, სოციალური მედიის, ელ. ფოსტის, ბეჭდვითი მასალების, Teams-ის, საჯარო ღონისძიებების და სხვა საშუალებების გამოყენებით.

ექსპერტთა ჯგუფმა ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი შეაფასა შესაბამისად.

2.კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;

დაწესებულების მიერ მოწოდებული დოკუმენტები და ინტერვიუ დაწყებითი საფეხურის პედაგოგებთან იძლევა იმის თქმის საფუძველს, რომ სკოლაში არსებული სასკოლო კულტურა, სკოლის მართვის მექანიზმი, ის განწყობა, რომელიც სუფევს სასკოლო საზოგადოებაში უმთავრესი ხელშემწყობი ფაქტორია კურიკულუმის შემუშავებაში ჩართული იყოს არა მხოლოდ დაწყებითების, არამედ ყველა საფეხურის წარმომადგენელი და მთლიანად სასკოლო საზოგადოება. კურიკულუმის შემუშავება დაწყებით საფეხურზე მხარდამჭერი ექსპერტების რეკომენდაციების საფუძველზე ხდება, მასწავლებლები იყენებენ როგორც მოწოდებულ სანიმუშო კურიკულუმს, ასევე ცდილობენ თავად შექმნან საკუთარი ორიგინალური, შემოქმედებითი და მოსწავლის საჭიროებებზე მორგებული კომპლექსური დავალებები. კათედრებზე შეჯერდება ისეთი კომპლექსური დავალებები, რომლებიც ეფექტიანად განხორციელდება სასწავლო პროცესში, სადაც გამოიკვეთება მოსწავლეთა მაღალი მოტივაცია და ჩართულობა, მოხდება გაზიარება და მომდევნო სასწავლო წელს გათვალისწინება. ხოლო ის დავალებები და აქტივობები, სადაც გამოიკვეთება გარკვეული გამოწვევები, მოდიფიცირდება მოსწავლეთა ინტერესების შესაბამისად.

ექსპერტთა ჯგუფმა ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი შეაფასა შესაბამისად.

3.კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;

საგნობრივი ექსპერტები ინდიკატორთან მიმართებით ადასტურებენ, რომ სსიპ- თამარ მეფის სახელობის წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ გეგუთის N1 საჯარო სკოლის დაწყებითი საგნობრივი კათედრის წევრების მიერ კომპლექსური დავალების იდეები შეთანხმებულად შეირჩა, ისინი დაეყრდნენ წინარე გამოცდილებას, გარდა ამისა, გაითვალისწინეს მოსწავლეთა ინტერესები და შესაძლებლობები, რაც დასტურდება ყველა კათედრის წევრთან გასაუბრებით, მათ ნარატივს ადასტურებს სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, კერძოდ დანართი N1, სადაც ხაზგასმულია კათედრების მუშაობისა და ფუნქციების შესახებ, მათ შორის, ერთმანეთისათვის გამოცდილების გაზიარება, სწავლა-სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და მიდგომების დანერგვასთან დაკავშირებით რეკომენდაციების შემუშავება და სხვ. იგივე ნარატივი იკითხება დანართი 2022-2023 ერთწლიანი სამოქმედო გეგმაში, სადაც აღნიშნულია, რომ საგნობრივ კათედრებზე მოხდა საგნობრივი კურიკულუმების და სადამრიგებლო პროგრამების შემუშავება-

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

განხორციელება, მოსწავლეთა და მშობელთა გამოკითხვა-ანალიზის საფუძველზე ღონისძიებების განხორციელება, მოსწავლეთა თვითმმართველობის მიერ პროექტების ინიცირება-განხორციელება, რაც მოსწავლეთა და მშობელთა ჩართულობას ადასტურებს.
ექსპერტთა ჯგუფმა ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი შეაფასა შესაბამისად.

4.კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.
სკოლის დირექციასთან, კათედრებთან შეხვედრისას, სკოლის საჭიროებების კვლევის ანალიზის და ყველა საჭირო დოკუმენტაციის გაცნობისის საფუძველზე აშკარად იკვეთება რომ სასკოლო საზოგადოებას აქვს სრული მიკუთვნებულობის განცდა სასკოლო კურიკულუმის მიმართ. სასკოლო კურიკულუმი და მისი მხარდაჭერი დოკუმენტი ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული მხარისთვის. ამისთვის კი სკოლა იყენებს სხვადასხვა მრავალფეროვან საკომუნიკაციო საშუალებებს.
ექსპერტთა ჯგუფმა ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი შეაფასა შესაბამისად.

დასტურდება (მტკიცებულებები):

3. *სიპ -თამარ მეფის სახელობის წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ გეგუთის N1 საჯარო სკოლის 2023-24 სასწ/წლის სამოქმედო გეგმა ;*
4. *კათედრის ოქმები;*
5. *პედსაბჭოს ოქმები;*
6. *დანართი 6- სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია*
7. *დანართი 7 - ერთწლიანი სამოქმედო გეგმა.*
8. *დანართი 3--II სტანდარტი*
9. *სტრატეგიული განვითარების გეგმა (2023-2030წწ)*
10. *2023-2024 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა.*
11. *N3-სკოლის საჭიროებების კვლევის ანალიზი*
12. *N6-სკოლის ვებ-გვერდისა და სოციალური ქსელის ლინკი*
13. *N28-სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია.*
14. *სამეურვეო საბჭოს ოქმები*
15. *დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;**
საგნობრივი კათედრების მიერ შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას, ეს გამოჩნდა კურიკულუმში ჩაშენებულ კომპლექსურ დავალებებში, რომლებიც კათედრებმა შეარჩიეს მოსწავლეთა შესაძლებლობების შესაბამისად. სწავლა-სწავლების პროცესი ისეა დაგეგმილი დაწყებით საფეხურზე, რომ ორიენტირებულია მოსწავლეზე და მიმართულია ესგ-ის, ზგემ-ის და საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრული შედეგების მიღწევაზე. საგაკვეთილო პროცესში მასწავლებლის მხრიდან გამოყენებულია სხვადასხვა აქტივობა, რომლებსაც მივყავართ კონკრეტულ პროდუქტამდე, კომპლექსურ დავალებამდე, ხელს უწყობს მოსწავლის ინდივიდუალურ წინსვლასა და მისი პოტენციალის მაქსიმალურად გამოყენებას. დაწყებით საფეხურზე სწავლის მიზნები ფორმულირებულია სტანდარტის შედეგებისა და სამიზნე ცნებების სახით. სასწავლო პროცესი ყველა საგანში იგეგმება თემატურად, რათა მოსწავლე ჯერ შუალედურ, საბოლოოდ კი საფეხურის გრძელვადიან მიზნებზე გავიდეს. თითოეული თემის ფარგლებში მოსწავლეები ამუშავებენ სტანდარტის შედეგებსა და სამიზნე ცნებებს. სიღრმისეული სწავლის უზრუნველყოფა ხორციელდება კონსტრუქტივისტული მიდგომით, რაც გამოიხატება იმაში, რომ კურიკულუმი მუშავდება მოსწავლეთა წინარე ცოდნაზე დაყრდნობით. სავალდებულო თემის ფარგლებში გამოკვეთილია ძირითადი საკითხები, შერჩეული სასწავლო პროგრამა ეფუძნება სახელმძღვანელოებით შემოთავაზებულ მასალას. საგნობრივ კურიკულუმებში ფორმულირებულია საფეხურებრივი საგნის სტანდარტები. მათი რეალიზების გზები ნაჩვენებია კომპლექსური დავალებების სახით. სწავლის შედეგები თითოეულ საგანში მოცემულია სამიზნე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ცნებების სახით. შემაჯამებელ და კომპლექსურ დავალებებში გამოკვეთილია კონსტრუქტივიზმის პრინციპები. მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესი ეფუძნება მიდგომას, რომ ყველა მოსწავლე არის უნიკალური თავისი შესაძლებლობებით, ფსიქო-ემოციური და ფიზიკური მახასიათებლებით, სწავლის სტილით, გამოცდილებით, ინტერესებით და საჭიროებებით. ამის მაგალითია დაწყებით კლასებში განხორციელებული კომპლექსური დავალებები: ტექსტების დამუშავება, აუდიო- ვიდეო რესურსების გამოყენება, სხვა საგნებში მიღებული ცოდნის ტრანსფერი და ინტეგრირება (ისტი-კომპიუტერული სასწავლო თამაშები, ხელოვნება - ხატვის და ძერწვის უნარების გამოყენებით).

ექსპერტთა ჯგუფმა ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი შეაფასა შესაბამისად.

რჩევა: მასწავლებლებმა მომავალი სასწავლო წლიდან ისე დაგეგმონ სასწავლო პროცესი, რომ მეტი აქცენტი გააკეთონ თემის ფარგლებში უფრო მეტი კომპლექსური ბუნების დავალების განხორციელებაზე ყველა სამიზნე ცნების გააქტიურებით.

2. **კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);**

კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს, რადგან მასში არის გათვალისწინებული მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის ცვლილებები. კომპლექსურ დავალებებში, პირობის შინაარსთან ერთად, მითითებულია მოსწავლის მიერ შესასრულებელი პროდუქტის სახე. კომპლექსური და შემაჯამაბელი დავალებები ხელს უწყობს მოსწავლეებში გრძელვადიანი მიზნების მიღწევას, კერძოდ, შემოქმედებითი, კრიტიკული აზროვნების, სოციალური უნარების განვითარებას და ა.შ. კომპლექსურ და შემაჯამებელ დავალებებში გაწერილია სამიზნე ცნებები და შედეგები. კურიკულუმები განსაზღვრავს ეროვნული სასწავლო გეგმით გრძელვადიან მიზნებს. კომპლექსური დავალებები, კლუბური სამუშაოები, რომლებიც მასწავლებლებმა განახორციელეს საკუთარ კლასებში, ითვალისწინებს გრძელვადიანი მიზნებს. მაგ. მე-2 კლასის დამრიგებელსა და მშობელთა კლუბის წევრი მშობლების ინიციატივით ხორციელდება პროექტი ,,მშობელთა დღე", რომლის ფარგლებშიც კლასის საათზე და დამატებით შეხვედრებზე მშობლები დამრიგებელთან შეთანხმებულ აქტივობებს ახორციელებენ მოსწავლეებთან ერთად. ეს ხელს უწყობს მოსწავლეთა მოტივაციის ზრდასა და მათ მოწესრიგებულ ქცევას. ეროვნული სასწავლო გეგმის თითოეული შედეგი უკავშირდება საგნობრივ სამიზნე ცნებას. ეროვნულ სასწავლო გეგმაში დაწყებითი კლასებში ყველა საგნისთვის განსაზღვრულია რამდენიმე სამიზნე ცნება. საფეხურის დონეზე მათი დაუფლება, შედეგებთან ერთად, საგნის სწავლა-სწავლების გრძელვადიან მიზანს წარმოადგენს. სასკოლო სასწავლო გეგმა და საგნობრივი კურიკულუმი გამომდინარეობს ეროვნული სასწავლო გეგმიდან, მორგებულია სასკოლო საჭიროებებს და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

სრულად პასუხობს ესგ-ს მიერ დადგენილ მოთხოვნებს. სამიზნე ცნებების სრულად დაფარვის მიზნით მომავალში გაიზრდება კომპლექსური დავალებების რაოდენობა კლასებში.

ექსპერტთა ჯგუფმა ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი შეაფასა შესაბამისად.

3. **სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;**

დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში კომპლექსური დავალების ფარგლებში წარმოდგენილია მრავალფეროვანი რესურსები, შედეგების მიღწევის ტაქსონომიისა და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რაც ხელს შეუწყობს სასწავლო პროცესის მოქნილობას და თითოეული მოსწავლის ინიდივიდუალური საჭიროებების, შესაძლებლობებისა და სწავლის პოტენციალის გათვალისწინებას. ინკლუზიური სწავლების პრინციპის მიხედვით სკოლა ორიენტირებულია ყველა ბავშვს თანაბრად ჰქონდეს შესაძლებლობა საინტერესო და პროდუქტიული სასწავლო პროცესის მონაწილე იყოს. ხდება მასალის ადაპტირება. მნიშვნელოვან საკითხად თვლიან, რომ გაიზარდოს გაკვეთილზე დიფერენცირების ხვედრითი წილი, გეგმავენ ამ საკითხზე გაეცნონ უფრო მეტ ლიტერატურას და გაიზიარონ ერთმანეთის გამოცდილება. მნიშვნელოვანია ამ ეტაპზე შეიქმნას ისეთი საგნობრივი კურიკულუმები და შეფასების რუბრიკები, რომელიც უფრო მეტად შესაძლებელს გახდის თითოეული მოსწავლის ინტერესისა და შესაძლებლობის გათვალისწინებას. თანაბრად ხელმისაწვდომი განათლება გულისხმობს პროცესის ისე დაგეგმვას და ჩატარებას, რომ უზრუნველყოფილი იყოს ყველა მოსწავლის ხელმისაწვდომობა განათლებაზე, ჩართულობაზე, თანამონაწილეობის გაზრდასა და სასწავლო შედეგების მიღწევაზე. საგაკვეთილო პროცესში მასწავლებლები ცდილობენ სხვადასხვა სწავლების სტრატეგიებისა და მეთოდების გამოყენებით გაზარდონ სსსმ მოსწავლის აქტივობებსა თუ კომპლექსური დავალებების შესრულების პროცესში ჩართულობა. ხდება კომპლექსური დავალების, სქემების, შეფასების რუბრიკების ადაპტირებას მოსწავლეთა შესაძლებლობებისა და საჭიროებების მიხედვით. ხორციელდება დიაგნოსტიკურ შეფასება. მაგ. მესამე კლასებში ყოველ სასწავლო წელს, წელიწადში ორჯერ/სამჯერ ხორციელდება მოსწავლეთა დიაგნოსტიკურ შეფასება. დიაგნოსტირებისათვის მასწავლებელი იყენებს ჯიპრაიდის დიაგნოსტიკურ ტესტებს. ამოწმებს მოსწავლეთა მიღწევებს კითხვის, საინფორმაციო და მხატვრული ტექსტების გაგება-გააზრების და ლექსიკური მარაგის მიმართულებით. მოსწავლეთა მიღწევებს ადარებს და აანალიზებს სემესტრისა და წლის ბოლოს, ადგენს მოსწავლეთა საჭიროებებს, განსაზღვრავს ინტერვენციებს კოლეგებთან ერთად მომავალი სასწავლო წლისათვის. ტესტირების შედეგებს უზიარებს კათედრის წევრებს. სკოლას შემუშავებული აქვს ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა, რომელიც ითვალისწინებს მოსწავლის შეფასებას, საჭიროების შემთხვევაში სსსმ მოსწავლისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებასა და მშობელთან კუნსულტირებას, რაც უზრუნველყოფს სსსმ მოსწავლის საჭიროებების, შესაძლებლობებისა და ინტერესების გათვალისწინებას სასწავლო პროცესში. კომპლექსური დავალებების პირობის, შეფასების რუბრიკებისა და ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმის გაცნობით, ასევე მასწავლებლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სასწავლო პროცესი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს. მომავალი სასწავლო წლიდან სკოლა შეეცდება, უფრო მეტი ხარისხით დანერგოს დიფერენცირებული მიდგომები სასწავლო პროცესში, ხელი შეუწყოს მასწავლებელთა კომპეტენციის ამაღლებას და მოტივირებას ამ მიმართულებით. ინტერვიუს პროცესში მასწავლებლებმა განაცხადეს, რომ იყენებენ მოსწავლეთა საჭიროებებზე მორგებულ ადაპტირებულ დავალებებს, დიფერენცირებულ მიდგომებს ამა თუ იმ საკითხების შესწავლისას. სკოლა სწავლისა და განვითარების თანაბარ საშუალებას აძლევს მოსწავლეს, მასწავლებლები აკვირდებიან თითოეულ მათგანს, სწავლობენ მათ თავისებურებებს, ინტერესებს, შესაძლებლობებს და ამ პირობების გათვალისწინებით გეგმავენ სასწავლო პროცესს.

ექსპერტთა ჯგუფმა ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი შეაფასა შესაბამისად.

4. **განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;**

შეფასება სწავლის ხარისხის გაუმჯობესების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია, რომელიც საშუალებას იძლევა დავაკვირდეთ მოსწავლის აკადემიური წინსვლის პროგრესს. დაწყებით საფეხურზე დიდი ყურადღება ექცევა განმავითარებელ შეფასებას, მასწავლებლები ეცნობიან და იყენებენ განმავითარებელი შეფასების მრავალფეროვან ინსტრუმენტებს. აცნობიერებენ, რომ განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს. განმავითარებელი კომენტარით აღიწერება, თუ როგორ უმჯობესდება უნარების განვითარებასთან ერთად მოსწავლის მიღწევა, მოსწავლისთვის სწორად მიწოდებული განმავითარებელი შეფასება შედეგების გაუმჯობესების მნიშვნელოვანი საშუალებაა. მოსწავლეები თავად ერთვებიან შეფასების კრიტერიუმების შემუშავების პროცესში, თვითშეფასების რუბრიკების შემუშავებაში. მაგ: ინგლისური ენის მასწავლებელი მოსწავლეებთან ერთად მუშაობს განმავითარებელი შეფასების კრიტერიუმების შედგენაზე. მაგალითად მე-3 კლასში შეიტანა „თვითშეფასების ყვავილი“, რომლის ფურცლებშიც მოცემულია გაკვეთილზე შესრულებული აქტივობების სახელები (მაგ:ახალი ლექსიკა,მართალი და ტყუილი წინადადებები, გამოტოვებული სიტყვები…) მოსწავლეებმა გადაწყვიტეს წითელი ფერით გააფერადონ ყვავილის ის ფურცელი, სადაც მათთვის რთული დავალება წერია, იასამნისფრად - რომელიც შედარებით გაუჭირდათ, ხოლო მწვანედ - რომელიც ყველაზე კარგად გამოუვიდათ. გაკვეთილის მსვლელობისას მათ აქვთ შესაძლებლობა დააკვირდნენ სირთულეებს და მასწავლებელთან ერთად იმსჯელონ და დაისახონ გაუმჯობესების გზები. სასკოლო სასწავლო გეგმით დამტკიცებულია განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. ასევე კომპლექსურ დავალებებში ჩაშენებულია განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომელიც გამომდინარეობს შედეგების ინდიკატორებიდან და კომპლექსურის პირობიდან. მასწავლებლებმა წარადგინეს მათ მიერ შექმნილი განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტები. დაასაბუთეს, თუ მათი გამოყენება როგორ შეუწყობს ხელს სწავლა-სწავლების პროცესის ეფექტურად წარმართვას. მომავალი სასწავლო წლისათვისაც შემუშავდება შეფასების რუბრიკები, რომელთა შექმნის პროცესში კვლავ ჩაერთვებიან მოსწავლეებიც,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

რაც დაეხმარება მათ გაიაზრონ შესასწავლი საკითხის მიზნები და აიღონ პასუხისმგებლობა. კურიკულუმში გათვალისწინებულია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტები.

ექსპერტთა ჯგუფმა ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი შეაფასა შესაბამისად.

5. **დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.**

სასწავლო წლის ბოლოს კათედრები ადგენენ ანგარიშებს, რომლებიც მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორიცაა: შემაჯამებელი და კომპლექსური დავალებების ანალიზი, ჩატარებული გაკვეთილების ნუსხა, კოლეგების ურთიერთდასწრება, ხარისხის მართვის ჯგუფის ფარგლებში არსებული სავალდებულო გაკვეთილები, განხორციელებული სასწავლო პროექტები. ასევე პროფესიული განვითარების კუთხით განხორციელებული აქტივობები, გავლილი ტრენინგები/ვებინარები, კონფერენციაზე დასწრება/მონაწილეობა და სხვა. სასკოლო კურიკულუმის დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილება. ყოველი სასწავლო წლის ბოლოს საგნის მასწავლებლები, საგნობრივი კათედრების ხელმძღვანელები, კლასის დამრიგებლები წარმოადგენენ წლიურ ანგარიშებს, რომელთა საფუძველზეც ანალიზდება განვლილი პროცესი. შედეგების ანალიზის საფუძველზეც განიხილება ძირითადი გასაუმჯობესებელი და მომავალში გასათვალისწინებელი საკითხები. სკოლის დირექტორი ყოველი წლის 10 დეკემბრამდე სამეურვეო საბჭოს აბარებს ანგარიშს სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესახებ, სადაც დეტალურად განიხილება დაგეგმილი, შესრულებული თუ შეუსრულებელი ამოცანებისა თუ აქტივობების შესახებ. ყოველივე აღნიშნული არის ის წინარე გამოცდილება, რომელზე დაფუძნებით იგეგმება მომავალი საქმიანობა. კერძოდ, მასწავლებელთა ანგარიშების საფუძველზე ფასდება არსებული მდგომარეობა, ხდება ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების იდენტიფიცირება, რის შემდეგაც მუშავდება მომავალი წლის კათედრის სამოქმედო გეგმა და პრიორიტეტები. ურთიერთდასწრების გაკვეთილებზე მიღებული უკუკავშირის საფუძველზე თითოეული მასწავლებელი ინდივიდუალურად ადგენს გამოვლენილი სუსტი მხარეების გაუმჯობესების გზებს. ითვალისწინებს რა წინარე გამოცდილებას, ადგენს მომდევნო წლის სამუშაო გეგმას. არჩევს საჭიროებების შესაბამის პროფესიული განვითარების აქტივობებს.

ექსპერტთა ჯგუფმა ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი შეაფასა შესაბამისად.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. *დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

2. *კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია*
3. *კათედრის ოქმები;*
4. *პედსაბჭოს ოქმები;*
5. *დანართი 6- სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია*
6. *დანართი 7 - ერთწლიანი სამოქმედო გეგმა.*
7. *დანართი 3--II სტანდარტი*
8. *სტრატეგიული განვითარების გეგმა (2023-2030წწ)*
9. *2023-2024 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა.*
10. *N3-სკოლის საჭიროებების კვლევის ანალიზი*
11. *N6-სკოლის ვებ-გვერდისა და სოციალური ქსელის ლინკი*
12. *N23 - ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა*
13. *N28-სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია.*
14. *სამეურვეო საბჭოს ოქმები*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;**

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის გაცნობისას ჩანს, რომ სასკოლო კულტურა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროცესის განხორციელებას აქტიური სწავლა-სწავლებისა და სასკოლო პროექტების საშუალებით. იგრძნობა სკოლის საზოგადოების წევრებს შორის შემოქმედებითი და თანამშრომლობითი გარემო. დაწყებით საფეხურზე, მოსწავლის შემოქმედებით პროცესში ჩართულობის უზრუნველყოფისთვის, მასწავლებლები გეგმავენ კომპლექსური ბუნების დავალებებით მუშაობას; ვიზიტის დროს, მათ ისაუბრეს თუ როგორ აპირებენ კომპლექსური დავალების განხორციელებას - მასწავლებლები სასწავლო პროცესში ითვალისწინებენ მოსწავლეთა წინარე ცოდნას, გამოცდილებასა და ინტერესებს; ეხმარებიან მოსწავლეებს არსებული ცოდნის ახალთან დაკავშირებაში; სწავლა-სწავლებას უკავშირებენ ნაცნობ კონტექსტებსა და თემებს. კურიკულუმებში ისეთი სასწავლო თემები აქვთ შეტანილი, რომლებიც მრავალეფორვანი კომპლექსური დავალებების განხორციელების შესაძლებლობას იძლევა. მაგ: კომპლექსური დავალების პირობები, მოსწავლეებს სხვადასხვა ტიპის პროდუქტის შექმნას ავალდებულებს, როგორიცაა, პოსტერი, დიორამა, პრეზენტაცია, მენიუ სკოლის ბუფეტისთის და სხვა. ასეთი ტიპის კომპლექსური დავალებები მოსწავლის შემოქმედებით უნარებს ავითარებს. ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ სკოლას, გადმოგზავნილი აქვს კომპლექსური დავალების ფარგლებში შექმნილი მოსწავლეთა ნამუშევრები (მაგ: მეოთხე კლასი, პირველი უცხო ენა - მოსწავლეთა ნამუშევრები, თემაზე „აღდგომის ტრადიციები საქართველოში“). დაწყებით საფეხურზე, სკოლას განხორციელებული აქვს სხვადასხვა პროექტი (მაგ: „ჩემი ტანისამოსი ფერებში“, პირველი უცხო ენა, მეორე კლასი), რომლითაც დასტურდება, რომ სკოლა აქტიურად უწყობს ხელს მოსწავლის შემოქმედებითი უნარების განვითარებას. დაწყებითი საფეხურის კურიკულუმების სასწავლო თემებისა და კომპლექსური დავალების პირობების გაანალიზების საფუძველზე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სკოლა შეძლებს მოსწავლეთა აქტიურად ჩართვას შემოქმედებით სასწავლო პროცესში.

ექსპერტთა ჯგუფმა ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი შეაფასა შესაბამისად.

2. **ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში შეტანილია მოსწავლისთვის უკვე ნაცნობი სასწავლო თემები და კონტექსტები, რომელიც, მოსწავლეს, წინარე ცოდნის საფუძველზე, ახლის აგებაში დაეხმარება. კურიკულუმში ასევე გათვალისწინებულია მოსწავლის ასაკობრივი თავისებურებები, შინაგანი მზაობა და ინტერესები, რომელიც მოსწავლეს შესაძლებლობას მისცემს ახალი ცოდნა მანამდე არსებულ, საკუთარ გამოცდილებას დაუკავშიროს. კურიკულუმი კომპლექსური დავალების სასწავლო პროცესში გამოყენებას ითვალისწინებს. ამ ეტაპზე, ბუნებრივია, არ ჩანს საეტაპო აქტივობები, თუმცა მასწავლებელთა წინარე გამოცდილება, რომელიც ვიზიტის დროს გააზიარეს, ცხადყოფს, რომ მათ აქვთ უნარი, ფასილიტაცია გაუწიონ მოსწავლეს ცოდნის აგების პროცესში. წარმოდგენილი კურიკულუმები, მოცემული კომპლექსური დავალებები, სხვადასხვა ღონისძიებებში მონაწილეობა, პროექტების დაგეგმვადა განხორციელება გვაძლევს საფუძველს ვივარაუდოთ და დავასკვნათ კიდეც, რომ ახალი ცოდნის კონსტრუირება წინარე ცოდნაზე დაფუძნების გარეშე ვერ განხორციელდება, რადგან კომპლექსურ დავალებაზე, პროექტებზე მუშაობის პროცესი ხელს უწყობს წინარე ცოდნაზე დაფუძნებით, ახალი ცოდნის კონსტრუირებას და აუცილებელი ფაქტორია ამ მუშაობის პროცესში. იგივე დადასტურეს სკოლის პედაგოგებმა გასაუბრებისას. მათ აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესი ეფუძნება მოსწავლეთა წინარე ცოდნასა და გამოცდილებას, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეთა შინაგანი მოტივაციის გააქტიურებასა და მიღებული ინფორმაციის აქტიურ ცოდნად გარდაქმნის პროცესს.

ექსპერტთა ჯგუფმა ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი შეაფასა შესაბამისად.

3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე

დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში სასწავლო პროცესი დაფუძნებულია კომპლექსური ტიპის დავალებებზე, რომელიც თავისი არსიდან გამომდინარე, უზრუნველყოფს სწავლის სწავლას. კომპლექსური დავალების მოსამზადებელი აქტივობები და მისი წარდგენის ეტაპი გულისხმობს იმის გაანალიზებას მოსწავლის მხრიდან, თუ რა სტრატეგიები გამოიყენა დავალების მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. მოსწავლე პასუხობს საკვანძო შეკითხვებს, რომელიც ხელს უწყობს, გააკეთოს რეფლექსია დავალებაზე მუშაობის პროცესში. მაგალითად, ვიზიტის დროს, უცხო ენების მასწავლებლებმა, აღნიშნეს, რომ მოსწავლეებთან აქტიურად იყენებენ თვითშეფასების ფორმებს. მოსწავლე პასუხობს შეკითხვებს: რა შეასრულა კარგად, რა ცოდნამ, გამოცდილებამ, სტრატეგიამ მოუტანა წარმატება, როგორ გაუმკლავდა ხელისშემშლელ ფაქტორებს. ეს შეკითხვები მნიშვნელოვანია, რათა დეტალურად გაანალიზდეს თითოეული ნაბიჯი, სწავლის პროცესი, რასაც, შესაბამისად, მოჰყვება უკუკავშირი, როგორც თანაკლასელებისაგან, ისე მასწავლებლისგანაც. შესაბამისად, აქცენტი კეთდება მეტაკოგნიტური უნარების განვითარებაზე.

ექსპერტთა ჯგუფმა ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი შეაფასა შესაბამისად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);

დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში შეტანილი სასწავლო საკითხები, კონტექსტმაგალითები და კომპლექსური ბუნების დავალების პირობები უზრუნველყოფს სამივე კატეგორიის ცოდნის დამუშავებას. კურიკულუმების, კონკრეტული საგნობრივი საკითხების ფარგლებში დაგეგმილი, კომპლექსური ბუნების დავალებები მკაფიოდ აჩვენებს, თუ როგორ გამოიყენებენ მოსწავლეები დეკლარატიულ, პროცედურულ და პირობისეულ ცოდნას მუშაობის პროცესში. მაგალითად, გერმანული ენის მეექვსე კლასის კურიკულუმში, ერთ-ერთი კომპლექსური დავალების მიხედვით, მოსწავლეს მოეთხოვება მენიუს დამზადება სკოლის ბუფეტისთვის, რომელშიც შეიტანს ჯანსაღ საჭმელს და სასმელს. მოცემულ შემთხვევაში, მოსწავლეს დასჭირდება როგორც ლექსიკურ-გრამატიკული ერთეულების ცოდნა და მათი გამოყენება, ასევე მენიუს სათაურისა და დიზაინის მოფიქრება, საჭმელების შერჩევა, ადრესატის გათვალისწინება და სხვა, რაც უკვე წამოადგენს პირობისეულ ცოდნაზე მუშაობას.

ექსპერტთა ჯგუფმა ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი შეაფასა შესაბამისად.

5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

მოსწავლის ცოდნათა დაკავშირებისა და ორგანიზების თვალსაზრისით, დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში, სასწავლო საკითხებს გააჩნიათ ურთიერთმიმართებები. თემები ისე არის დაგეგმილი, რომ იკვეთება ცოდნის გამთლიანებისთვის საჭირო ლოგიკური კავშირები. საკითხები, ქვეცნება და ქვესაკითხი კი უკავშირდება სამიზნე ცნებას. სასწავლო კურიკულუმის გარდა, მოსწავლეთა ცოდნათა ურთიერთდაკავშირებისა და ორგანიზებისთვის მოაზრებულია კომპლექსური ბუნების დავალებები, რომლებიც ითვალისწინებს გარკვეული პროდუქტის შექმნას, მაგალითად, პოსტერი, დიორამა, პრეზენტაცია, მენიუ სკოლის ბუფეტისთის და სხვა. ასეთი ტიპის კომპლექსური დავალებები მოსწავლეს ცოდნათა ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებაში დაეხმარება. მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზებას და ურთიერთდაკავშირებას ასევე უზრუნველყოფს მოსწავლეებისთვის შეთავაზებული სასწავლო პროექტები და ღონისძიებები.

ექსპერტთა ჯგუფმა ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი შეაფასა შესაბამისად.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. *დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები;*
2. *კომპლექსური დავალების ნამუშევრები (მეოთხე კლასი, ინგლისური ენა);*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწყებით საფეხურზე, სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და მასწავლებლებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ სკოლა ახორციელებს ყველა იმ ვალდებულებას, რაც მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმით არის განსაზღვრული. კერძოდ, სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით. სკოლის ყველა მასწავლებელი მაქსიმალურად ცდილობს შედეგებზე ორიენტირებას, ამუშავებენ სამიზნე ცნებებს ნაცნობ კონტექსტზე დაფუძნებით, მკვირდი წარმოდგენების რეალიზების გზით, რასაც აზუსტებს წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები და კომპლექსური დავალებების რეფლექსიები, რომლებიც მიერმართება გრძელვადიან მიზნებს. შემოქმედებითი პროდუქტის შექმნით, მოსწავლეს ეძლევა ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით საკუთარი ცოდნის დადასტურების საშუალება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ექსპერტთა ჯგუფმა ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი შეაფასა შესაბამისად.

2. წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ირკვევა, რომ დაწყებითი კლასების მასწავლებლები სასწავლო პროცესში ითვალისწინებენ მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო - სოციალურ განვითარებას. სკოლა არა მხოლოდ ფორმალური, არამედ არაფორმალური აქტივობებითაც ცდილობს მოსწავლეთა პიროვნულ და ფსიქო -სოციალურ განვითარებას. ეხმარებიან მოსწავლეებს მათი ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენაში, ერთმანეთში პოზიტიური ურთიერთობის დამყარებაში, ემოციების მართვაში, რისთვისაც იყენებენ მრავალფეროვან სტრატეგიებს. ახორციელებენ მრავალფეროვან პროექტებს ყველა კათედრაზე, ასევე მუშაობენ ისეთ თემებზე, როგორებიცაა, ბულინგი, ემპათია, ჯანსაღი ცხოვრება, მომავალი პროფესია და ა.შ. იგეგმება და ხორციელდება გასვლითი ღონისძიებები. კურიკულუმის ჩარჩოში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების იდეები იმის მაჩვენებელია, რომ მასწავლებლები ხელს უწყობენ მოსწავლის მრავალმხრივ განვითარებას. ახორციელებენ კომპლექსური ტიპის დავალებებს, რომლის ფარგლებშიც ქმნიან პროდუქტს და მოსწავლეებს უწევთ ერთმანეთთან თანამშრომლობა, უვითარდებათ კომუნიკაციის უნარ -ჩვევები.

ექსპერტთა ჯგუფმა ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი შეაფასა შესაბამისად.

3. წარმოდგენილი კურიკულუმები მორგებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე, მის მრავალმხრივ განვითარებაზე. შესაბამისად, შეფასებაც ჰოლისტურია, რისთვისაც მასწავლებლები გამოიყენებენ შესაბამის რუბრიკებს. დაწყებითი საფეხურის მასწავლებლები პირველიდან მე-5 კლასის პირველი სემესტრის ჩათვლით მოსწავლეებს აფასებენ განმავითარებელი შეფასებით. მე-5 კლასის მეორე სემესტრში და მე-6 კლასში კი როგორც განმავითარებელი, ასევე განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებით. შეფასება ფოკუსირებულია ცოდნის აგებასა და გამოყენებაზე, შეფასება ხელს უწყობს მოსწავლეების აქტიურ ჩართულობას შეფასების პროცესში, მასწავლებლებს გააზრებული აქვთ რომ ეს არის მრავალმხრივი პროცესი, ისინი ითვალისწინებენ ეროვნული სასწავლო გეგმით შემოთავაზებულ შეფასების პრინციპებს. მასწავლებლები იზიარებენ შეფასების სისტემის მნიშვნელობას.

ექსპერტთა ჯგუფმა ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი შეაფასა შესაბამისად.

4.. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი. სასწავლო წლის დასაწყისში მასწავლებლები მოსწავლეების საჭიროებების და მიზნების მიხედვით შეიმუშავებენ შეფასების ინსტრუმენტებს. შეფასების კრიტერიუმებს აცნობენ მოსწავლეებს. მათ იციან, რომ შეფასდებიან მხოლოდ იმ საკითხში, რისი შეფასებაც აქვს მასწავლებელს განზრახული. შეფასება არის გამჭვირვალე, მოსწავლეებმა იციან თუ როგორ შეფასდება მათი შრომა. იციან რა კრიტერიუმები უნდა დააკმაყოფილოს მათმა პასუხმა თუ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაშრომმა. შეფასების რუბრიკებს ასევე აცნობენ მშობლებსაც. დაწყებითი კლასების მასწავლებლებს აქვთ მზაობა შეიმუშაონ სხვადასხვა ტიპის შეფასების რუბრიკები. ზოგიერთ საგანში შეფასების სქემა აქვთ რვეულის უკან ჩაკრული და თავად ხვდებიან თუ რა გააკეთეს კარგად და რა აქვთ გასაუმჯობესებელი, ასევე ერთ -ერთ კათედრაზე მოსწავლეებს შეფასებისთვის აქვთ ონლაინ სისტემა და დღის ბოლოს სახლიდან უგზავნიან მასწავლებელს თვითშეფასებას.

ექსპერტთა ჯგუფმა ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი შეაფასა შესაბამისად.

5.. სკოლაში დანერგილია ვერიფიკაციის მექანიზმი, რაც სასწავლო პროცესის განუყოფელი ნაწილია, რომლის მეშვეობითაც ირკვევა, რამდენად ასრულებს შეფასების სისტემა მოსწავლის მხარდაჭერის ფუნქციას, რამდენად წარმოადგენს ის სწავლა-სწავალების პროცესის საყრდენს. როგორც წესი მტკიცებულებაზე დაფუძნებული ვერიფიკაცია მოსწავლეთა ჩართულობით ხორციელდება. სკოლის ვერიფიკაციის მექანიზმით რეგულირება შემდეგი საკითხები: შეფასების დიზაინი, შეფასების განმახორციელებელი რგოლი, შერჩევის პრინციპები, ვერიფიკაციის პროცესის აღწერა, შედეგები, შედეგების ასახვა და სამოქმედო გეგმა. აღნიშნული მექანიზმი შესაძლოა გაწერილი იყოს შეფასების სისტემის რეგულაციაში, ან არსებობდეს დამოუკიდებლად. სკოლა სასწავლო წლის დასაწყისში და ბოლოს ატარებს სადიაგნოსტიკო ტესტირებას, რომლისთვისაც იყენებს ჯიპრაიდის ტესტების ნიმუშებს. შემდეგ შესაბამისი პასუხებით აკეთებს ანალიზს, ადგენენ სქემებს, რომელი საკითხი გაუჭირდათ მოსწავლეებს, რომელი გააკეთეს ყველაზე კარგად. რომელ საგანში იყო ყველაზე კარგი შედეგი და შესაბამისად ისახავენ გამოსწორების გზებს.

ექსპერტთა ჯგუფმა ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი შეაფასა შესაბამისად.

6.სკოლა იცავს დოკუმენტის წარმოებასთან და შენახვასთან დაკავშირებული რეგულაციებს. სკოლაში ელექტრონული ჟურნალის მეშვეობით ხდება მოსწავლეთა შედეგების აღრიცხვა. სკოლა იცავს მოსწავლეთა პირადი საქმეების და მათი შეფასებების შენახვის წესს, რომელიც განსაზღვრულია საქართველოს კანონმდებლობით. ამასთანავე, სკოლა განსაზღვრავს მოსწავლეთა შემაჯამებელი სამუშაოების, პორტფოლიოების, პროექტების შენახვის წესსა და ფორმას, რომელიც შეიძლება იყოს როგორც ელექტრონული ასევე მატერიალური. სკოლა ინახავს ამ დოკუმენტაციას 3 წლის ვადით.

ექსპერტთა ჯგუფმა ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი შეაფასა შესაბამისად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ველა საგნის კურიკულუმის ჩარჩოები;

1.კურიკულუმის ჩარჩოები
2.შეფასების სქემები;
3.ვერიფიკაციის მექანიზმი;
4.მასწავლებლის პორტფოლიო;
5.კომპლექსური დავალების რეფლექსია;
6.კათედრის ოქმი;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ შემუშავებულ სასკოლო სასწავლო გეგმაში, გაწერილი საკითხები მისიისა და ხედვის შესახებ სასწავლო პროცესის ორგანიზების, შეფასების სისტემის, საგნობრივი კათედრების ფუნქციონირებისა და სადამრიგებლო პროგრამების შესახებ მიმართულია სკოლაში მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემოს შექმნისაკენ. რამდენად გეგმავს და წარმართავს სკოლა მოსწავლეზე ორიენტირებულ სასწავლო პროცესს, ასევე, სკოლის მიერ შემუშავებული საგნობრივი პროგრამები, რომლებიც აძლევს საშუალებას მოსწავლეებს პიროვნული ზრდისთვის, მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების წესები, რომელიც ორიენტირებულია მოსწავლის განვითარებაზე და სასწავლო პროცესის მხარდამჭერი და გაუმჯობესების გზის მაჩვენებელია. სკოლის მიერ წარმოდგენილ სტრატეგიული განვითარების გეგმაშია აღნიშნული, რომ სკოლა უზრუნველყოფს სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაციის შემუშავებას და განხორციელებას. არსებულზე დაყრდნობით, მომავალ წელს გაუმჯობესდება სასწავლო პროცესში მხარდაჭერა და მიმღებლობა, კათედრის წევრებს შორის თანამშრომლობითი ურთიერთობები, ასევე მხარდამჭერი და პოზიტიური გარემოს დასტურია. ყველივე ეს იძლევა იმის თქმის საშუალებას, რომ სასწავლო პროცესში შექმნილია პოზიტიური გარემო, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლის ფუნქციურ-კომპონენტური უნარების გააქტიურებას. (კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, კომუნიკაცია, კოლაბორაცია, მოქალაქეობა, პასუხისმგებლობა, ეთიკა).

ექსპერტთა ჯგუფმა ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი შეაფასა შესაბამისად.

2. სკოლის მიერ მოწოდებული კურიკულუმებიდან, კომპლექსური დავალების ნიმუშებიდან, სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტში აღწერილი სკოლის ფილოსოფიის ნაწილიდან გამომდინარე, ნათლად ჩანს, რომ სასწავლო პროცესში მასწავლებლები ორიენტირებული არიან მოსწავლის წარმატებასა და პროგრესზე. სასწავლო წლის დასაწყისში იქმნება ერთწლიანი სამოქმედო გეგმა. მასწავლებლები ხელს უწყობენ მოსწავლეებს იმაში, რომ განავითარონ თავიანთი ძლიერი მხარეები, ყურადღება გაამახვილონ სუსტ მხარეებზე. სადაც მკაფიოდ არის გაწერილი სწავლა-სწავლების ხუთივე კონსტრუქტივისტული პრინციპი, რომლებსაც დაეფუძნება სასწავლო პროცესი, შემიძლია დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი მომავალ სასწავლო წელს წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად.
სკოლას შემუშავებული სამივე საფეხურზე საგნობრივი კურიკულუმები და დაგეგმილი აქვს სასწავლო პროცესი შუალედური სასწავლო მიზნებით, შესაბამისად კომპლექსური დავალებებით სწავლება. პედაგოგს საშუალებას აძლევს უზურნველყოს ყველა მოსწავლის ჩართვა სასწავლო პროცესში, მოსწავლეებში თანამშრომლობითი უნარების განვითარება და შექმნას ეფექტური გარემო მოსწვალეთა შესაძლებლობების რეალიზებისთვის.

ექსპერტთა ჯგუფმა ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი შეაფასა შესაბამისად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

3. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ნათლად ჩანს, რომ სასწავლო პროცესი ნამდვილად ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას. კურიკულუმების შემუშავების მეთოდოლოგია, მასწავლებელთა ურთიერთდასწრების ფორმები, მშობლების ჩართულობა სასწავლო პროცესში, მათი რეკომენდაციები ცხადყოფს სასკოლო საზოგადოების თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას. გასაუბრების დროსაც მკაფიოდ იგრძნობოდა სკოლის საზოგადოების წევრებს შორის შემოქმედებითი და თანამშრომლობითი გარემო. სკოლა უზრუნველყოფს ეფექტურად დაგეგმოს თანამშრომლობა სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის (მოსწავლე, მშობელი, მასწავლებელი, სკოლის დირექცია, ადმინისტრაცია).

ექსპერტთა ჯგუფმა ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი შეაფასა შესაბამისად.

4. პედაგოგებთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ შექმნილია სკოლაში პოზიტიური გარემო სკოლისა და კლასის დონეზე, შესაბამისად სასკოლო საზოგადოების წევრები ინტენსიურად არიან ჩართული სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში, გეგმავენ და ახორციელებენ სხვადასხვა პროექტებსა და არაფორმალური განათლების მიმართულებით დაგეგმილ აქტივობებს, რომელიც ასახული და გაწერილი აქვთ ერთ წლიან სამოქმედო გეგმაში. ასევე სკოლის შინაგანაწესში აღნიშნულია, რომ ხელმძღვანელობის დამოკიდებულება სასწავლო პროცესისა და პედკოლექტივის მიმართ უზრუნველყოფს პოზიტიური და მეგობრული გარემოს შექმნას როგორც სკოლის შიგნით, ისე კლასის დონეზე. ინტერვიუების დროს აღინიშნა, რომ მოსწავლის ნებისმიერი მოსაზრება, იდეა, შეხედულება მისაღებია და მას აქვს შესაძლებლობა საკუთარი აზრის ღიად, თავისუფლად გამოხატვისა, რაც მნიშვნელოვნად უწყობს ხელს პოზიტიური საკლასო თუ სასკოლო კლიმატის შექმნას.

ექსპერტთა ჯგუფმა ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი შეაფასა შესაბამისად.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1,კურიკულუმის ჩარჩოები
2.შეფასების სქემები;
3.ვერიფიკაციის მექანიზმი;
4.მასწავლებლის პორტფოლიო;
5.კომპლექსური დავალების რეფლექსია;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

6.კათედრის ოქმი;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად.

სკოლას წარმოდგენილი აქვს ,,სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია", რომლის მიხედვითაც, სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება წარიმართება კათედრების წევრებისა და დირექციის აქტიურ თანამშრომლობით. მონიტორინგი და შეფასება ითვალისწინებს რამდენიმე მიმართულებას, როგორც მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირებას ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით, ისე სკოლის ბაზაზე მასწავლებლის პროფესიულ განვითარებას, სადაც იქნება შესაძლებლობა პედაგოგიური პრაქტიკასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირება და სკოლის ინსტიტუციური განვითარებას, სადაც იქნება საშუალება სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში თანამშრომლობითი პროცესების განვითარების და გაძლიერების.2023-2024 სასწავლო წლისთვის სკოლის მიერ შერჩეულ იქნა მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმის ფარგლებში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

წარმოდგენილი შეფასების მეორე მოდელი. სასკოლო საზოგადოების ინტერვიურების პროცესში მკაფიოდ გამოიკვეთა, რომ ასევე იგეგმება კათედრებზე მონიტორინგის სისტემის გაწერა, მოხდება დიაგნოსტიკური შეფასებების, მათ ანალიზისა და შემაჯამებლის ანალიზზე დაკვირვებით მოსწავლეთა საჭიროებების გამოკვეთა, მოხდება ამ მონაცემების დამუშავება, საერთო სურათის გამოკვეთა და პროცესში მოსწავლეთა მონაცემების რეფლექსია. მოცემული შედეგების საფუძველზე გაიცემა რჩევები და რეკომენდაციები, რომელიც გაზიარებული იქნება ერთი კათედრიდან სხვა კათედრებისთვის, რაც საბოლოოდ ასახვას პოვებს სკოლის დონეზე. საჭიროებიდან გამომდინარე პროცესში მაქსიმალურად მოხდება - მშობელთა ჩართულობა, რაც საბოლოოდ დადებითად აუკმულირდება მოსწავლის აკადემიურ, სოციალური და ინტერკულტურულ დონეზე.

ექსპერტთა ჯგუფმა ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი შეაფასა შესაბამისად.

2.მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;

სკოლის მიერ წარმოდგენილი განმავითარებელი შეფასების რუბრიკები არის იმის მტკიცებულება, რომ შეფასება ემსახურება მოსწავლეთა მხარდაჭერას და დახმარებას. სასკოლო საზოგადოებას, მასწავლებლებს გათვითცნობიერებული აქვთ, რომ ყველა მოსწავლის წარმატებაზე დაკვირვებისთვის აუცილებელია კარგად იცნობდნენ მოსწავლეთა ემოციურ თუ სოციალურ მდგომარეობას, მოსწავლეთა ფსიქოემოციურ "პორტრეტს", ამიტომ სასკოლო საზოგადოებაში ჩართული ყველა მასწავლებლები მჭიდროდ თანამშრომლობენ ჯერ კადრების დონეზე, შემდგომ სკოლის დონეზე. მასწავლებლები მჭიდროდ თანამშრომლობენ ასევე კლასის დამრიგებლებთან. აქტიურად მიმდინარეობს სასკოლო საზოგადოების მხარდაჭერა დირექციის მხრიდან, რასაც მოწმობს მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის ფარგლებში სკოლის დირექტორის ბრძანებით შექმნილი ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, რომლიც აკვირდება მასწავლებლის საქმიანობას (მათ შორის, საგაკვეთილო პროცესს), აფასებს და აძლევს განსავითარებელ უკუკავშირს უკეთესი პროგრესის მისაღებად.

ექსპერტთა ჯგუფმა ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი შეაფასა შესაბამისად.

3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრების პროცესში გამოიკვეთა, რომ პედაგოგები თვლიან მონიტორინგი და შეფასება უნდა ემსახურებოდეს წარმოქმნილი პრობლემების გადაჭრის გზების ძიებას და შესაბამისი ინტერვენციების /ქმედებების დაგეგმვას, რაც პრობლემის გაუმჯობესების ერთ-ერთი რელევანტური გზაა. იგივე შეგვიძლია დავასკვნათ სკოლის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

კითხვარიდან. სასწავლო პროცესის მონიტორინგი ხორციელდება სკოლის დირექტორისა და მოადგილის მიერ საგაკვეთილო პროცესზე დასწრებით/დაკვირვებით, რა დროსაც დგინდება მასწავლებლების გამოწვევები/საჭიროებები და ისახება პრობლემის გადაჭრის გზები. მასწავლებლები იზიარებენ და ითვალისწინებენ ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის განსავითარებელ შეფასებას, მიცემულ უკუკავშირს, ასევე კათედრის წევრთა ურთიერთდასწრების შედეგად გაზიარებულ გამოცდილებას. საბოლოოდ ეს ყველაფერი ერთიანობაში ქმნის სასკოლო კულტურის გაუმჯობესებას და სწავლა-სწავლების ეფექტიანობას, რაც მესამე თაობის ესგ-ის მოთხოვნებს პასუხობს.

ექსპერტთა ჯგუფმა ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი შეაფასა შესაბამისად.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. *საშუალო საფეხურის კურიკულუმები;*
2. *შეფასების რუბრიკები*
3. *მოსწავლის ნამუშევრები*
4. *დირექტორის მოადგილის ანგარიში*
5. *სასკოლო სასწავლო გეგმა*
6. *სასკოლო კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია*

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

1. ინდიკატორის მტკიცებულებად სკოლამ წარმოადგინა სასკოლო კურიკულუმები, სამუშაო შეხვედრის ოქმი, მასწავლებლის ანგარიში და ერთწლიანი სამოქმედო გეგმა (2022-2023). აღნიშნულ დოკუმენტების ანალიზის შედეგად და მასწავლებლებთან ინტერვიუების დროსაც დადგინდა, რომ სასწავლო პროცესში შეფასებისას ეყრდნობიან არა მარტო მოსწავლეთა აკადემიურ მიღწევებს, არამედ მათ შესახებ მოპოვებულ სხვა ინფორმაციებსაც, მაგალითად, ეს შეიძლება იყოს ოჯახური და სოციალური პირობები, პიროვნული მახასიათებლები, მათი ძლიერი თუ სუსტი მხარეები და ა.შ. ამის შესახებ ცნობებს იღებენ მოსწავლეზე დაკვირვებით, კოლეგებისგან, დამრიგებლისგან, თანაკლასელისგან. ამასთან ერთად, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტთან თანამშრომლობით სკოლაში ხორციელდება კვლევა, რომელიც ითვალისწინებს მასწავლებლის საქმიანობაში არსებული გამოწვევების კვლევას, მათზე კრიტიკულად რეფლექსიას და გადაჭრის გზების ძიებას. სკოლა მოსწავლეებში ქცევის წესების გამომუშავების მიზნით სხვადასხვა აქტივობებსაც ატარებს. გარდა ამისა, სკოლა შეფასების პროცესში ყურადღებას ამახვილებს და წყაროდ განიხილავს კათედრის თავმჯდომარის, დირექტორის მოადგილის, ინკლუზიური განათლების, არაფორმალურ განათლებასა და სასწავლო პროექტებზე მუშაობის ამსახველ დოკუმენტებს. აღნიშნულ ინფორმაციაზე დაყრდნობით მასწავლებლები ქმნიან სასკოლო კურიკულუმებს, შეფასების რუბრიკებსა და ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს. **ექსპერტთა ჯგუფმა ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი შეაფასა შესაბამისად.**

2. სკოლის მიერ მოწოდებულ კურიკულუმებში წარმოდგენილი თემები, საკითხები, კომპლექსური დავალებების იდეები იძლევა საშუალებას, რომ მოსწავლე შეფასდეს მრავალფეროვანი კონტექსტების გათვალისწინებით. დაწყებით საფეხურზე იგეგმება შეფასების რუბრიკების გამოყენება, რომლებიც დაფუძნებული იქნება სამიზნე ცნებების იერარქიასა და მასთან დაკავშირებულ მკვიდრ წარმოდგენებზე. გარდა ამისა, შეიქმნება განმავითარებელი შეფასების მრავალფეროვანი რუბრიკები, სადაც განსაზღვრული იქნება, თუ რა მოლოდინები უნდა ჰქონდეთ მოსწავლეებისგან თითოეულ სამიზნე ცნებასთან მიმართებით. გარდა ამისა, მოსწავლეებთან მუშაობის დროს ყურადღება ექცევა პოზიტიურ სასწავლო გარემოს, ითვალისწინებს მოსწავლეთა ჩართულობას, ინტერესებსა და შესაძლებლობებს. გარდა ამისა, მასწავლებლებმა ინტერვიუში აღნიშნეს, რომ მოსწავლეები ახდენენ ურთიერთშეფასებას და თვითშეფასებას.
ექსპერტთა ჯგუფმა ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი შეაფასა შესაბამისად.

3. სკოლამ მტკიცებულებად წარმოადგინა სასკოლო კურიკულუმები, სამუშაო შეხვედრის ოქმი, მასწავლებლის ანგარიში და ერთწლიანი სამოქმედო გეგმა (2022-2023), რომელთა დამუშავების შემდეგად ირკვევა, რომ სკოლა იყენებს სხვადასხვა სახის რუბრიკას, გეგმავს მათ დახვეწასა და განვითარებას ეროვნული სასწავლო გეგმის, ასევე სადიაგნოსტიკო წერების, საკლასო და საშინაო დავალებების შედეგების გათვალისწინებით. გარდა ამისა, კომპლექსური დავალებები შეფასების სხვადასხვა, მრავალფეროვანი ინსტრუმენტების გამოყენების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____
_____

შესაძლებლობას იძლევა. ამასთან ერთად, სკოლაში იგეგმება სხვადასხვა სასწავლო აქტივობები (პრეზენტაციები, სასკოლო ღონისძიებები), რაც მოიაზრებს მრავალფეროვან მონაცემთა შეგროვების მეთოდებს.

ექსპერტთა ჯგუფმა ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი შეაფასა შესაბამისად.

4. სკოლამ ინდიკატორის მტკიცებულებად წარმოადგინა რესურსი 12, 2023-2024 სასწავლო წლებში სკოლაში ჩატარდება სადიაგნოსტიკო წერა, წელიწადში ორჯერ, სასწავლო წლის დასაწყისსა და დასასრულს. შეფასებისას გათვალისწინებული იქნება როგორც მოსწავლის აკადემიური დონე, მოსწავლის პროგრესი სასწავლო წლის დასაწყისიდან დასასრულამდე. მტკიცებულებებში აგრეთვე მოცემულია ერთ-ერთი საგნის მასწავლებლის ანგარიში, რომლის მიხედვითაც ირკვევა, რომ მასწავლებელი აწარმოებს მოსწავლეების როგორც აკადემიური, აგრეთვე ფუნქციური უნარების ანალიზს. აკადემიური უნარების შეფასება ხორციელდება განმსაზღვრელი და განმავითარებელი რუბრიკების დახმარებით.

ექსპერტთა ჯგუფმა ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი შეაფასა შესაბამისად.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. *სასკოლო კურიკულუმები*
2. *სამუშაო შეხვედრის ოქმი*
3. *მასწავლებლის ანგარიში*
4. *ერთწლიანი სამოქმედო გეგმა (2022-2023)*
5. *განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები*
6. *რესურსი 12*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
პედაგოგთა ინტერვიურების პროცესიდან და სკოლის თვითშეფასების კითხვარიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ კურიკულუმი გადაიხედება, მოხდება მისი გადასინჯვა საგნობრივ კათედრებზე. საჭიროებიდან გამომდინარე, შეიქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო პაკეტი; კათედრის სამუშაო შეხვედრებზე, მასწავლებლები განიხილავენ მანამდე შექმნილ კურიკულუმს და შეფასების კრიტერიუმებს, ერთმანეთს უზიარებენ გამოცდილებას და გადამუშავების საფუძველზე შეეცდებიან შექმნან კურიკულუმის საუკეთესო მოდელები ,სადაც გათვალიწინებული იქნება სკოლის "ავტონომიური ბუნება" და ხედვა.
ექსპერტთა ჯგუფმა ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი შეაფასა შესაბამისად.

2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.
საგნობრივ კათედრაზე მასწავლებლებს შემუშავებული აქვთ კომპლექსური დავალებების იდეები, რომელიც პასუხობს მესამე თაობის ესგ-ის მოთხოვნებს. საგნობრივ მეთოდოლოგიურ ორიენტირებს. სასკოლო საზოგადოების კათედრების წევრმა პედაგოგოებმა აღნიშნეს კურიკულუმების განხილვა მომავალშიც გაგრძელდება, ჯერ კატედრის დონეზე, შემდეგ სკოლის დონეზეც. კათედრები გაითვალისწინებენ წინარე გამოცდილებას, ასევე მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.
ექსპერტთა ჯგუფმა ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი შეაფასა შესაბამისად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. *საშუალო საფეხურის კურიკულუმები;*
2. *შეფასების რუბრიკები*
3. *მოსწავლის ნამუშევრები*
4. *დირექტორის მოადგილის ანგარიში*
5. *სასკოლო სასწავლო გეგმა*
6. *სასკოლო კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

.....

.....

.....

.....

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

.....
თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

სტანდარტი 2 **სასკოლო კურიკულუმი** საბაზო საფეხური	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* ☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

2. სასკოლო კურიკულუმი
2.1. კურიკულუმის შემუშავება
2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.**კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;**
სსიპ-თამარ მეფის სახელობის წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ გეგუთის N1 საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ,,სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია'' (დამტკიცებული 24.08.2023წ.N2-140 ბრძანებით) და 05/07/2023 წ. N2-124 ბრძანებით დამტკიცებული, კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია'', ნათლად არის გაწერილი, რომ სასკოლო კურიკულუმის კონცეპტუალურ ჩარჩოზე მუშაობა ეფუძნება საგნობრივ სტანდარტებს, რომელთა მისაღწევი შედეგები განისაზღვრება საფეხურის დონეზე და მათზე დაყრდნობით სკოლა ქმნის წლიურ პროგრამასა და სასკოლო სასწავლო გეგმას. შესაბამისად ყველა ის პრიორიტეტი და სასკოლო საზოგადოების ინტერესები, შესაძლებლობები და შეხედულებები გათვალისწინებულია ზემოთ აღნიშნულ დოკუმენტებში. პრიორიტეტები, რომელიც სკოლას წარმოდგენილი აქვს სკოლის ფილოსოფიის ნაწილში სკოლის მისიის, ხედვის და ღირებულებების სახით შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების აზრის გათვალისწინებით, რასაც სკოლის მიერ ჩატარებული კვლევა ადასტურებს.
ექსპერტთა ჯგუფმა ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი შეაფასა შესაბამისად.

2.კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;

სკოლის მიერ წარმოდგენილი სტრატეგიული განვითარების გეგმის (2023-2030წწ), პედაგოგიური საბჭოს N4 ოქმი(28.07.2023)-ის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ კურიკულუმში ასახული და გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები. კერძოდ, მასწავლებლების რეფლექსიები, მოსწავლის სწავლის შედეგების ანალიზები, საჭიროებებზე დაფუძნებული პროფესიული მხარდაჭერის მექანიზმი (საველე კვლევითი ლაბორატორია, ბიზნეს ფორუმში მონაწილეობა; პროექტი -,,მოსწავლეებში შრომითი უნარების განვითარება"; პროგრამა- ,,ტანსაცმლის დამზადების საწყისები") არაფორმალური განათლების პრევენციული და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ინტერვენციული ხედვა უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების ყველა ინტერესების კურიკულუმში ასახვას. **ექსპერტთა ჯგუფმა ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი შეაფასა შესაბამისად.**

3.კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;

სსიპ-თამარ მეფის სახელობის წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ გეგუთის N1 საჯარო სკოლაში არსებული სასკოლო კულტურა და კლიმატი, განხორციელებული უამრავი სასწავლო აქტივობა, როგორც ფორმალური ასევე არაფორმალური განათლების მიმართულებით, ასევე მათ მიერ წარმოდგენილი მნიშვნელოვანი დოკუმენტები: სტრატეგიული განვითარების გეგმა (2023-2030წწ), 2023-2024 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა, პედაგოგიური საბჭოს ოქმები დასტურია იმისა, რომ მათ მიერ შემუშავებული სასკოლო კურიკულუმი, გარდა იმისა, რომ აღწერს მოსწავლის განვითარების გზას, ასევე წარმოაჩენს თანხმობას, თანამშრომლობას, გუნდურობას სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის. კერძოდ,საგნობრივ კურიკულუმს შეიმუშავებს მასწავლებელი და განსახილველად წარადგენს კათედრაზე. კოლეგებთან შეთანხმებით შემუშავდება კურიკულუმის საბოლოო ვერსია, რაც დამტკიცდება მომდევნო სასწავლო წლის დასაწყისში. მომდევნო სასწავლო წლის მანძილზე მან მონაწილეობა უნდა მიიღოს კათედრის წევრებთან ერთად სასწავლო პროცესის ძლიერი და სუსტი მხარეების გაანალიზებაში და სამუშაო პროცესში უნდა გაითვალისწინოს რეკომენდაციები, რასაც კათედრა და სკოლის დირექცია შეიმუშავებს. წლის ბოლოს წარადგინოს ანგარიში საგნობრივი კურიკულუმის შესაბამისად განხორციელებული აქტივობების შესახებ.კათედრის თავმჯდომარემ უნდა შეაგროვოს კათედრის წევრების მიერ გამოგზავნილი მასალები და ფასილიტაცია გაუწიოს კათედრის სხდომებს, უნდა უზრუნველყოს კათედრის სხდომების ჩატარება სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესში გამოკვეთილი პრობლემების შესასწავლად, ინოვაციების დასანერგად და დანერგვის პროცესისთვის საჭირო დოკუმენტების/მასალების მოსამზადებლად; მონაწილეობა უნდა მიიღოს სკოლის დონეზე კურიკულუმის განვითარებასთან დაკავშირებული საკითხების განხილვაში, იყოს შუამავალი სკოლის დირექციასა და პედაგოგებს შორის.კურიკულუმის შემუშავება-განხორციელების პროცესში სკოლის დირექციის ფუნქციაა უხელმძღვანელოს ხარისხის მართვის პროცესს, გაამთლიანოს კათედრის ხელმძღვანელების მიერ მოწოდებული მასალები სასწავლო პროცესის მიმდინარეობასთან დაკავშირებით; მასწავლებლებთან ერთად მონაწილეობა მიიღოს პედაგოგიკური პრაქტიკის შესწავლაში; უზრუნველყოს მიღებული შედეგების დოკუმენტირება და სასკოლო საზოგადოების წინაშე პრეზენტაცია; კათედრის ხელმძღვანელებთან თანამშრომლობით უზრუნველყოს სასკოლო კურიკულუმის ყოველწლიურად განახლება და დასამტკიცებლად მომზადება; **ექსპერტთა ჯგუფმა ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი შეაფასა შესაბამისად.**

4.კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

სკოლის დირექციასთან, კათედრებთან შეხვედრისას, სკოლის საჭიროებების კვლევის ანალიზის და ყველა საჭირო დოკუმენტაციის გაცნობის საფუძველზე აშკარად იკვეთება რომ სასკოლო საზოგადოებას აქვს სრული მიკუთვნებულობის განცდა სასკოლო კურიკულუმის მიმართ. სასკოლო კურიკულუმი და მისი მხარდაჭერი დოკუმენტი ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული მხარისთვის. ამისთვის კი სკოლა იყენებს სხვადასხვა მრავალფეროვან საკომუნიკაციო საშუალებებს. **ექსპერტთა ჯგუფმა ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი შეაფასა შესაბამისად.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სსიპ -თამარ მეფის სახელობის წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ გეგუთის N1 საჯარო სკოლის 2023-24 სასწ/წლის სამოქმედო გეგმა ;
- კათედრის ოქმები;
- პედსაბჭოს ოქმები;
- დანართი 6- სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია
- დანართი 7 - ერთწლიანი სამოქმედო გეგმა.
- დანართი 3--II სტანდარტი
- სტრატეგიული განვითარების გეგმა (2023-2030წწ)
- 2023-2024 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა.
- N3-სკოლის საჭიროებების კვლევის ანალიზი
- N6-სკოლის ვებ-გვერდისა და სოციალური ქსელის ლინკი
- N28-სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია.
- სამეურვეო საბჭოს ოქმები
- საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

1. **შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;**

საგნობრივი კათედრების მიერ შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესისი დაგეგმვისა და განვითარების გზას, ეს გამოჩნდა კომპლექსურ დავალებებში, რომლებიც კათედრებმა შეარჩიეს მოსწავლეთა შესაძლებლობების შესაბამისად. სწავლა-სწავლების პროცესი ისეა დაგეგმილი საბაზო საფეხურზე, რომ ორიენტირებულია მოსწავლეზე და მიმართულია ესგ-ის, ზგემ-ის და საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრული შედეგების მიღწევაზე. საგაკვეთილო პროცესში მასწავლებლის მხრიდან გამოყენებულია სხვადასხვა აქტივობა, რომლებსაც მივყავართ კონკრეტულ პროდუქტამდე, კომპლექსურ დავალებამდე, ხელს უწყობს მოსწავლის ინდივიდუალურ წინსვლასა და მისი პოტენციალის მაქსიმალურად გამოყენებას. საბაზო საფეხურზე სწავლის მიზნები ფორმულირებულია სტანდარტის შედეგებისა და სამიზნე ცნებების სახით. სასწავლო პროცესი ყველა საგანში იგეგმება თემატურად, რათა მოსწავლე ჯერ შუალედურ, საბოლოოდ კი საფეხურის გრძელვადიან მიზნებზე გავიდეს. თითოეული თემის ფარგლებში მოსწავლეები ამუშავებენ სტანდარტის შედეგებსა და სამიზნე ცნებებს. სიღრმისეული სწავლის უზრუნველყოფა ხორციელდება კონსტრუქტივისტული მიდგომით, რაც გამოიხატება იმაში, რომ კურიკულუმი მუშავდება მოსწავლეთა წინარე ცოდნაზე დაყრდნობით. სავალდებულო თემის ფარგლებში გამოკვეთილია ძირითადი საკითხები, შერჩეული სასწავლო პროგრამა ეფუძნება სახელმძღვანელოებით შემოთავაზებულ მასალას. საგნობრივ კურიკულუმებში ფორმულირებულია საფეხურებრივი საგნის სტანდარტები. მათი რეალიზების გზები ნაჩვენებია კომპლექსური დავალებების სახით. სწავლის შედეგები თითოეულ საგანში მოცემულია სამიზნე ცნებების სახით. შემაჯამებელ და კომპლექსურ დავალებებში გამოკვეთილია კონსტრუქტივიზმის პრინციპები. მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესი ეფუძნება მიდგომას, რომ ყველა მოსწავლე არის უნიკალური თავისი შესაძლებლობებით, ფსიქო-ემოციური და ფიზიკური მახასიათებლებით, სწავლის სტილით, გამოცდილებით, ინტერესებით და საჭიროებებით. ვინაიდან კურიკულუმი დახვეწის პროცესშია, სასურველია, მასწავლებლებმა მომავალი სასწავლო წლიდან ისე დაგეგმონ სასწავლო პროცესი, რომ მეტი აქცენტი გააკეთონ თემის ფარგლებში უფრო მეტი კომპლექსური ბუნების დავალების განხორციელებაზე ყველა სამიზნე ცნების გააქტიურებით. **ექსპერტთა ჯგუფმა ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი შეაფასა შესაბამისად.**

2. **კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);**

კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს, რადგან მასში არის გათვალისწინებული მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის ცვლილებები. კომპლექსურ დავალებებში, პირობის შინაარსთან ერთად, მითითებულია მოსწავლის მიერ შესასრულებელი პროდუქტის სახე. კომპლექსური და შემაჯამაბელი დავალებები ხელს უწყობს მოსწავლეებში გრძელვადიანი მიზნების მიღწევას, კერძოდ, შემოქმედებითი, კრიტიკული აზროვნების, სოციალური უნარების განვითარებას და ა.შ. კომპლექსურ და შემაჯამებელ დავალებებში გაწერილია სამიზნე ცნებები და შედეგები. კურიკულუმები განსაზღვრავს ეროვნული სასწავლო გეგმით გრძელვადიან მიზნებს. კომპლექსური დავალებები, კლუბური სამუშაოები, რომლებიც მასწავლებლებმა განახორციელეს საკუთარ კლასებში, ითვალისწინებს გრძელვადიანი მიზნებს. ეს ხელს უწყობს მოსწავლეთა მოტივაციის ზრდასა და მათ მოწესრიგებულ ქცევას. ეროვნული სასწავლო გეგმის თითოეული შედეგი უკავშირდება საგნობრივ სამიზნე ცნებას. ეროვნულ სასწავლო გეგმაში საბაზო საფეხურის კლასებში ყველა საგნისთვის განსაზღვრულია რამდენიმე სამიზნე ცნება. საფეხურის დონეზე მათი დაუფლება,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შედეგებთან ერთად, საგნის სწავლა-სწავლების გრძელვადიან მიზანს წარმოადგენს. სასკოლო სასწავლო გეგმა და საგნობრივი კურიკულუმი გამომდინარეობს ეროვნული სასწავლო გეგმიდან, მორგებულია სასკოლო საჭიროებებს და სრულად პასუხობს ესგ-ს მიერ დადგენილ მოთხოვნებს. სამიზნე ცნებების სრულად დაფარვის მიზნით მომავალში გაიზრდება კომპლექსური დავალებების რაოდენობა კლასებში. **ექსპერტთა ჯგუფმა ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი შეაფასა შესაბამისად.**

3. **სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;**

საბაზო საფეხურის კურიკულუმებში კომპლექსური დავალების ფარგლებში წარმოდგენილია მრავალფეროვანი რესურსები, შედეგების მიღწევის ტაქსონომიისა და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რაც ხელს შეუწყობს სასწავლო პროცესის მოქნილობას და თითოეული მოსწავლის ინიდივიდუალური საჭიროებების, შესაძლებლობებისა და სწავლის პოტენციალის გათვალისწინებას. ინკლუზიური სწავლების პრინციპის მიხედვით სკოლა ორიენტირებულია ყველა ბავშვს თანაბრად ჰქონდეს შესაძლებლობა საინტერესო და პროდუქტიული სასწავლო პროცესის მონაწილე იყოს. ხდება მასალის ადაპტირება. მასწავლებლები მნიშვნელოვან საკითხად თვლიან, რომ გაიზარდოს გაკვეთილზე დიფერენცირების ხვედრითი წილი, გეგმავენ ამ საკითხზე გაეცნონ უფრო მეტ ლიტერატურას და გაიზიარონ ერთმანეთის გამოცდილება. მნიშვნელოვანია ამ ეტაპზე შეიქმნას ისეთი საგნობრივი კურიკულუმები და შეფასების რუბრიკები, რომელიც უფრო მეტად შესაძლებელს გახდის თითოეული მოსწავლის ინტერესისა და შესაძლებლობის გათვალისწინებას. თანაბრად ხელმისაწვდომი განათლება გულისხმობს პროცესის ისე დაგეგმვას და ჩატარებას, რომ უზრუნველყოფილი იყოს ყველა მოსწავლის ხელმისაწვდომობა განათლებაზე, ჩართულობაზე, თანამონაწილეობის გაზრდასა და სასწავლო შედეგების მიღწევაზე. საგაკვეთილო პროცესში მასწავლებლები ცდილობენ სხვადასხვა სწავლების სტრატეგიებისა და მეთოდების გამოყენებით გაზარდონ სსსმ მოსწავლის აქტივობებსა თუ კომპლექსური დავალებების შესრულების პროცესში ჩართულობა. ხდება კომპლექსური დავალების, სქემების, შეფასების რუბრიკების ადაპტირებას მოსწავლეთა შესაძლებლობებისა და საჭიროებების მიხედვით. ხორციელდება დიაგნოსტიკურ შეფასება. მაგ. მესამე კლასებში ყოველ სასწავლო წელს, წელიწადში ორჯერ/სამჯერ ხორციელდება მოსწავლეთა დიაგნოსტიკურ შეფასება. დიაგნოსტირებისათვის მასწავლებლები იყენებენ დიაგნოსტიკურ ტესტებს. მოსწავლეთა მიღწევებს ადარებს და აანალიზებს სემესტრისა და წლის ბოლოს, ადგენს მოსწავლეთა საჭიროებებს, განსაზღვრავს ინტერვენციებს კოლეგებთან ერთად მომავალი სასწავლო წლისათვის. ტესტირების შედეგებს უზიარებს კათედრის წევრებს. სკოლას შემუშავებული აქვს ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა, რომელიც ითვალისწინებს მოსწავლის შეფასებას, საჭიროების შემთხვევაში სსსმ მოსწავლისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებასა და მშობელთან კუნსულტირებას, რაც უზრუნველყოფს სსსმ მოსწავლის საჭიროებების, შესაძლებლობებისა და ინტერესების გათვალისწინებას სასწავლო პროცესში. კომპლექსური დავალებების პირობის, შეფასების რუბრიკებისა და ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმის გაცნობით, ასევე მასწავლებლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს. მომავალი სასწავლო წლიდან სკოლა შეეცდება, უფრო მეტი ხარისხით დანერგოს დიფერენცირებული მიდგომები სასწავლო პროცესში, ხელი შეუწყოს მასწავლებელთა კომპეტენციის ამაღლებას და მოტივირებას ამ მიმართულებით. ინტერვიუს პროცესში მასწავლებლებმა განაცხადეს, რომ იყენებენ მოსწავლეთა საჭიროებებზე მორგებულ ადაპტირებულ დავალებებს, დიფერენცირებულ მიდგომებს ამა თუ იმ საკითხების შესწავლისას. სკოლა სწავლისა და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

განვითარების თანაბარ საშუალებას აძლევს მოსწავლეს, მასწავლებლები აკვირდებიან თითოეულ მათგანს, სწავლობენ მათ თავისებურებებს, ინტერესებს, შესაძლებლობებს და ამ პირობების გათვალისწინებით გეგმავენ სასწავლო პროცესს. **ექსპერტთა ჯგუფმა ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი შეაფასა შესაბამისად.**

4. **განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;**

შეფასება სწავლის ხარისხის გაუმჯობესების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია, რომელიც საშუალებას იძლევა დავაკვირდეთ მოსწავლის აკადემიური წინსვლის პროგრესს. საბაზო საფეხურზე დიდი ყურადღება ექცევა როგორც განმავითარებელ, ასევე განმსაზღვრელ შეფასებას, მასწავლებლები ეცნობიან და იყენებენ შეფასების მრავალფეროვან ინსტრუმენტებს. აცნობიერებენ, რომ შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს. განმავითარებელი კომენტარით აღიწერება, თუ როგორ უმჯობესდება უნარების განვითარებასთან ერთად მოსწავლის მიღწევა, მოსწავლისთვის სწორად მიწოდებული განმავითარებელი შეფასება შედეგების გაუმჯობესების მნიშვნელოვანი საშუალებაა. მოსწავლეები თავად ერთვებიან შეფასების კრიტერიუმების შემუშავების პროცესში, თვითშეფასების რუბრიკების შემუშავებაში. გაკვეთილის მსვლელობისას მათ აქვთ შესაძლებლობა დააკვირდნენ სირთულეებს და მასწავლებელთან ერთად იმსჯელონ და დაისახონ გაუმჯობესების გზები. სასკოლო სასწავლო გეგმით დამტკიცებულია შეფასების რუბრიკები. ასევე კომპლექსურ დავალებებში ჩაშენებულია განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომელიც გამომდინარეობს შედეგების ინდიკატორებიდან და კომპლექსურის პირობიდან. მასწავლებლებმა წარადგინეს მათ მიერ შექმნილი შეფასების ინსტრუმენტები. დაასაბუთეს, თუ მათი გამოყენება როგორ შეუწყობს ხელს სწავლა-სწავლების პროცესის ეფექტურად წარმართვას. მომავალი სასწავლო წლისათვისაც შემუშავდება შეფასების რუბრიკები, რომელთა შექმნის პროცესში კვლავ ჩაერთვებიან მოსწავლეებიც, რაც დაეხმარება მათ გაიაზრონ შესასწავლი საკითხის მიზნები და აიღონ პასუხისმგებლობა. საგნობრივ კურიკულუმებში გათვალისწინებულია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტები. **ექსპერტთა ჯგუფმა ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი შეაფასა შესაბამისად.**

5. **დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.**

სასწავლო წლის ბოლოს კათედრები ადგენენ ანგარიშებს, რომლებიც მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორიცაა: შემაჯამებელი და კომპლექსური დავალებების ანალიზი, ჩატარებული გაკვეთილების ნუსხა, კოლეგების ურთიერთდასწრება, ხარისხის მართვის ჯგუფის ფარგლებში არსებული სავალდებულო გაკვეთილები, განხორციელებული სასწავლო პროექტები. ასევე პროფესიული განვითარების კუთხით განხორციელებული აქტივობები, გავლილი ტრენინგები/ვებინარები, კონფერენციაზე დასწრება/მონაწილეობა და სხვა. სასკოლო კურიკულუმის დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილება. ყოველი სასწავლო წლის ბოლოს საგნის მასწავლებლები, საგნობრივი კათედრების ხელმძღვანელები, კლასის დამრიგებლები წარმოადგენენ წლიურ ანგარიშებს, რომელთა საფუძველზეც ანალიზდება განვლილი პროცესი. შედეგების ანალიზის საფუძველზეც განიხილება ძირითადი გასაუმჯობესებელი და მომავალში გასათვალისწინებელი საკითხები. სკოლის დირექტორი ყოველი წლის 10 დეკემბრამდე სამეურვეო საბჭოს აბარებს ანგარიშს სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესახებ, სადაც დეტალურად განიხილება დაგეგმილი, შესრულებული თუ შეუსრულებელი ამოცანებისა თუ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

აქტივობების შესახებ. ყოველივე აღნიშნული არის ის წინარე გამოცდილება, რომელზე დაფუძნებით იგეგმება მომავალი საქმიანობა. კერძოდ, მასწავლებელთა ანგარიშების საფუძველზე ფასდება არსებული მდგომარეობა, ხდება ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების იდენტიფიცირება, რის შემდეგაც მუშავდება მომავალი წლის კათედრის სამოქმედო გეგმა და პრიორიტეტები. ურთიერთდასწრების გაკვეთილებზე მიღებული უკუკავშირის საფუძველზე თითოეული მასწავლებელი ინდივიდუალურად ადგენს გამოვლენილი სუსტი მხარეების გაუმჯობესების გზებს. ითვალისწინებს რა წინარე გამოცდილებას, ადგენს მომდევნო წლის სამუშაო გეგმას. არჩევს საჭიროებების შესაბამის პროფესიული განვითარების აქტივობებს. **ექსპერტთა ჯგუფმა ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი შეაფასა შესაბამისად.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. *საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები*
2. *კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია*
3. *კათედრის ოქმები;*
4. *პედსაბჭოს ოქმები;*
5. *დანართი 6- სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია*
6. *დანართი 7 - ერთწლიანი სამოქმედო გეგმა.*
7. *დანართი 3--II სტანდარტი*
8. *სტრატეგიული განვითარების გეგმა (2023-2030წწ)*
9. *2023-2024 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა.*
10. *N3-სკოლის საჭიროებების კვლევის ანალიზი*
11. *N6-სკოლის ვებ-გვერდისა და სოციალური ქსელის ლინკი*
12. *N23 - ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა*
13. *N28-სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია.*
14. *სამეურვეო საბჭოს ოქმები*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2 კურიკულუმის განხორციელება

2.2.1 სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1.სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2.ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3.სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4.სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5.სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
საბაზო საფეხურის კურიკულუმების მიხედვით, სწავლება დაფუძნებულია კომპლექსური ბუნების დავალებებზე, რაც გულისხმობს იმას, რომ მოსწავლეს ეძლევა საშუალება, სასწავლო პროცესში გამოავლინოს ფიქრის, ძიების, მსჯელობის, აღმოჩენა-მიგნების, ჰიპოთეზების ჩამოყალიბების უნარები. მოსწავლეს უვითარდება თანამშრომლობითი სწავლის კულტურა, თავადაც გასცემს და იღებს უკუკავშირს თანატოლებისთვის, ინაწილებს საერთო პასუხისმგებლობას. კურიკულუმები ითვალისწინებს მრავალფეროვანი კომპლექსური დავალებების განხორციელებას, როგორიცაა, მაგალითად, პოსტერი, პრეზენტაცია, ესე, წერილი, ავტობიოგრაფია, სარეკლამო განცხადება, მოსაწვევი ბარათი, კომიქსები და სხვა. შემოქმედებითი მიდგომის სასწავლო პროცესში გამოყენების დასადასტურებლად, სკოლამ, ინგლისური ენის ენის მაგალითზე, წარმოადგინა მოსწავლეთა ნამუშევარები, სარეკლამო ვიდეორგოლები, რაც ცხადყოფს, რომ სკოლას გააჩნია გამოცდილება და სამომავლო მზაობა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის მიმართულებით. სკოლას განხორციელებული აქვს სხვადასხვა პროექტი (მაგ: „ჯანსაღი კვება“- გერმანული ენაში), რომლითაც დასტურდება, რომ სკოლა აქტიურად

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

უწყობს ხელს მოსწავლის შემოქმედებითი უნარების განვითარებას. **ექსპერტთა ჯგუფმა ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი შეაფასა შესაბამისად.**

2. **ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;**
სკოლის მიერ შემუშავებულ საბაზო საფეხურის კურიკულუმებში, სასწავლო თემები მოსწავლეებისთვის ნაცნობ შინაარსებსა და კონტექსტებთან არის დაკავშირებული, რომელიც მოსწავლეს წინარე ცოდნის საფუძველზე ახლის აგებაში დაეხმარება. კურიკულუმში ასევე გათვალისწინებულია მოსწავლის ასაკობრივი თავისებურებები, შინაგანი მზაობა და ინტერესები, რომელიც მოსწავლეს შესაძლებლობას მისცემს ახალი ცოდნა მანამდე არსებულ, საკუთარ გამოცდილებას დაუკავშიროს. კურიკულუმი კომპლექსური დავალების სასწავლო პროცესში გამოყენებას ითვალისწინებს. კონსტრუქტივიზმის შემდეგი პრინციპი - წინარე ცოდნაზე დაფუძნებით ახალი ცოდნის აგება უზრუნველყოფილია, რადგან კომპლექსური დავალების ბუნება თავისთავად ითხოვს მოსწავლისგან წინარე ცოდნას, ყოველი მომდევნო ნაბიჯის წარმართვა წინა ნაბიჯების დროს მიღებულ ცოდნას უკავშირდება. ამ ეტაპზე, ბუნებრივია, არ ჩანს საეტაპო აქტივობები, თუმცა ვიზიტის დროს, მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესი დაგეგმილია ისე, რომ მოსწავლემ ახალი ცოდნა დააშენოს უკვე ნაცნობ კონტექსტზე, ადრე მიღებულ ცოდნასა და გამოცდილებაზე. წინარე ცოდნის გასააქტიურებლად მოსწავლეებს უსვამენ საკვანძო შეკითხვებს და იყენებენ სხვადასხვა აქტივობებს. მასწავლებელთა გამოცდილება, ცხადყოფს, რომ მათ აქვთ უნარი, ფასილიტაცია გაუწიონ მოსწავლეს ცოდნის აგების პროცესში. **ექსპერტთა ჯგუფმა ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი შეაფასა შესაბამისად.**

3. **სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;**
საბაზო საფეხურის კურიკულუმებში შეთავაზებულია ისეთი აქტივობები და დავალებები, რომლებმაც მოსწავლეები უნდა დააფიქროს სწავლის პროცესზე და წაახალისოს მეტაკოგნიცია. ეს უზრუნველყოფს, რომ სწავლის პროცესში აქცენტი გაკეთდეს სწავლის სწავლაზე. კომპლექსური დავალებების მრავლფეროვანი არჩევანი საშუალებას იძლევა, დავალების შესრულების სხვადასხვა ეტაპებზე, მოსწავლეებმა განსხვავებული მეთოდი და სტრატეგია გამოიყენონ და თვითონ დაგეგმონ სასწავლო პროცესი. აქცენტები კეთდება ისეთი რესურსების გამოყენებაზე, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეებში განსხავებული უნარ ჩვევების გამომუშავებას.
სასკოლო კურიკულუმში სასწავლო პროცესი დაფუძნებულია კომპლექსური ტიპის დავალებებზე, რომელიც თავისი არსიდან გამომდინარე, უზრუნველყოფს სწავლის სწავლას. კომპლექსური დავალების მოსამზადებელი აქტივობები და მისი წარდგენის ეტაპი გულისხმობს იმის გაანალიზებას მოსწავლის მხრიდან, თუ რა სტრატეგიები გამოიყენა დავალების მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. მოსწავლეები პასუხობენ საკვანძო შეკითხვებს, რომელიც ხელს უწყობს მათ გააკეთონ რეფლექსია დავალებაზე მუშაობის პროცესში. ვიზიტის დროს, მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ აქტიურად იყენებენ მოსწავლეთა თვითშეფასებას, რითაც ყურადღებას ამახვილებენ მეტაკოგნიტური უნარების განვითარებაზე. **ექსპერტთა ჯგუფმა ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი შეაფასა შესაბამისად.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

4. **სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);**
მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში, სასწავლო პროცესი ორიენტიებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე, რაც მკაფიოდ გამოჩნდა პედაგოგებთან საუბრისას და რაზეც მეტყველებს შექმნილი სასკოლო კურიკულუმები. სასწავლო პროცესში მიღებული ცოდნა იძლევა მისი რეალიზების საშუალებას. მოსწავლებს უმუშავდებათ პრაქტიკულ უნარი, თუ როგორ გამოიყენონ ცოდნა, გადაწყვიტონ ესა თუ ის პრობლემა და მოახდინონ ცოდნის ტრანსფერი.
საბაზო საფეხურის კურიკულუმებში შეტანილი სასწავლო საკითხები, კონტექსტმაგალითები და კომპლექსური ბუნების დავალების პირობები უზრუნველყოფს სამივე კატეგორიის ცოდნის დამუშავებას. კურიკულუმის კონკრეტული თემის ფარგლებში გააქტიურებული, საგნობრივი საკითხების ფარგლებში დაგეგმილი, კომპლექსური ბუნების დავალებები ძირითადად მკაფიოდ აჩვენებს, თუ როგორ გამოიყენებენ მოსწავლეები დეკლარატიულ, პროცედურულ და პირობისეულ ცოდნას მუშაობის პროცესში. **ექსპერტთა ჯგუფმა ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი შეაფასა შესაბამისად.**

5. **სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.**

კურიკულუმების, სკოლის თვითშეფასების, მასწავლებელთა ინტერვიუების საფუძველზე შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ სასწავლო პროცესი ხელს უწყობს მოსწავლეებს ცოდნათა ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებაში. კურიკულუმში თითოეულ სამიზნე ცნებას უკავშირდება მთელი რიგი ქვეცნებები, რომლებიც წარმოაჩენენ საგნობრივი ცოდნის სტრუქტურას. სამიზნე ცნებაზე მუშაობის პროცესში მოხდება ამ ქვეცნებების ერთმანეთთან შედარება, დაპირისპირება და სხვადასხვა ნიშნით კლასიფიცირება, რაც მათ ურთიერთდაკავშირებულ გამოყენებას განაპირობებს. ეს კავშირები და ამ კავშირების გააზრება, კარგად ჩანს კომპლექსურ დავალებებსა და სასწავლო პროექტებში. კომპლექსური დავალებების აქტივობების და პროექტების განხორციელება, მოსწავლეს აიძულებს თავის გონებაში გაიხსენოს და დააჯგუფოს, დაუკავშიროს ერთმანეთს ყველა ის ცოდნა და გამოცდილება, რაც შესასწავლი საკითხის ავთენტიკურობასა და სანდოობას შეეხება. გასაუბრებისას პედაგოგებმა დაადასტურეს, რომ ისინი ხელს უწყობენ მოსწავლეებს ცოდნათა ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებაში, რისთვისაც იყენებენ მრავალფეროვან აქტივობებს - პოსტერი, პრეზენტაცია, ესე, წერილი და სხვა. **ექსპერტთა ჯგუფმა ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი შეაფასა შესაბამისად.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. *საბაზო საფეხურის კურიკულუმები;*
2. *მოსწავლეთა ნამუშევრები (ინგლისური ენა მეშვიდე კლასი)*
3. *განხორციელებული სასწავლო პროექტების აღწერა („ჯანსაღი კვება“ - გერმანული ენა);*

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

1.სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2.საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3.შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4.შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5.სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6.სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
1. საბაზო საფეხურზე, სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და მასწავლებლებთან გასაუბრებით დატურდება, რომ სკოლა ახორციელებს ყველა იმ ვალდებულებას, რაც მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმით არის განსაზღვრული. კერძოდ, სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით. სკოლის ყველა მასწავლებელი მაქსიმალურად ცდილობს შედეგებზე ორიენტირებას, ამუშავებენ სამიზნე ცნებებს ნაცნობ კონტექსტზე დაფუძნებით, მკვიდრი წარმოდგენების რეალიზების გზით, რასაც აზუსტებს წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები და კომპლექსური დავალებების რეფლექსიები, რომლებიც მიემართება გრძელვადიან მიზნებს . შემოქმედებითი პროდუქტის შექმნით, მოსწავლეს ეძლევა ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით საკუთარი ცოდნის დადასტურების საშუალება. **ექსპერტთა ჯგუფმა ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი შეაფასა შესაბამისად.**

2. წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ირკვევა , რომ საბაზო საფეხურის მასწავლებლები სასწავლო პროცესში ითვალისწინებენ მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო - სოციალურ განვითარებას. სკოლა არა მხოლოდ ფორმალური, არამედ არაფორმალური აქტივობებითაც ცდილობს მოსწავლეთა პიროვნულ და ფსიქო -სოციალურ განვითარებაზე. ეხმარებიან მოსწავლეებს მათი ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლინებაში, ერთმანეთში პოზიტიური ურთიერთობის დამყარებაში, ემოციების მართვაში, რისთვისაც იყენებენ მრავალფეროვან სტრატეგიებს. ახორციელებენ მრავალფეროვან პროექტებს ყველა კათედრაზე, ასევე მუშაობენ ისეთ თემებზე, როგორებიცა, ბულინგი, ემპათია, ჯანსაღი ცხოვრება, მომავალი პროფესია და ა.შ. იგეგმება და ხორციელდება გასვლითი ღონისძიებები. წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების იდეები იმის მაჩვენებელია, რომ მასწავლებლები ხელს უწყობენ მოსწავლის მრავალმხრივ განვითარებას. ახორციელებენ კომპლექსური ტიპის დავალებებს , რომლის ფარგლებშიც ქმნიან პროდუქტს და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მოსწავლეებს უწევთ ერთმანეთთან თანამშრომლობა , უვითარდებათ კომუნიკაციის უნარ -ჩვევები. **ექსპერტთა ჯგუფმა ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი შეაფასა შესაბამისად.**

3. წარმოდგენილი კურიკულუმები მორგებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე ,მის მრავალმხრივ განვითარებაზე. შესაბამისად, შეფასებაც ჰოლისტურია, რისთვისაც მასწავლებლები გამოიყენებენ შესაბამის რუბრიკებს. საბაზო საფეხურის მასწავლებლები იყენებენ როგორც განმავითარებელი, ასევე განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებით..შეფასება ფოკუსირებულია ცოდნის აგებასა და გამოყენებაზე, შეფასება ხელს უწყობს მოსწავლეების აქტიურ ჩართულობას შეფასების პროცესში, მასწავლებლებს გააზრებული აქვთ რომ ეს არის მრავალმხრივი პროცესი , ისინი ითვალისწინებენ ეროვნული სასწავლო გეგმით შემოთავაზებულ შეფასების პრინციპებს. მასწავლებლები იზიარებენ შეფასების სისტემის მნიშვნელობას . **ექსპერტთა ჯგუფმა ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი შეაფასა შესაბამისად.**

4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი . სასწავლო წლის დასაწყისში მასწავლებლები მოსწავლეების საჭიროებების და მიზნების მიხედვით იმუშავებენ შეფასების ინსტრუმენტებს. შეფასების კრიტერიუმებს აცნობენ მოსწავლეებს. მათ იციან, რომ ეფასდებიან მხოლოდ იმ საკითხში, რისი შეფასებაც აქვს მასწავლებელს განზრახული. შეფასება არის გამჭვირვალე , მოსწავლეებმა იციან თუ როგორ შეფასდება მათი შრომა. იციან რა კრიტერიუმები უნდა დააკმაყოფილოს მათმა პასუხმა თუ ნაშრომმა. შეფასების რუბრიკებს ასევე აცნობენ მშობლებსაც. დაწყებითი კლასების მასწავლებლებს აქვთ მზაობა შეიმუშაონ სხვადასხვა ტიპის შეფასების რუბრიკები. ზოგიეთ საგანში შეფასების სქემა აქვთ რვეულის უკან ჩაკრული და თავად ხვდებიან თუ რა გააკეთეს კარგად და რა აქვთ გასაუმჯობესებელი, ასევე ერთ -ერთ კათედრაზე მოსავლეებს შეფასებისთვის აქვთ ონლაინ სისიტემა და დღის ბოლოს სახლიდან უგზავნიან მასწავლებელს თვითშეფასებას. **ექსპერტთა ჯგუფმა ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი შეაფასა შესაბამისად.**

5. სკოლაში დანერგილია ვერიფიკაციის მექანიზმი,რაც სასწავლო პროცესის განუყოფელი ნაწილია , რომლის მეშვეობითაც ირკვევა ,რამდენად ასრულებს შეფასების სისტემა მოსწავლის მხარდაჭერის ფუნქციას, რამდენად წარმოადგენს ის სწვლა-სწვალების პროცესის საყრდენს. როგორც წესი მტკიცებულებაზე დაფუძნებული ვერიფიკაცია მოსწავლეთა ჩართულობით ხორციელდება. სკოლის ვერიფიკაციის მექანიზმით რეგულირება შემდეგი საკითხები:შეფასების დიზაინი,შეფასების განმახორციელებელი რგოლი,შერჩევის პრინციპები,ვერიფიკაციის პროცესის აღწერა, შედეგები,შედეგების ასახვა და სამოქმედო გეგმა.აღნიშნული მექანიზმი შესაძლოა გაწერილი იყოს შეფასების სისტემის რეგულაციაში, ან არსებობდეს დამოუკიდებლად. სკოლა სასწავლო წლის დასაწყისში და ბოლოს ატარებს სადიაგნოსტიკო ტესტირებას, რომლისთვისაც შემდეგ შესაბამისი პასუხებით აკეთებს ანალიზს, ადგენენ სქემებს, რომელი საკითხი გაუჭირდათ მოსწავლეებს, რომელი გააკეთეს ყველაზე კარგად. რომელ საგანში იყო ყველაზე კარგი შედეგი და შესაბამისად ისახავენ გამოსწორების გზებს. საბაზო საფეხურზე , 2 საგანში, რომლებში ყველაზე დაბალი რეიტინგი ჰქონდა მოსწავლეებს სკოლამ დაგეგმა მონიტორინგის ფარგლებში წლიური გამოცდები, რომლებიც ნიშანზე არ აისახებოდა. **ექსპერტთა ჯგუფმა ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი შეაფასა შესაბამისად.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

6. სკოლა იცავს დოკუმენტის წარმოებასთან და შენახვასთან დაკავშირებული რეგულაციებს. სკოლაში ელექტრონული ჟურნალის მეშვეობით ხდება მოსწავლეთა შედეგების აღრიცხვა. სკოლა იცავს მოსწავლეთა პირადი საქმეების და მათი შეფასებების შენახვის წესს, რომელიც განსაზღვრულია საქართველოს კანონმდებლობით. ამასთანავე, სკოლა განსაზღვრავს მოსწავლეთა შემაჯამებელი სამუშაოების, პორტფოლიოების, პროექტების შენახვის წესსა და ფორმას, რომელიც შეიძლება იყოს როგორც ელექტრონული ასევე მატერიალური. სკოლა ინახავს ამ დოკუმენტაციას 3 წლის ვადით. **ექსპერტთა ჯგუფმა ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი შეაფასა შესაბამისად.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1.კურიკულუმის ჩარჩოები
2.შეფასების სქემები;
3.ვერიფიკაციის მექანიზმი;
4.მასწავლებლის პორთფოლიო;
5.კომპლექსური დავალების რეფლექსია;
6.კათედრის ოქმი;

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ შემუშავებულ სასკოლო სასწავლო გეგმაში, გაწერილი საკითხები მისიისა და ხედვის შესახებ სასწავლო პროცესის ორგანიზების, შეფასების სისტემის, საგნობრივი კათედრების ფუნქციონირებისა და სადამრიგებლო პროგრამების შესახებ მიმართულია სკოლაში მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემოს შექმნისაკენ. რამდენად გეგმავს და წარმართავს სკოლა მოსწავლეზე ორიენტირებულ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სასწავლო პროცესს, ასევე, სკოლის მიერ შემუშავებული საგნობრივი პროგრამები, რომლებიც აძლევს საშუალებას მოსწავლეებს პიროვნული ზრდისთვის, მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების წესები, რომელიც ორიენტირებულია მოსწავლის განვითარებაზე და სასწავლო პროცესის მხარდამჭერი და გაუმჯობესების გზის მაჩვენებელია. სკოლის მიერ წარმოდგენილ სტრატეგიული განვითარების გეგმაშია აღნიშნული, რომ სკოლა უზრუნველყოფს სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაციის შემუშავებას და განხორციელებას. არსებულზე დაყრდნობით, მომავალ წელს გაუმჯობესდება სასწავლო პროცესში მხარდაჭერა და მიმღებლობა, კათედრის წევრებს შორის თანამშრომლობითი ურთიერთობები, ასევე მხარდამჭერი და პოზიტიური გარემოს დასტურია. ყველივე ეს იძლევა იმის თქმის საშუალებას, რომ სასწავლო პროცესში შექმნილია პოზიტიური გარემო, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლის ფუნქციურ-კომპონენტური უნარების გააქტიურებას. (კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, კომუნიკაცია, კოლაბორაცია, მოქალაქეობა, პასუხისმგებლობა, ეთიკა). **ექსპერტთა ჯგუფმა ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი შეაფასა შესაბამისად.**

2. სკოლის მიერ მოწოდებული კურიკულუმებიდან, კომპლექსური დავალების ნიმუშებიდან, სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტში აღწერილი სკოლის ფილოსოფიის ნაწილიდან გამომდინარე, ნათლად ჩანს, რომ სასწავლო პროცესში მასწავლებლები ორიენტირებული არიან მოსწავლის წარმატებასა და პროგრესზე. სასწავლო წლის დასაწყისში იქმნება ერთწლიანი სამოქმედო გეგმა. მასწავლებლები ხელს უწყობენ მოსწავლეებს იმაში, რომ განავითარონ თავიანთი ძლიერი მხარეები, ყურადღება გაამახვილონ სუსტ მხარეებზე. სადაც მკაფიოდ არის გაწერილი სწავლა-სწავლების ხუთივე კონსტრუქტივისტული პრინციპი, რომლებსაც დაეფუძნება სასწავლო პროცესი, შემიძლია დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი მომავალ სასწავლო წელს წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად.სკოლას შემუშავებული სამივე საფეხურზე საგნობრივი კურიკულუმები და დაგეგმილი აქვს სასწავლო პროცესი შუალედური სასწავლო მიზნებით, შესაბამისად კომპლექსური დავალებებით სწავლება. პედაგოგს საშუალებას აძლევს უზურნველყოს ყველა მოსწავლის ჩართვა სასწავლო პროცესში, მოსწავლეებში თანამშრომლობითი უნარების განვითარება და შექმნას ეფექტური გარემო მოსწვალეთა შესაძლებლობების რეალიზებისთვის. **ექსპერტთა ჯგუფმა ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი შეაფასა შესაბამისად.**

3. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ნათლად ჩანს, რომ სასწავლო პროცესი ნამდვილად ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას. კურიკულუმების შემუშავების მეთოდოლოგია, მასწავლებელთა ურთიერთდასწრების ფორმები, მშობლების ჩართულობა სასწავლო პროცესში, მათი რეკომენდაციები ცხადყოფს სასკოლო საზოგადოების თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას. გასაუბრების დროსაც მკაფიოდ იგრძნობოდა სკოლის საზოგადოების წევრებს შორის შემოქმედებითი და თანამშრომლობითი გარემო. სკოლა უზრუნველყოფს ეფექტურად დაგეგმოს თანამშრომლობა სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის (მოსწავლე, მშობელი, მასწავლებელი, სკოლის დირექცია, ადმინისტრაცია). **ექსპერტთა ჯგუფმა ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი შეაფასა შესაბამისად.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

4. პედაგოგებთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ შექმნილია სკოლაში პოზიტიური გარემო სკოლისა და კლასის დონეზე, შესაბამისად სასკოლო საზოგადოების წევრები ინტენსიურად არიან ჩართული სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში, გეგმავენ და ახორციელებენ სხვადასხვა პროექტებსა და არაფორმალური განათლების მიმართულებით დაგეგმილ აქტივობებს, რომელიც ასახული და გაწერილი აქვთ ერთ წლიან სამოქმედო გეგმაში. ასევე სკოლის შინაგანაწესში აღნიშნულია, რომ ხელმძღვანელობის დამოკიდებულება სასწავლო პროცესისა და პედკოლექტივის მიმართ უზრუნველყოფს პოზიტიური და მეგობრული გარემოს შექმნას როგორც სკოლის შიგნით, ისე კლასის დონეზე. მასწავლებლებთან ინტერვიუების დროს აღინიშნა, რომ მოსწავლის ნებისმიერი მოსაზრება, იდეა, შეხედულება მისაღებია და მას აქვს შესაძლებლობა საკუთარი აზრის ღიად, თავისუფლად გამოხატვისა, რაც მნიშვნელოვნად უწყობს ხელს პოზიტიური საკლასო თუ სასკოლო კლიმატის შექმნას. **ექსპერტთა ჯგუფმა ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი შეაფასა შესაბამისად.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *საშუალო საფეხურის კურიკულუმები;*
- *შეფასების რუბრიკები*
- *მოსწავლის ნამუშევრები*
- *დირექტორის მოადგილის ანგარიში*
- *სასკოლო სასწავლო გეგმა*
- *სასკოლო კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

1.მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად.
სკოლას წარმოდგენილი აქვს ,,სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია", რომლის მიხედვითაც, სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება წარიმართება კათედრების წევრებისა და დირექციის აქტიურ თანამშრომლობით. მონიტორინგი და შეფასება ითვალისწინებს რამდენიმე მიმართულებას, როგორც მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირებას ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით, ისე სკოლის ბაზაზე მასწავლებლის პროფესიულ განვითარებას, სადაც იქნება შესაძლებლობა პედაგოგიური პრაქტიკასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირება და სკოლის ინსტიტუციური განვითარებას, სადაც იქნება საშუალება სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში თანამშრომლობითი პროცესების განვითარების და გაძლიერების.

2023-2024 სასწავლო წლისთვის სკოლის მიერ შერჩეულ იქნა მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმის ფარგლებში წარმოდგენილი შეფასების **მეორე მოდელი.** სასკოლო საზოგადოების ინტერვიურების პროცესში მკაფიოდ გამოიკვეთა, რომ ასევე იგეგმება კათედრებზე მონიტორნიგის სისტემის გაწერა, მოხდება დიაგნოსტიკური შეფასებების, მათ ანალიზისა და შემაჯამებლის ანალიზზე დაკვირვებით მოსწავლეთა საჭიროებების გამოკვეთა, მოხდებ ამ მონაცემების დამუშავება, საერთო სურათის გამპოკვეთა და პროცესში მოსწავლეთა მონაცემების რეფლექსია. მოცემული შედეგების საფუძველზე გაიცემა რჩევები და რეკომენდაციები, რომელიც გაზიარებული იქნება ერთი კათედრიდან სხვა კათედრებისთვის, რაც საბოლოოდ ასახვას პოვებს სკოლის დონეზე. საჭიროებიდან გამომდინარე პროცესში მაქსიმალურად მოხდება - მშობელთა ჩართულობა, რაც საბოლოოდ დადებითად აკმულირდება მოსწავლის აკადემიურ,სოციალური და ინტერკულტურულ დონეზე. **ექსპერტთა ჯგუფმა ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი შეაფასა შესაბამისად.**

2.მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;

სკოლის მიერ წარმოდგენილი განმავითარებელი შეფასების რუბრიკები არის იმის მტკიცებულება, რომ შეფასება ემსახურება მოსწავლეთა მხარდაჭერას და დახმარებას. სასკოლო საზოგადეოებას,მასწავლებლებს გათვითცნობიერებული აქვთ, რომ ყველა მოსწავლის წარმატებაზე დაკვირვებისთვის აუცილებელია კარგად იცნობდენ მოსწავლეთა ემოციურ თუ სოციალურ მდგომარეობას,მოსწავლეთა ფსიქოემოციურ " პორტრეტს",ამიტომ სასკოლო საზოგადოებაში ჩართული ყველა მასწავლებლები მჭიდოდ თანამშრომლობენ ჯერ კადრების დონეზე,შემდგომ სკოლის დონეზე. მასწავლებლები მჭიდროდ თანამშრომლობენ ასევე კლასის დამრგიგებლებთან. აქტიურად მიმდინარეობს სასკოლო საზოგადოების მხარდაჭერა დირექციის მხრიდან, რასაც მოწმობს მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის ფარგლებში სკოლის დირექტორის ბრძანებით შექმნილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი,რომლიც აკვირდება მასწავლებლის საქმიანობას (მათ შორის, საგაკვეთილო პროცესს), აფასებს და აძლევს განმავითარებელ უკუკავშირს უკეთესი პროგრესის მისაღებად. **ექსპერტთა ჯგუფმა ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი შეაფასა შესაბამისად.**

3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრების პროცესში გამოიკვეთა, რომ პედაგოგები თვლიან მონიტორინგი და შეფასება უნდა ემსახურებოდეს წარმოქმნილი პრობლემების გადაჭრის გზების ძიებას და შესაბამისი ინტერვენციების /ქმედებების დაგეგმას,რაც პრობლების გაუმჯობესების ერთ-ერთი რელევანტური გზაა. იგივე შეგვიძლია დავასკვნათ სკოლის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების კითხვარიდან. სასწავლო პროცესის მონიტორინგი ხორციელდება სკოლის დირექტორისა და მოადგილის მიერ საგაკვეთილო პროცესზე დასწრებით/დაკვირვებით, რა დროსაც დგინდება მასწავლებლების გამოწვევები/საჭიროებები და ისახება პრობლემის გადაჭრის გზები. მასწავლებლები იზიარებენ და ითვალისწინებენ ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის განმავითარებელ შეფასებას,მიცემულ უკუკავშირს, ასევე კათედრის წევრთა ურთიერთდასწრების შედეგად გაზიარებულ გამოცდილებას.საბოლოოდ ეს ყველაფერი ერთიანობაში ქმნის სასკოლო კულტურის გაუმჯობესებას და სწავლა-სწავლების ეფექტინობას,რაც მესამე თაობის ესგ-ის მოთხოვნებს პასუხობს. **ექსპერტთა ჯგუფმა ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი შეაფასა შესაბამისად.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. *საბაზო საფეხურის კურიკულუმები;*
2. *შეფასების რუბრიკები*
3. *მოსწავლის წამუშევრები*
4. *დირექტორის მოადგილის ანგარიში*
5. *სასკოლო სასწავლო გეგმა*
6. *სასკოლო კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია*

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1.შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3.შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4.შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლამ მტკიცებულებად წარმოადგინა სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია, რომელშიც აღნიშნულია, რომ უნდა სასწავლო წლის მიმდინარეობისას მოხდეს სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება. ეს უკანასკნელი უნდა განხორციელდეს იმ მიზნით, რომ დადგინდეს, რამდენად მოაქვს დაგეგმილ აქტივობებს სასურველი შედეგი. შეფასების მიზნით სკოლაში ჩატარდება მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირება ესგ-ს შედეგებთან მიმართებით სწავლის პროცესების ხარვეზების გამოსავლენად და გამოვლენილი პრობლემების გადასაჭრელად. სკოლას აგრეთვე გაცნობიერებული აქვს, რომ სასწავლო პროცესის შეფასება ჰოლისტური ხასიათის უნდა იყოს, რაც გულისხმობს ერთიან მიდგომას და ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს: კურიკულუმების ჩარჩოებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალების პირობები, შეფასების რუბრიკები (სოლო-ტაქსონომია, განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები), შემაჯამებელი დავალებები, განხორციელებული პროექტები. ისინი იძლევა საშუალებას დავასკვნათ, რომ შეფასება დაეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს. **ექსპერტთა ჯგუფმა ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი შეაფასა შესაბამისად.**

2. სკოლას მტკიცებულებებად წარმოდგენილი აქვს რესურსი 12, განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, სასკოლო კურიკულუმები, დირექტორის მოადგილის ანგარიში. ხსენებული დოკუმენტების მიხედვით დგინდება, რომ მოსწავლის შეფასებისას სკოლა ითვალისწინებს ყველა იმ ფაქტორს, რომელმაც შეიძლება გავლენა მოახდინოს მოსწავლის აკადემიურ მოსწრებაზე. შესაბამისად, სკოლა ცდილობს განსაზღვროს, რა ფაქტორები ეხმარება ან აფერხებს საგაკვეთილო პროცესში მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას. შეფასება ხორციელდება კომპლექსური და შემაჯამებელი დავალებების, კომპლექსური კონტექსტის მქონე დავალების (ესეს დაწერა, პროექტის მომზადება, ლაბორატორიული კვლევის ჩატარება, რეფერატის დაწერა, ამოცანის ამოხსნა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშის შექმნა, მოთხრობის შედგენა, მონაცემთა ბაზის შექმნა, კონკრეტული პრობლემის გადაჭრა, საველე-გასვლითი სამუშაოს ან სასწავლო ექსკურსიის ანგარიშის მომზადება და სხვ.), სადიაგნოსტიკო წერების, საკლასო და საშინაო დავალებების შედეგების გათვალისწინებით. სკოლა შეფასებისას ითვალისწინებს მოსწავლის სოციალურ და ფსიქოემოციურ მდგომარეობას, რომლის შესახებაც სისტემატურად იღებს ინფორმაციას კლასის დამრიგებლის, საგნის მასწავლებლებისა და მშობლისგან. საბაზო საფეხურზე იგეგმება შეფასების რუბრიკების გამოყენება, რომელშიც ასახული იქნება სამიზნე ცნებების იერარქია და მასთან დაკავშირებული მკვიდრ წარმოდგენები. შეიქმნება განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, სადაც განსაზღვრული იქნება, თუ რა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მოლოდინები უნდა ჰქონდეთ მოსწავლეებისგან თითოეულ სამიზნე ცნებასა და მათ მკვიდრ წარმოდგენებთან მიმართებით. **ექსპერტთა ჯგუფმა ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი შეაფასა შესაბამისად.**

3. ინდიკატორის მტკიცებულებებად სკოლამ წარმოადგინა რესურსი 12, საგნობრივი კურიკულუმები, განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. გარდა ამისა, მასწავლებლებთან ინტერვიუებისას აღინიშნა, რომ სასწავლო პროცესში შეფასებისას ეყრდნობიან არა მარტო მოსწავლეთა აკადემიურ მიღწევებს, არამედ მათ შესახებ მოპოვებულ სხვა ინფორმაციებსაც. მაგალითად, სკოლაში დამრიგებლები ატარებენ კლასის საათს, რომლის ფარგლებში განხორციელებული აქტივობები ხელს უწყობს მასწავლებელს მიიღოს ინფორმაცია მათი შეხედულებებისა და ხედვების დასადგენად, გარდა ამისა, მშობელთა კრებებზე ხდება კლასის საერთო პრობლემური საკითხების განხილვა და ამ პრობლემების მოგვარების გზების ერთობლივად დასახვა. ცალკეული მოსწავლეების საჭიროებებს კი ინდივიდუალურად განხილავენ და მასში ჩართულები არიან დამრიგებელი და მშობლები. მოსწავლე არ ფასდება მხოლოდ ერთი მიმართულებით, არამედ მრავალმხრივად. შეფასება განხორციელდება კომპლექსური და შემაჯამებელი დავალებების, სადიაგნოსტიკო წერების, საკლასო და საშინაო დავალებების შედეგების გათვალისწინებით. **ექსპერტთა ჯგუფმა ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი შეაფასა შესაბამისად.**

რჩევა: სკოლას მიეცა რჩევა, რომ დახვეწოს და გააუმჯობესოს კლასის დამრიგებელთა მიერ ჩატარებული სადამრიგებლო საათების ამსახველი დოკუმენტაცია.

4. ინდიკატორის მტკიცებულებად სკოლამ წარმოადგინა სსსმ მოსწავლის ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, რაც მიუთითებს იმაზე, რომ შეფასების დროს მასწავლებელი ცდილობს გაითვალისწინოს მოსწავლესთან დაკავშირებული სხვადასხვა ფაქტორი და შეფასების ინსტრუმენტები მოარგოს მოსწავლის საჭიროებებს. გარდა ამისა, მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგად დადგინდა, რომ მოსწავლეების შესაძლებლობებიდან გამომდინარე, მასწავლებლები მიმართავენ დიფერენცირებულ მიდგომას, შემუშავებული შეფასების კრიტერიუმები და რუბრიკები მუშაობის პროცესში, საჭიროების შემთხვევაში, განიცდის ცვლილებებს. სკოლაში ხორციელდება სადიაგნოსტიკო შეფასება, რაც 2023-2024 სასწავლო წელსაც გაგრძელდება. შეფასებისას გათვალისწინებული იქნება როგორც მოსწავლის აკადემიური მიღწევები, ასევე მისი საჭიროებები და ინტერესები, ამ მიზნით სკოლა გეგმავს დააკვირდეს მოსწავლის სამუშაო გარემოს, დროის მენეჯმენტს, რესურსებზე ხელმისაწვდომობას, ფსიქო-ემოციური ფონს და სოციალურ მდგომარეობას. **ექსპერტთა ჯგუფმა ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი შეაფასა შესაბამისად.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. *სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია*
2. *საბაზო საფეხურის კურიკულუმები*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

3. *კომპლექსური დავალების ნიმუშები*
4. *დირექტორის მოადგილის ანგარიში*
5. *რესურსი 12*
6. *ინდივიდუალური სასწავლო გეგმა*
7. *შეფასების რუბრიკები*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1.იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2.კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;

პედაგოგთა ინტერვიურების პროცედიდან და სკოლის თვითშეფასების კითხვარიდან შეიძლება დავასკვნათ კურიკულუმი გადაიხედება,მიხდება მისი გადასინჯვა საგნობრივ კათედრებზე. საჭიროებიდან გამომდინარე, შეიქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო პაკეტი; კათედრის სამუშაო შეხვედრებზე, მასწავლებლები განიხილავენ მანამდე შექმნილი კურიკულუმს და შეფასების კრიტერიუმებს, ერთმანეთს უზიარებენ გამოცდილებას და გადამუშავების საფუძველზე შეეცდებიან შექმნან

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კურიკულუმის საუკეთესო მოდელები ,სადაც გათვალიწინებული იქნება სკოლის "ავტონომიური ბუნება" და ხედვა. **ექსპერტთა ჯგუფმა ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი შეაფასა შესაბამისად.**

2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს. საგნობრივ კათედრაზე მასწავლებლებს შემუშავებული აქვთ კომპლექსური დავალებების იდეები,რომელიც პასუხობს მესამე თაობის ესგ-ის მოთხოვნებს.საგნობრივ მეთოდოლოგიურ ორიენტირებს. სასკოლო საზოგადოების კათედრების წევრმა პედაგოგოებმა აღნიშნეს კურიკულუმების განხილვა მომავალშიც გაგრძელდება, ჯერ კატედრის დონეზე,შემდეგ სკოლის დონეზეც. კათედრები გაითვალისწინებენ წინარე გამოცდილებას, ასევე მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს. **ექსპერტთა ჯგუფმა ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი შეაფასა შესაბამისად.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. *საგაზო საფეხურის კურიკულუმები;*
2. *შეფასების რუბრიკები*
3. *მოსწავლის ნამუშევრები*
4. *დირექტორის მოადგილის ანგარიში*
5. *სასკოლო სასწავლო გეგმა*
6. *სასკოლო კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

.....
.....
.....
.....

.....
თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტანდარტი 2 **სასკოლო კურიკულუმი** საშუალო საფეხური	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* ☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას

სსიპ-თამარ მეფის სახელობის წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ გეგუთის N1 საჯარო სკოლამ წარმოადგინა 05/07/2023 წ. N2-124 ბრძანებით დამტკიცებული დოკუმენტი ,,კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია''. დოკუმენტში მოცემულია კურიკულუმის შემადგენელი ნაწილები, პრინციპები, რომლებსაც ეფუძნება კურიკულუმის განვითარების პროცესი და კურიკულუმის განვითარების ეტაპები (დაგეგმვა, დანერგვა, მონიტორინგი და შეფასება, გადასინჯვა და რევიზია). კურიკულუმის შემუშავების პროცესში ყურადღება მახვილდება შემდეგ საკითხებზე: ა)კონცეპტუალური ჩარჩო (ესგ-ს მოთხოვნები, სკოლის ფილოსოფია); ბ)კურიკულუმის დიზაინი (კურიკულუმის სტრუქტრული ერთეულები, დანერგვის ინსტრუმენტები, შუალედური სასწავლო მიზნები, მონიტორინგისა და შეფასების ინსტრუმენტების შეთანხმება/ვერიფიკაცია, სასკოლო საზოგადოების წევრების ფუნქციები და მონაწილეობის ფორმები კურიკულუმის განვითარების პროცესში). კურიკულუმის დიზაინზე მუშაობისას განსაკუთრებით დიდი დრო ეთმობა: შუალედური სასწავლო მიზნების განხილვას; ასევე სასკოლო საზოგადოების წევრების ფუნქციების და კურიკულუმის განვითარების პროცესში მათი მონაწილეობის ფორმების დაზუსტებას (ფუნქციებსა და პასუხისმგებლობებს შორის, რომლებიც სასკოლო კურიკულუმის განვითარების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

პროცესში იკვეთება ზოგიერთი ემთხვევა სასკოლო საზოგადოების წევრების ყოველდღიურ საქმიანობას, ზოგიერთი კი მათ დირექტორის სპეციალური ბრძანებით შეიძლება დაევალოთ).
აშკარად იკვეთება, რომ კურიკულუმი არის პროცესზე ორიენტირებული პროგრამა, რომელიც აჩვენებს, თუ როგორ ხდება მოსწავლის მიერ ცოდნის კონსტრუირება და რომ მისი კონცეპტუალური ჩარჩო სწორედ მასწავლებლის, მშობლების, დირექციის და სასკოლო თემის სხვა წარმომადგენლების გამოცდილებების თავმოყრისა და გაანალიზების შედეგად იქმნება. **ექსპერტთა ჯგუფმა ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი შეაფასა შესაბამისად.**

2.კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
საგნობრივი ექსპერტების აზრით, რომლებიც ეყრდნობიან სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებს, სასკოლო კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები. იკვეთება მოსწავლის, მშობლის, მასწავლებლის ინტერესი. შევსებული კურიკულუმის ჩარჩოები სრულად ეყრდნობა მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმას, რაც უზრუნველყოფს მოსწავლის ინტერესს. საგნობრივ კათედრებზე მოხდა საგნობრივი კურიკულუმების და სადამრიგებლო პროგრამების შემუშავება მოსწავლეთა და მშობელთა გამოკითხვა-ანალიზის საფუძველზე. კურიკულუმები შედგენილია კათედრის წევრთა რეკომენდაციის, მშობელთა ინტერესებისა და მოსწავლეთა ასაკობრივი და ინდივიდუალური შესაძლებლობების გათვალისწინებით. ინტერვიუების დროსაც დადასტურდა, რომ მასწავლებლები გეგმავენ კურიკულუმებს წინარე გამოცდილებაზე დაყრდნობით, ითვალისწინებენ თავიანთი მოსწავლეების შედეგებს, მოსწავლეებისგან და მშობლებისგან იღებენ უკუკავშირს. დასტურდება რომ კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები. **ექსპერტთა ჯგუფმა ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი შეაფასა შესაბამისად.**

3.კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
სკოლაში დამკვიდრებულია თანამშრომლობითი კულტურა. კათედრის შიგნით მასწავლებლების თანამშრომლობით იგეგმება სასკოლო საგნობრივი კურიკულუმები. კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში დაწვრილებითაა გაწერილი მასწავლებლების, კათედრების თავჯდომარეების, დირექციის წვლილი კურიკულუმის შემუშავების პროცესში. წარმოდგენილი დოკუმენტის მიხედვით, სასწავლო თემაზე მუშაობისას მასწავლებელი სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესახებ ინფორმაციას უზიარებენ მოსწავლეების მშობლებს, ეძებენ ახალ საშუალებებს სასწავლო პროცესში მათი უფრო ინტენსიურად ჩართვისთვის. აფასებენ სასწავლო თემის დაგეგმვისა და განხორციელების შედეგებს და შეიმუშავებენ რეკომენდაციებს ახალი სასწავლო წლის კურიკულუმისათვის. **ექსპერტთა ჯგუფმა ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი შეაფასა შესაბამისად.**

4.კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

სკოლის საშუალო საფეხურის კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო თემის მიერ, ამისათვის გამოყენებულია სოციალური ქსელი, კომპლექსური დავალების მოსწავლის ბარათები, ასევე გაზიარებულია სკოლის ბლოგსა და ფეისბუქ გვერდზე. ვიზიტის დროს, მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ კურიკულუმის გაზიარებისთვის აქტიურად იყენებენ teams-ში შექმნილ ჯგუფებს. სკოლას skolebi.emis.ge პლატფორმის ფარგლებში უკვე შექმნილი აქვთ საკუთარი გვერდი, სადაც უკვე განთავსებულია შესაბამისი მასალები. იკვეთება კურიკულუმის მიმართ სასკოლო საზოგადოების მიკუთვნებულობის განცდა. **ექსპერტთა ჯგუფმა ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი შეაფასა შესაბამისად.**

1. *დასტურდება (მტკიცებულებები):*
2. *სსიპ -თამარ მეფის სახელობის წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ გეგუთის N1 საჯარო სკოლის 2023-24 სასწ/წლის სამოქმედო გეგმა ;*
3. *კათედრის ოქმები;*
4. *პედსაბჭოს ოქმები;*
5. *დანართი 6- სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია*
6. *დანართი 7 - ერთწლიანი სამოქმედო გეგმა.*
7. *დანართი 3--II სტანდარტი*
8. *სტრატეგიული განვითარების გეგმა (2023-2030წწ)*
9. *2023-2024 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა.*
10. *N3-სკოლის საჭიროებების კვლევის ანალიზი*
11. *N6-სკოლის ვებ-გვერდისა და სოციალური ქსელის ლინკი*
12. *N28-სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია.*
13. *სამეურვეო საბჭოს ოქმები*
14. *საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;**
   საგნობრივი კათედრების მიერ შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესისი დაგეგმვისა და განვითარების გზას, ეს გამოჩნდა კურიკულუმში ჩაშენებულ კომპლექსურ დავალებებში, რომლებიც კათედრებმა შეარჩიეს მოსწავლეთა შესაძლებლობების შესაბამისად. სწავლა-სწავლების პროცესი ისეა დაგეგმილი საშუალო საფეხურზე, რომ ორიენტირებულია მოსწავლეზე და მიმართულია ესგ-ის, ზგემ-ის და საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრული შედეგების მიღწევაზე. საგაკვეთილო პროცესში მასწავლებლის მხრიდან გამოყენებულია სხვადასხვა აქტივობა, რომლებსაც მივყავართ კონკრეტულ პროდუქტამდე, კომპლექსურ დავალებამდე, ხელს უწყობს მოსწავლის ინდივიდუალურ წინსვლასა და მისი პოტენციალის მაქსიმალურად გამოყენებას. საშუალო საფეხურზე სწავლის მიზნები ფორმულირებულია სტანდარტის შედეგებისა და სამიზნე ცნებების სახით. სასწავლო პროცესი ყველა საგანში იგეგმება თემატურად, რათა მოსწავლე ჯერ შუალედურ, საბოლოოდ კი საფეხურის გრძელვადიან მიზნებზე გავიდეს. თითოეული თემის ფარგლებში მოსწავლეები ამუშავებენ სტანდარტის შედეგებსა და სამიზნე ცნებებს. სიღრმისეული სწავლის უზრუნველყოფა ხორციელდება კონსტრუქტივისტული მიდგომით, რაც გამოიხატება იმაში, რომ კურიკულუმი მუშავდება მოსწავლეთა წინარე ცოდნაზე დაყრდნობით. სავალდებულო თემის ფარგლებში გამოკვეთილია ძირითადი საკითხები, შერჩეული სასწავლო პროგრამა ეფუძნება სახელმძღვანელოებით შემოთავაზებულ მასალას. საგნობრივ კურიკულუმებში ფორმულირებულია საფეხურებრივი საგნის სტანდარტები. მათი რეალიზების გზები ნაჩვენებია კომპლექსური დავალებების სახით. სწავლის შედეგები თითოეულ საგანში მოცემულია სამიზნე ცნებების სახით. შემაჯამებელ და კომპლექსურ დავალებებში გამოკვეთილია კონსტრუქტივიზმის პრინციპები. მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესი ეფუძნება მიდგომას, რომ ყველა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მოსწავლე არის უნიკალური თავისი შესაძლებლობებით, ფსიქო-ემოციური და ფიზიკური მახასიათებლებით, სწავლის სტილით, გამოცდილებით, ინტერესებით და საჭიროებებით. **ექსპერტთა ჯგუფმა ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი შეაფასა შესაბამისად.**

რჩევა: მასწავლებლებმა მომავალი სასწავლო წლიდან ისე დაგეგმონ სასწავლო პროცესი, რომ მეტი აქცენტი გააკეთონ თემის ფარგლებში უფრო მეტი კომპლექსური ბუნების დავალების განხორციელებაზე ყველა სამიზნე ცნების გააქტიურებით

2. **კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);**

კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს, რადგან მასში არის გათვალისწინებული მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის ცვლილებები. კომპლექსურ დავალებებში, პირობის შინაარსთან ერთად, მითითებულია მოსწავლის მიერ შესასრულებელი პროდუქტის სახე. კომპლექსური და შემაჯამებელი დავალებები ხელს უწყობს მოსწავლეებში გრძელვადიანი მიზნების მიღწევას, კერძოდ, შემოქმედებითი, კრიტიკული აზროვნების, სოციალური უნარების განვითარებას და ა.შ. კომპლექსურ და შემაჯამებელ დავალებებში გაწერილია სამიზნე ცნებები და შედეგები. კურიკულუმები განსაზღვრავს ეროვნული სასწავლო გეგმით გრძელვადიან მიზნებს. კომპლექსური დავალებები, კლუბური სამუშაოები, რომლებიც მასწავლებლებმა განახორციელეს საკუთარ კლასებში, ითვალისწინებს გრძელვადიანი მიზნებს. ეს ხელს უწყობს მოსწავლეთა მოტივაციის ზრდასა და მათ მოწესრიგებულ ქცევას. ეროვნული სასწავლო გეგმის თითოეული შედეგი უკავშირდება საგნობრივ სამიზნე ცნებას. ეროვნულ სასწავლო გეგმაში საშუალო საფეხურის კლასებში ყველა საგნისთვის განსაზღვრულია რამდენიმე სამიზნე ცნება. საფეხურის დონეზე მათი დაუფლება, შედეგებთან ერთად, საგნის სწავლა-სწავლების გრძელვადიან მიზანს წარმოადგენს. სასკოლო სასწავლო გეგმა და საგნობრივი კურიკულუმი გამომდინარეობს ეროვნული სასწავლო გეგმიდან, მორგებულია სასკოლო საჭიროებებს და სრულად პასუხობს ესგ-ს მიერ დადგენილ მოთხოვნებს. სამიზნე ცნებების სრულად დაფარვის მიზნით მომავალში გაიზრდება კომპლექსური დავალებების რაოდენობა კლასებში. **ექსპერტთა ჯგუფმა ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი შეაფასა შესაბამისად.**

3. **სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;**

საშუალო საფეხურის კურიკულუმებში კომპლექსური დავალების ფარგლებში წარმოდგენილია მრავალფეროვანი რესურსები, შედეგების მიღწევის ტაქსონომიისა და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რაც ხელს შეუწყობს სასწავლო პროცესის მოქნილობას და თითოეული მოსწავლის ინიდივიდუალური საჭიროებების, შესაძლებლობებისა და სწავლის პოტენციალის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____
_____

გათვალისწინებას. ინკლუზიური სწავლების პრინციპის მიხედვით სკოლა ორიენტირებულია ყველა ბავშვს თანაბრად ჰქონდეს შესაძლებლობა საინტერესო და პროდუქტიული სასწავლო პროცესის მონაწილე იყოს. ხდება მასალის ადაპტირება. მასწავლებლები მნიშვნელოვან საკითხად თვლიან, რომ გაიზარდოს გაკვეთილზე დიფერენცირების ხვედრითი წილი, გეგმავენ ამ საკითხზე გაეცნონ უფრო მეტ ლიტერატურას და გაიზიარონ ერთმანეთის გამოცდილება. მნიშვნელოვანია ამ ეტაპზე შეიქმნას ისეთი საგნობრივი კურიკულუმები და შეფასების რუბრიკები, რომელიც უფრო მეტად შესაძლებელს გახდის თითოეული მოსწავლის ინტერესისა და შესაძლებლობის გათვალისწინებას. თანაბრად ხელმისაწვდომი განათლება გულისხმობს პროცესის ისე დაგეგმვას და ჩატარებას, რომ უზრუნველყოფილი იყოს ყველა მოსწავლის ხელმისაწვდომობა განათლებაზე, ჩართულობაზე, თანამონაწილეობის გაზრდასა და სასწავლო შედეგების მიღწევაზე. საგაკვეთილო პროცესში მასწავლებლები ცდილობენ სხვადასხვა სწავლების სტრატეგიებისა და მეთოდების გამოყენებით გაზარდონ სსსმ მოსწავლის აქტივობებსა თუ კომპლექსური დავალებების შესრულების პროცესში ჩართულობა. ხდება კომპლექსური დავალების, სქემების, შეფასების რუბრიკების ადაპტირებას მოსწავლეთა შესაძლებლობებისა და საჭიროებების მიხედვით. ხორციელდება დიაგნოსტიკურ შეფასება. დიაგნოსტირებისათვის მასწავლებლები იყენებენ დიაგნოსტიკურ ტესტებს. მოსწავლეთა მიღწევებს ადარებს და აანალიზებს სემესტრისა და წლის ბოლოს, ადგენს მოსწავლეთა საჭიროებებს, განსაზღვრავს ინტერვენციებს კოლეგებთან ერთად მომავალი სასწავლო წლისათვის. ტესტირების შედეგებს უზიარებს კათედრის წევრებს. სკოლას შემუშავებული აქვს ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა, რომელიც ითვალისწინებს მოსწავლის შეფასებას, საჭიროების შემთხვევაში სსსმ მოსწავლისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებასა და მშობელთან კუნსულტირებას, რაც უზრუნველყოფს სსსმ მოსწავლის საჭიროებების, შესაძლებლობებისა და ინტერესების გათვალისწინებას სასწავლო პროცესში. კომპლექსური დავალებების პირობის, შეფასების რუბრიკებისა და ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმის გაცნობით, ასევე მასწავლებლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს. მომავალი სასწავლო წლიდან სკოლა შეეცდება, უფრო მეტი ხარისხით დანერგოს დიფერენცირებული მიდგომები სასწავლო პროცესში, ხელი შეუწყოს მასწავლებელთა კომპეტენციის ამაღლებას და მოტივირებას ამ მიმართულებით. ინტერვიუს პროცესში მასწავლებლებმა განაცხადეს, რომ იყენებენ მოსწავლეთა საჭიროებებზე მორგებულ ადაპტირებულ დავალებებს, დიფერენცირებულ მიდგომებს ამა თუ იმ საკითხების შესწავლისას. სკოლა სწავლისა და განვითარების თანაბარ საშუალებას აძლევს მოსწავლეს, მასწავლებლები აკვირდებიან თითოეულ მათგანს, სწავლობენ მათ თავისებურებებს, ინტერესებს, შესაძლებლობებს და ამ პირობების გათვალისწინებით გეგმავენ სასწავლო პროცესს. **ექსპერტთა ჯგუფმა ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი შეაფასა შესაბამისად.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

4. **განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;**

შეფასება სწავლის ხარისხის გაუმჯობესების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია, რომელიც საშუალებას იძლევა დავაკვირდეთ მოსწავლის აკადემიური წინსვლის პროგრესს. საშუალო საფეხურზე დიდი ყურადღება ექცევა როგორც განმავითარებელ, ასევე განმსაზღვრელ შეფასებას, მასწავლებლები ეცნობიან და იყენებენ შეფასების მრავალფეროვან ინსტრუმენტებს. აცნობიერებენ, რომ შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს. განმავითარებელი კომენტარით აღიწერება, თუ როგორ უმჯობესდება უნარების განვითარებასთან ერთად მოსწავლის მიღწევა, მოსწავლისთვის სწორად მიწოდებული განმავითარებელი შეფასება შედეგების გაუმჯობესების მნიშვნელოვანი საშუალებაა. მოსწავლეები თავად ერთვებიან შეფასების კრიტერიუმების შემუშავების პროცესში, თვითშეფასების რუბრიკების შემუშავებაში. გაკვეთილის მსვლელობისას მათ აქვთ შესაძლებლობა დააკვირდნენ სირთულეებს და მასწავლებელთან ერთად იმსჯელონ და დაისახონ გაუმჯობესების გზები. სასკოლო სასწავლო გეგმით დამტკიცებულია შეფასების რუბრიკები. ასევე კომპლექსურ დავალებებში ჩაშენებულია განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომელიც გამომდინარეობს შედეგების ინდიკატორებიდან და კომპლექსურის პირობიდან. მასწავლებლებმა წარადგინეს მათ მიერ შექმნილი შეფასების ინსტრუმენტები. დაასაბუთეს, თუ მათი გამოყენება როგორ შეუწყობს ხელს სწავლა-სწავლების პროცესის ეფექტურად წარმართვას. მომავალი სასწავლო წლისათვისაც შემუშავდება შეფასების რუბრიკები, რომელთა შექმნის პროცესში კვლავ ჩაერთვებიან მოსწავლეებიც, რაც დაეხმარება მათ გაიაზრონ შესასწავლი საკითხის მიზნები და აიღონ პასუხისმგებლობა. საგნობრივ კურიკულუმებში გათვალისწინებულია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტები. **ექსპერტთა ჯგუფმა ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი შეაფასა შესაბამისად.**

5. **დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.**

სასწავლო წლის ბოლოს კათედრები ადგენენ ანგარიშებს, რომლებიც მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორიცაა: შემაჯამებელი და კომპლექსური დავალებების ანალიზი, ჩატარებული გაკვეთილების ნუსხა, კოლეგების ურთიერთდასწრება, ხარისხის მართვის ჯგუფის ფარგლებში არსებული სავალდებულო გაკვეთილები, განხორციელებული სასწავლო პროექტები. ასევე პროფესიული განვითარების კუთხით განხორციელებული აქტივობები, გავლილი ტრენინგები/ვებინარები, კონფერენციაზე დასწრება/მონაწილეობა და სხვა. სასკოლო კურიკულუმის დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილება. ყოველი სასწავლო წლის ბოლოს საგნის მასწავლებლები, საგნობრივი კათედრების ხელმძღვანელები, კლასის დამრიგებლები წარმოადგენენ წლიურ ანგარიშებს, რომელთა საფუძველზეც ანალიზდება განვლილი პროცესი. შედეგების ანალიზის საფუძველზეც განიხილება ძირითადი გასაუმჯობესებელი და მომავალში გასათვალისწინებელი საკითხები. სკოლის დირექტორი ყოველი წლის 10 დეკემბრამდე სამეურვეო საბჭოს აბარებს ანგარიშს სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესახებ, სადაც დეტალურად განიხილება დაგეგმილი, შესრულებული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

თუ შეუსრულებელი ამოცანებისა თუ აქტივობების შესახებ. ყოველივე აღნიშნული არის ის წინარე გამოცდილება, რომელზე დაფუძნებით იგეგმება მომავალი საქმიანობა. კერძოდ, მასწავლებელთა ანგარიშების საფუძველზე ფასდება არსებული მდგომარეობა, ხდება ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების იდენტიფიცირება, რის შემდეგაც მუშავდება მომავალი წლის კათედრის სამოქმედო გეგმა და პრიორიტეტები. ურთიერთდასწრების გაკვეთილებზე მიღებული უკუკავშირის საფუძველზე თითოეული მასწავლებელი ინდივიდუალურად ადგენს გამოვლენილი სუსტი მხარეების გაუმჯობესების გზებს. ითვალისწინებს რა წინარე გამოცდილებას, ადგენს მომდევნო წლის სამუშაო გეგმას. არჩევს საჭიროებების შესაბამის პროფესიული განვითარების აქტივობებს. **ექსპერტთა ჯგუფმა ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი შეაფასა შესაბამისად.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. *საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები*
2. *კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია*
3. *კათედრის ოქმები;*
4. *პედსაბჭოს ოქმები;*
5. *დანართი 6- სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია*
6. *დანართი 7 - ერთწლიანი სამოქმედო გეგმა.*
7. *დანართი 3--II სტანდარტი*
8. *სტრატეგიული განვითარების გეგმა (2023-2030წწ)*
9. *2023-2024 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა.*
10. *N3-სკოლის საჭიროებების კვლევის ანალიზი*
11. *N6-სკოლის ვებ-გვერდისა და სოციალური ქსელის ლინკი*
12. *N23 - ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა*
13. *N28-სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია.*
14. *სამეურვეო საბჭოს ოქმები*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2 კურიკულუმის განხორციელება

2.2.1 სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1.სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2.ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3.სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4.სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5.სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის განხილვისას, ასევე მასწავლებლებთან გასაუბრებისას დასტურდება მოსწავლეთა აქტიური ჩართულობის შესაძლებლობა სასწავლო პროცესში. მასწავლებლები გეგმავენ კომპლექსური ბუნების დავალებებით მუშაობას,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

რაც გულისხმობს იმას, რომ მოსწავლეს ეძლევა საშუალება, სასწავლო პროცესში გამოავლინოს ფიქრის, ძიების, მსჯელობის, აღმოჩენა-მიგნების, ჰიპოთეზების ჩამოყალიბების უნარები. მოსწავლეს უვითარდება თანამშრომლობითი სწავლის კულტურა, თავადაც გასცემს და იღებს უკუკავშირს თანატოლებისთვის, ინაწილებს საერთო პასუხისმგებლობას. კომპლექსური დავალების შესრულების ფარგლებში, მოსწავლეებს მოეთხოვებათ სხვადასხვა ტიპის პროდუქტის შექმნა, როგორიცაა, მაგალითად, პრეზენტაციის წარდგენა, ესეს დაწერა, ტურისტული ბუკლეტის დამზადება და სხვა. ასეთი ტიპის კომპლექსური დავალებები ამაღლებს მოსწავლეების მოტივაციას და ხელს შეუწყობს მათი შემოქმედებითი უნარების გააქტიურებას.კურიკულუმის სასწავლო თემებისა და კომპლექსური დავალების პირობების გაანალიზების საფუძველზე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სკოლა შეძლებს მოსწავლეთა აქტიურად ჩართვას სასწავლო პროცესში, **ექსპერტთა ჯგუფმა ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი შეაფასა შესაბამისად.**

2. **ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;**

სკოლის მიერ შემუშავებულ საშუალო საფეხურის კურიკულუმებში, სასწავლო თემები მოსწავლეებისთვის ნაცნობ შინაარსებსა და კონტექსტებთან არის დაკავშირებული, რომელიც მოსწავლეს წინარე ცოდნის საფუძველზე ახლის აგებაში დაეხმარება. კურიკულუმში ასევე გათვალისწინებულია მოსწავლის ასაკობრივი თავისებურებები, შინაგანი მზაობა და ინტერესები, რომელიც მოსწავლეს შესაძლებლობას მისცემს ახალი ცოდნა მანამდე არსებულ, საკუთარ გამოცდილებას დაუკავშიროს.

კურიკულუმი კომპლექსური დავალების სასწავლო პროცესში გამოყენებას ითვალისწინებს. კონსტრუქტივიზმის შემდეგი პრინციპი - წინარე ცოდნაზე დაფუძნებით ახალი ცოდნის აგება უზრუნველყოფილია, რადგან კომპლექსური დავალების ბუნება თავისთავად ითხოვს მოსწავლისგან წინარე ცოდნას, ყოველი მომდევნო ნაბიჯის წარმართვა წინა ნაბიჯების დროს მიღებულ ცოდნას უკავშირდება. ამ ეტაპზე, ბუნებრივია, არ ჩანს საეტაპო აქტივობები, თუმცა ვიზიტის დროს, მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესი დაგეგმილია ისე, რომ მოსწავლემ ახალი ცოდნა დააშენოს უკვე ნაცნობ კონტექსტზე, ადრე მიღებულ ცოდნასა და გამოცდილებაზე. წინარე ცოდნის გასააქტიურებლად მოსწავლეებს უსვამენ საკვანძო შეკითხვებს და იყენებენ სხვადასხვა აქტივობებს. მასწავლებელთა გამოცდილება ცხადყოფს, რომ მათ აქვთ უნარი, ფასილიტაცია გაუწიონ მოსწავლეს ცოდნის აგების პროცესში. **ექსპერტთა ჯგუფმა ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი შეაფასა შესაბამისად.**

3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;

კურიკულუმებში შეთავაზებულია ისეთი აქტივობები და დავალებები, რომლებმაც მოსწავლეები უნდა დააფიქროს სწავლის პროცესზე და წაახალისოს მეტაკოგნიცია. ეს უზრუნველყოფს, რომ სწავლის პროცესში აქცენტი გაკეთდეს სწავლის სწავლაზე. კომპლექსური დავალებების მრავლფეროვანი არჩევანი საშუალებას იძლევა, დავალების შესრულების სხვადასხვა ეტაპებზე, მოსწავლეებმა განსხვავებული მეთოდი და სტრატეგია გამოიყენონ და თვითონ დაგეგმონ სასწავლო პროცესი. აქცენტები კეთდება ისეთი რესურსების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გამოყენებაზე, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეებში განსხვავებული უნარ ჩვევების გამომუშავებას. სასკოლო კურიკულუმში, სასწავლო პროცესი დაფუძნებულია კომპლექსური ტიპის დავალებებზე, რომელიც თავისი არსიდან გამომდინარე, უზრუნველყოფს სწავლის სწავლას. კომპლექსური დავალების მოსამზადებელი აქტივობები და მისი წარდგენის ეტაპი გულისხმობს იმის გაანალიზებას მოსწავლის მხრიდან, თუ რა სტრატეგიები გამოიყენა დავალების მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. მოსწავლეები პასუხობენ საკვანძო შეკითხვებს, რომელიც ხელს უწყობს მათ გააკეთონ რეფლექსია დავალებაზე მუშაობის პროცესში. ვიზიტის დროს, მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მოსწავლეები ავსებენ თვითშეფასების კითხვარებს, რითაც ხელს უწყობენ მეტაკოგნიტური უნარების განვითარებას. **ექსპერტთა ჯგუფმა ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი შეაფასა შესაბამისად.**

4. **სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);**
მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში, სასწავლო პროცესი ორიენტიებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე, რაც მკაფიოდ გამოჩნდა პედაგოგებთან საუბრისას და რაზეც მეტყველებს შექმნილი სასკოლო კურიკულუმები. სასწავლო პროცესში მიღებული ცოდნა იძლევა მისი რეალიზების საშუალებას. მოსწავლებს უმუშავდებათ პრაქტიკულ უნარი, თუ როგორ გამოიყენონ ცოდნა, გადაწყვიტონ ესა თუ ის პრობლემა და მოახდინონ ცოდნის ტრანსფერი. საშუალო საფეხურის კურიკულუმებში შეტანილი სასწავლო საკითხები, კონტექსტმაგალითები და კომპლექსური ბუნების დავალების პირობები უზრუნველყოფს სამივე კატეგორიის ცოდნის დამუშავებას. კურიკულუმის კონკრეტული თემის ფარგლებში გააქტიურებული, საგნობრივი საკითხების ფარგლებში დაგეგმილი, კომპლექსური ბუნების დავალებები ძირითადად მკაფიოდ აჩვენებს, თუ როგორ გამოიყენებენ მოსწავლეები დეკლარატიულ, პროცედურულ და პირობისეულ ცოდნას მუშაობის პროცესში. **ექსპერტთა ჯგუფმა ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი შეაფასა შესაბამისად.**

5. **სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.**
მოსწავლის ცოდნათა დაკავშირებისა და ორგანიზების თვალსაზრისით, საშუალო საფეხურის კურიკულუმებში სასწავლო საკითხებს გააჩნიათ ურთიერთმიმართებები. თემები ისე არის დაგეგმილი, რომ იკვეთება ცოდნის გამთლიანებისთვის საჭირო ლოგიკური კავშირები. საკითხები, ქვეცნება და ქვესაკითხი კი უკავშირდება სამიზნე ცნებას. სასწავლო კურიკულუმის გარდა, მოსწავლეთა ცოდნათა ურთიერთდაკავშირებისა და ორგანიზებისთვის მოაზრებულია კომპლექსური ბუნების დავალებები, რომლებიც ითვალისწინებს გარკვეული პროდუქტის შექმნას, მაგალითად, პრეზენტაცია, ესსე, ტურისტული ბუკლეტი და სხვა. ასეთი ტიპის კომპლექსური დავალებები მოსწავლეს ცოდნათა ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებაში დაეხმარება. მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზებას და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ურთიერთდაკავშირებას ასევე უზრუნველყოფს განხორციელებული სასწავლო პროექტები, რომლებშიც გათვალისწინებულია საგანთა შორის ინტეგრირება. **ექსპერტთა ჯგუფმა ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი შეაფასა შესაბამისად.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *საშუალო საფეხურის კურიკულუმები;*
- *შეფასების რუბრიკები*
- *მოსწავლის ნამუშევრები*
- *დირექტორის მოადგილის ანგარიში*
- *სასკოლო სასწავლო გეგმა*
- *სასკოლო კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია*

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1.სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2.საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3.შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4.შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5.სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6.სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. საშუალო საფეხურზე, სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და მასწავლებლებთან გასაუბრებით დატურდება, რომ სკოლა ახორციელებს ყველა იმ ვალდებულებას, რაც მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმით არის განსაზღვრული. კერძოდ, სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით. სკოლის ყველა მასწავლებელი მაქსიმალურად ცდილობს შედეგებზე ორიენტირებას, ამუშავებენ სამიზნე ცნებებს ნაცნობ კონტექსტზე დაფუძნებით, მკვირდი წარმოდგენების რეალიზების გზით, რასაც აზუსტებს წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები და კომპლექსური დავალებების რეფლექსიები, რომლებიც მიერმართება გრძელვადიან მიზნებს . შემოქმედებითი პროდუქტის შექმნით, მოსწავლეს ეძლევა ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით საკუთარი ცოდნის დადასტურების საშუალება. **ექსპერტთა ჯგუფმა ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი შეაფასა შესაბამისად.**

2. წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ირკვევა , რომ საშუალო საფეხურის მასწავლებლები სასწავლო პროცესში ითვალისწინებენ მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო - სოციალურ განვითარებას. სკოლა არა მხოლოდ ფორმალური, არამედ არაფორმალური აქტივობებითაც ცდილობს მოსწავლეთა პიროვნულ და ფსიქო -სოციალურ განვითარებაზე. ეხმარებიან მოსწავლეებს მათი ძლიერიდა სუსტი მხარეების გამოვლინებაში, ერთმანეთში პოზიტიური ურთიერთობის დამყარებაში, ემოციების მართვაში, რისთვისაც იყენებენ მრავალფეროვან სტრატეგიებს. ახორციელებენ მრავალფეროვან პროექტებს ყველა კათედრაზე, ასევე მუშაობენ ისეთ თემებზე, როგორებიცა, ბულინგი, ემპათია, ჯანსაღი ცხოვრება, მომავალი პროფესია და ა.შ. იგეგმება და ხორციელდება გასვლითი ღონისძიებები. წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების იდეები იმის მაჩვენებელია, რომ მასწავლებლები ხელს უწყობენ მოსწავლის მრავალმხრივ განვითარებას. ახორციელებენ კომპლექსური ტიპის დავალებებს , რომლის ფარგლებშც ქმნიან პროდუქტს და მოსწავლეებს უწევთ ერთმანეთთან თანამშრომლობა , უვითარდებათ კომინიკაციის უნარ -ჩვევები. **ექსპერტთა ჯგუფმა ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი შეაფასა შესაბამისად.**

3. წარმოდგენილი კურიკულუმები მორგებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე ,მის მრავალმხრივ განვითარებაზე. შესაბამისად, შეფასებაც ჰოლისტურია, რისთვისაც მასწავლებლები გამოიყენებენ შესაბამის რუბრიკებს. საშუალო საფეხურის მასწავლებლები იყენებენ როგორც განმავითარებელი, ასევე განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებით..შეფასება ფოკუსირებულია ცოდნის აგებასა და გამოყენებაზე, შეფასება ხელს უწყობს მოსწავლეების აქტიურ ჩართულობას შეფასების პროცესში, მასწავლებლებს გააზრებული აქვთ რომ ეს არის მრავალმხრივი პროცესი, ისინი ითვალისწინებენ ეროვნული სასწავლო გეგმით შემოთავაზებულ შეფასების პრინციპებს. მასწავლებლები იზიარებენ შეფასების სისტემის მნიშვნელობას . **ექსპერტთა ჯგუფმა ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი შეაფასა შესაბამისად.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

---

4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი . სასწავლო წლის დასაწყისში მასწავლებლები მოსწავლეების საჭიროებების და მიზნების მიხედვით იმუშავებენ შეფასების ინსტრუმენტებს. შეფასების კრიტერიუმებს აცნობენ მოსწავლეებს. მათ იციან, რომ ეფასდებიან მხოლოდ იმ საკითხში, რისი შეფასებაც აქვს მასწავლებელს განზრახული. შეფასება არის გამჭვირვალე , მოსწავლეებმა იციან თუ როგორ შეფასდება მათი შრომა. იციან რა კრიტერიუმები უნდა დააკმაყოფილოს მათმა პასუხმა თუ ნაშრომმა. შეფასების რუბრიკებს ასევე აცნობენ მშობლებსაც. დაწყებითი კლასების მასწავლებლებს აქვთ მზაობა შეიმუშაონ სხვადასხვა ტიპის შეფასების რუბრიკები. ზოგიეთ საგანში შეფასების სქემა აქვთ რვეულის უკან ჩაკრული და თავად ხვდებიან თუ რა გააკეთეს კარგად და რა აქვთ გასაუმჯობესებელი, ასევე ერთ -ერთ კათედრაზე მოსწავლეებს შეფასებისთვის აქვთ ონლაინ სისიტემა და დღის ბოლოს სახლიდან უგზავნიან მასწავლებელს თვითშეფასებას. **ექსპერტთა ჯგუფმა ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი შეაფასა შესაბამისად.**

5. სკოლაში დანერგილია ვერიფიკაციის მექანიზმი, რაც სასწავლო პროცესის განუყოფელი ნაწილია, რომლის მეშვეობითაც ირკვევა, რამდენად ასრულებს შეფასების სისტემა მოსწავლის მხარდაჭერის ფუნქციას, რამდენად წარმოადგენს ის სწვლა-სწვალების პროცესის საყრდენს. როგორც წესი მტკიცებულებაზე დაფუძნებული ვერიფიკაცია მოსწავლეთა ჩართულობით ხორციელდება. სკოლის ვერიფიკაციის მექანიზმით რეგულირება შემდეგი საკითხები: შეფასების დიზაინი, შეფასების განმახორციელებელი რგოლი, შერჩევის პრინციპები, ვერიფიკაციის პროცესის აღწერა, შედეგები, შედეგების ასახვა და სამოქმედო გეგმა. აღნიშნული მექანიზმი შესაძლოა გაწერილი იყოს შეფასების სისტემის რეგულაციაში, ან არსებობდეს დამოუკიდებლად. სკოლა სასწავლო წლის დასაწყისში და ბოლოს ატარებს სადიაგნოსტიკო ტესტირებას, რომლისთვისაც შემდეგ შესაბამისი პასუხებით აკეთებს ანალიზს, ადგენენ სქემებს, რომელი საკითხი გაუჭირდათ მოსწავლეებს, რომელი გააკეთეს ყველაზე კარგად. რომელ საგანში იყო ყველაზე კარგი შედეგი და შესაბამისად ისახავენ გამოსწორების გზებს. საშუალო საფეხურზე, 2 საგანში, რომლებშიც ყველაზე დაბალი რეიტინგი ჰქონდა მოსწავლეებს სკოლამ დაგეგმა მონიტორინგის ფარგლებში წლიური გამოცდები, რომლებიც ნიშანზე არ აისახებოდა. **ექსპერტთა ჯგუფმა ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი შეაფასა შესაბამისად.**

6. სკოლა იცავს დოკუმენტის წარმოებასთან და შენახვასთან დაკავშირებული რეგულაციებს. სკოლაში ელექტრონული ჟურნალის მეშვეობით ხდება მოსწავლეთა შედეგების აღრიცხვა. სკოლა იცავს მოსწავლეთა პირადი საქმეების და მათი შეფასებების შენახვის წესს, რომელიც განსაზღვრულია საქართველოს კანონმდებლობით. ამასთანავე, სკოლა განსაზღვრავს მოსწავლეთა შემაჯამებელი სამუშაოების, პორტფოლიოების, პროექტების შენახვის წესსა და ფორმას, რომელიც შეიძლება იყოს როგორც ელექტრონული ასევე მატერიალური. სკოლა ინახავს ამ დოკუმენტაციას 3 წლის ვადით. **ექსპერტთა ჯგუფმა ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი შეაფასა შესაბამისად.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. *კურიკულუმის ჩარჩოები*
2. *შეფასების სქემები;*
3. *ვერიფიკაციის მექანიზმი;*
4. *მასწავლებლის პორთფოლიო;*
5. *კომპლექსური დავალების რეფლექსია;*
6. *კათედრის ოქმი;*

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ შემუშავებულ სასკოლო სასწავლო გეგმაში, გაწერილი საკითხები მისიისა და ხედვის შესახებ სასწავლო პროცესის ორგანიზების, შეფასების სისტემის, საგნობრივი კათედრების ფუნქციონირებისა და სადამრიგებლო პროგრამების შესახებ მიმართულია სკოლაში მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემოს შექმნისაკენ. რამდენად გეგმავს და წარმართავს სკოლა მოსწავლეზე ორიენტირებულ სასწავლო პროცესს, ასევე, სკოლის მიერ შემუშავებული საგნობრივი პროგრამები, რომლებიც აძლევს საშუალებას მოსწავლეებს პიროვნული ზრდისთვის, მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების წესები, რომელიც ორიენტირებულია მოსწავლის განვითარებაზე და სასწავლო პროცესის მხარდამჭერი და გაუმჯობესების გზის მაჩვენებელია.სკოლის მიერ წარმოდგენილ სტრატეგიული განვითარების გეგმაშია აღნიშნული, რომ სკოლა უზრუნველყოფს სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაციის შემუშავებას და განხორციელებას. არსებულზე დაყრდნობით, მომავალ წელს გაუმჯობესდება სასწავლო პროცესში მხარდაჭერა და მიმღებლობა,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კათედრის წევრებს შორის თანამშრომლობითი ურთიერთობები, ასევე მხარდამჭერი და პოზიტიური გარემოს დასტურია.ყველივე ეს იძლევა იმის თქმის საშუალებას, რომ სასწავლო პროცესში შექმნილია პოზიტიური გარემო, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლის ფუნქციურ-კომპონენტური უნარების გააქტიურებას. (კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, კომუნიკაცია, კოლაბორაცია, მოქალაქეობა, პასუხისმგებლობა, ეთიკა). **ექსპერტთა ჯგუფმა ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი შეაფასა შესაბამისად.**

2. სკოლის მიერ მოწოდებული კურიკულუმებიდან, კომპლექსური დავალების ნიმუშებიდან, სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტში აღწერილი სკოლის ფილოსოფიის ნაწილიდან გამომდინარე, ნათლად ჩანს, რომ სასწავლო პროცესში მასწავლებლები ორიენტირებული არიან მოსწავლის წარმატებასა და პროგრესზე. სასწავლო წლის დასაწყისში იქმნება ერთწლიანი სამოქმედო გეგმა. მასწავლებლები ხელს უწყობენ მოსწავლეებს იმაში, რომ განავითარონ თავიანთი ძლიერი მხარეები, ყურადღება გაამახვილონ სუსტ მხარეებზე. სადაც მკაფიოდ არის გაწერილი სწავლა-სწავლების ხუთივე კონსტრუქტივისტული პრინციპი, რომლებსაც დაეფუძნება სასწავლო პროცესი, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი მომავალ სასწავლო წელს წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად.
სკოლას შემუშავებული სამივე საფეხურზე საგნობრივი კურიკულუმები და დაგეგმილი აქვს სასწავლო პროცესი შუალედური სასწავლო მიზნებით, შესაბამისად კომპლექსური დავალებებით სწავლება. პედაგოგს საშუალებას აძლევს უზურნველყოს ყველა მოსწავლის ჩართვა სასწავლო პროცესში, მოსწავლეებში თანამშრომლობითი უნარების განვითარება და შექმნას ეფექტური გარემო მოსწვალეთა შესაძლებლობების რეალიზებისთვის. **ექსპერტთა ჯგუფმა ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი შეაფასა შესაბამისად.**

3. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ნათლად ჩანს, რომ სასწავლო პროცესი ნამდვილად ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას. კურიკულუმების შემუშავების მეთოდოლოგია, მასწავლებელთა ურთიერთდასწრების ფორმები, მშობლების ჩართულობა სასწავლო პროცესში, მათი რეკომენდაციები ცხადყოფს სასკოლო საზოგადოების თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას. გასაუბრების დროსაც მკაფიოდ იგრძნობოდა სკოლის საზოგადოების წევრებს შორის შემოქმედებითი და თანამშრომლობითი გარემო. სკოლა უზრუნველყოფს ეფექტურად დაგეგმოს თანამშრომლობა სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის (მოსწავლე, მშობელი, მასწავლებელი, სკოლის დირექცია, ადმინისტრაცია). **ექსპერტთა ჯგუფმა ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი შეაფასა შესაბამისად.**

4. პედაგოგებთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ შექმნილია სკოლაში პოზიტიური გარემო სკოლისა და კლასის დონეზე, შესაბამისად სასკოლო საზოგადოების წევრები ინტენსიურად არიან ჩართული სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში, გეგმავენ და ახორციელებენ სხვადასხვა პროექტებსა და არაფორმალური განათლების მიმართულებით დაგეგმილ აქტივობებს, რომელიც ასახული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

და გაწერილი აქვთ ერთ წლიან სამოქმედო გეგმაში. ასევე სკოლის შინაგანაწესში აღნიშნულია, რომ ხელმძღვანელობის დამოკიდებულება სასწავლო პროცესისა და პედკოლექტივის მიმართ უზრუნველყოფს პოზიტიური და მეგობრული გარემოს შექმნას როგორც სკოლის შიგნით, ისე კლასის დონეზე. მასწავლებლებთან ინტერვიუების დროს აღინიშნა, რომ მოსწავლის ნებისმიერი მოსაზრება, იდეა, შეხედულება მისაღებია და მას აქვს შესაძლებლობა საკუთარი აზრის ღიად, თავისუფლად გამოხატვისა, რაც მნიშვნელოვნად უწყობს ხელს პოზიტიური საკლასო თუ სასკოლო კლიმატის შექმნას. **ექსპერტთა ჯგუფმა ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი შეაფასა შესაბამისად.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სსიპ -თამარ მეფის სახელობის წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ გეგუთის N1 საჯარო სკოლის 2023-24 სასწ/წლის სამოქმედო გეგმა ;*
- *კათედრის ოქმები;*
- *პედსაბჭოს ოქმები;*
- *სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია*
- *ერთწლიანი სამოქმედო გეგმა.*
- *სტრატეგიული განვითარების გეგმა (2023-2030წწ)*
- *2023-2024 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა.*
- *N3-სკოლის საჭიროებების კვლევის ანალიზი*
- *N28-სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია.*
- *საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1.მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2.მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3.მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად.

სკოლას წარმოდგენილი აქვს ,,სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია", რომლის მიხედვითაც, სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება წარიმართება კათედრების წევრებისა და დირექციის აქტიურ თანამშრომლობით. მონიტორინგი და შეფასება ითვალისწინებს რამდენიმე მიმართულებას, როგორც მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირებას ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით, ისე სკოლის ბაზაზე მასწავლებლის პროფესიულ განვითარებას, სადაც იქნება შესაძლებლობა პედაგოგიური პრაქტიკასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირება და სკოლის ინსტიტუციური განვითარებას, სადაც იქნება საშუალება სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში თანამშრომლობითი პროცესების განვითარების და გაძლიერების.

2023-2024 სასწავლო წლისთვის სკოლის მიერ შერჩეულ იქნა მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმის ფარგლებში წარმოდგენილი შეფასების **მეორე მოდელი.** სასკოლო საზოგადოების ინტერვიურების პროცესში მკაფიოდ გამოიკვეთა, რომ ასევე იგეგმება კათედრებზე მონიტორნიგის სისტემის გაწერა, მოხდება დიაგნოსტიკური შეფასებების, მათ ანალიზისა და შემაჯამებლის ანალიზზე დაკვირვებით მოსწავლეთა საჭიროებების გამოკვეთა, მოხდებამ ონაცემების დამუშავება,საერთო სურათის გამპოკვეთა და პროცესში მოსწავლეთა მონაცემების რეფლექსია. მოცემული შედეგების საფუძველზე გაიცემა რჩევებიდა რეკომენდაციები ,რომელიც გაზიარებული იქნება ერთი კათედრიდან სხვა კათედრებისთვის, რაც საბოლოოდ ასახვას პოვებს სკოლის დონეზე. საჭიროებიდან გამომდინარე პროცესში მაქსიმალურად მოხდება - მშობელთა ჩართულობა, რაც საბოლოოდ დადებითად აკმულირდება მოსწავლის აკადემიურ,სოციალური და ინტერკულტურულ დონეზე. **ექსპერტთა ჯგუფმა ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი შეაფასა შესაბამისად.**

2.მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;

სკოლის მიერ წარმოდგენილი განმავითარებელი შეფასების რუბრიკები არის იმის მტკიცებულება, რომ შეფასება ემსახურება მოსწავლეთა მხარდაჭერას და დახმარებას. სასკოლო საზოგადეოებას,მასწავლებლებს გათვითცნობიერებული აქვთ, რომ ყველა მოსწავლის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

წარმატებაზე დაკვირვებისთვის აუცილებელია კარგად იცნობდენ მოსწავლეთა ემოციურ თუ სოციალურ მდგომარეობას,მოსწავლეთა ფსიქოემოციურ " პორტრეტს",ამიტომ სასკოლო საზოგადოებაში ჩართული ყველა მასწავლებლები მჭიდოდ თანამშრომლობენ ჯერ კადრების დონეზე,შემდგომ სკოლის დონეზე. მასწავლებლები მჭიდროდ თანამშრომლობენ ასევე კლასის დამრგიგებლებთან. აქტიურად მიმდინარეობს სასკოლო საზოგადოების მხარდაჭერა დირექციის მხრიდან, რასაც მოწმობს მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის ფარგლებში სკოლის დირექტორის ბრძანებით შექმნილი ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი,რომლიც აკვირდება მასწავლებლის საქმიანობას (მათ შორის, საგაკვეთილო პროცესს), აფასებს და აძლევს განმავითარებელ უკუკავშირს უკეთესი პროგრესის მისაღებად. **ექსპერტთა ჯგუფმა ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი შეაფასა შესაბამისად.**

3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრების პროცესში გამოიკვეთა, რომ პედაგოგები თვლიან მონიტორინგი და შეფასება უნდა ემსახურებოდეს წარმოქმნილი პრობლემების გადაჭრის გზების ძიებას და შესაბამისი ინტერვენციების /ქმედებების დაგეგმას,რაც პრობლების გაუმჯობესების ერთ-ერთი რელევანტური გზაა. იგივე შეგვიძლია დავასკვნათ სკოლის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების კითხვარიდან. სასწავლო პროცესის მონიტორინგი ხორციელდება სკოლის დირექტორისა და მოადგილის მიერ საგაკვეთილო პროცესზე დასწრებით/დაკვირვებით, რა დროსაც დგინდება მასწავლებლების გამოწვევები/საჭიროებები და ისახება პრობლემის გადაჭრის გზები. მასწავლებლები იზიარებენ და ითვალისწინებენ ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის განმავითარებელ შეფასებას,მიცემულ უკუკავშირს, ასევე კათედრის წევრთა ურთიერთდასწრების შედეგად გაზიარებულ გამოცდილებას.საბოლოოდ ეს ყველაფერი ერთიანობაში ქმნის სასკოლო კულტურის გაუმჯობესებას და სწავლა-სწავლების ეფექტინობას,რაც მესამე თაობის ესგ-ის მოთხოვნებს პასუხობს. **ექსპერტთა ჯგუფმა ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი შეაფასა შესაბამისად.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. *სასკოლო კურიკულუმები*
2. *შეფასების რუბრიკები*
3. *მოსწავლის ნამუშევრები*
4. *დირექტორის მოადგილის ანგარიში*
5. *სასკოლო სასწავლო გეგმა*
6. *სასკოლო კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1.შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2.შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3.შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4.შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას ინდიკატორის მტკიცებულებად წარმოდგენილი აქვს სასკოლო კურიკულუმები, შეფასების რუბრიკები, მოსწავლეთა ნამუშევრები, დირექტორის მოადგილის ანგარიში. სკოლას გაცნობიერებული აქვს, რომ სასწავლო პროცესის შეფასება ჰოლისტური ხასიათის უნდა იყოს, რაც გულისხმობს ინტეგრირებულ ერთიან სისტემურ მიდგომას და ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს. კურიკულუმების ჩარჩოებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალების პირობები, შეფასების რუბრიკები, საგნობრივი და ინტეგრირებული პროექტები, დიაგნოსტიკური ტესტები, მასწავლებლების მიერ ინტერვიუს დროს მოთხრობილი ფაქტები მოსწავლეთა სხვადასხვა აქტივობაში ჩართულობის შესახებ (საკლუბო მუშაობა, სასწავლო პროექტები), იძლევა საშუალებას დავასკვნათ, რომ მოსწავლეთა შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს. სკოლას აქვს საკუთარი შეფასების სისტემა: გამოიყენება განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასებები, რომლებშიც მოცემულია, თუ როგორ მუშავდება სამიზნე ცნებები და მათი მკვიდრი წარმოდგენები. სკოლა აგრეთვე იყენებს განმავითარებელი შეფასებისას იყენებს სოლო-ტაქსონომიას. შეფასებისას სკოლა აგრეთვე ეყრდნობა კომპლექსური, შემაჯამებელი და სადიაგნოსტიკო სამუშაოების შედეგებსა და სასწავლო პროექტებს. მომავალ წელს სკოლა გადადის შეფასების მეორე მოდელზე და შერჩეული აქვს სადიაგნოსტიკო წერის მეორე ინსტრუმენტი. **ექსპერტთა ჯგუფმა ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი შეაფასა შესაბამისად.**

2. სკოლას ინდიკატორის მტკიცებულებად წარმოდგენილი აქვს სასკოლო კურიკულუმები, დირექტორის მოადგილის ანგარიში და სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტი. მოსწავლეზე დაკვირვება და მისი შეფასება მიმდინარეობს სხვადასხვა კონტექსტების გათვალისწინებით. მაგალითად, მასწავლებლები დიდ ყურადღებას აქცევენ მოსწავლის ფსიქო-სოციალური მდგომარეობას და საცხოვრებელ გარემოს. ამის შესახებ ისინი ინფორმაციას იღებენ მშობლებისგან, თანატოლებისგან, დამრიგებლებისგან და კოლეგებისგან. აღნიშნულ ინფორმაციას ისინი იყენებენ სასკოლო კურიკულუმის შესაქმნელად, სადაც გაწერილი კომპლექსური დავალებები მორგებულია მოსწავლეთა შესაძლებლობებსა და ინტერესებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგად დადგინდა, რომ სასკოლო საზოგადოებისგან მიღებული ინფორმაცია აგრეთვე აქტიურად გამოიყენება მოსწავლეთა არაფორმალურ აქტივობებში ჩასართავად. აღნიშნულ ღონისძიებებში ჩართვა დადებით გავლენას ახდენს მოსწავლის პროდუქტიულობაზე. შესაბამისად, მასწავლებლები ცდილობენ, განსაზღვრონ, რა ფაქტორები ეხმარება ან აფერხებს საგაკვეთილო პროცესში მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას. გარდა ამისა, სკოლაში შეფასება ხორციელდება კომპლექსური და შემაჯამებელი დავალებების, სადიაგნოსტიკო წერების, საკლასო და საშინაო დავალებების შედეგების გათვალისწინებით. **ექსპერტთა ჯგუფმა ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი შეაფასა შესაბამისად.**

3. სკოლას ინდიკატორის მტკიცებულებებად წარმოდგენილი აქვს სასკოლო კურიკულუმები, დირექტორის მოადგილის ანგარიში და სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტი. მასწავლებლებთან ინტერვიუებისას აღინიშნა, რომ სასწავლო პროცესში შეფასებისას ეყრდნობიან არა მარტო მოსწავლეთა აკადემიურ მიღწევებს, არამედ მათ შესახებ მოპოვებულ სხვა ინფორმაციებსაც, მოსწავლე არ ფასდება მხოლოდ ერთი მიმართულებით, არამედ კომპლექსურად. მოსწავლის შეფასებისას სკოლა ითვალისწინებს ყველა იმ კონტექსტს, რომელმაც შეიძლება გავლენა იქონიოს მოსწავლის სასკოლო ცხოვრებაში ჩართულობაზე. შესაბამისად, სკოლა ცდილობს განსაზღვროს რა ფაქტორები განაპირობებს მოსწავლის აკადემიურ მოსწრებას და მის აქტიურ ჩართულობას. ამისათვის სკოლა შეფასების მრავალფეროვან წყაროს იყენებს. შეფასება ხორციელდება კომპლექსური და შემაჯამებელი დავალებების, სადიაგნოსტიკო წერების, სასწავლო პროექტების, საკლასო და საშინაო დავალებების შედეგების გათვალისწინებით. მასწავლებლები შეფასებისას ითვალისწინებენ მოსწავლის სოციალურ და ფსიქოემოციურ მდგომარეობას, რომლის შესახებაც ისინი ინფორმაციას იღებენ კლასის დამრიგებლისა და საგნის მასწავლებლებისგან. სკოლა მოსწავლის შეფასებისას იყენებს რაოდენობრივ და თვისებრივ მეთოდებს, რითაც მოსწავლის შესაძლებლობების შესახებ ჰოლისტური სურათი იქმნება. **ექსპერტთა ჯგუფმა ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი შეაფასა შესაბამისად.**

4. სასკოლო სასწავლო გეგმაში მოცემულია მოსწავლეთა შეფასების პრინციპები, რომლებიც ეროვნული სასწავლო გეგმიდან გამომდინარეობს. წარმოდგენილი დოკუმენტაციით შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით, კათედრები გეგმავენ კომპლექსური დავალებებით სწავლებას, რაც იძლევა მრავალფეროვანი კონტექსტის გათვალისწინების საშუალებას. საგაკვეთილო პროცესი ხორციელდება სხვადასხვა სტრატეგიების გამოყენებით: ჯგუფური მუშაობა, წყვილებში მუშაობა, ინდივიდუალური, პრეზენტაცია. შეფასებაც ხორციელდება შესაბამისი რუბრიკებით. მოსწავლის შეფასებისას და სასკოლო კურიკულუმის შექმნისას აგრეთვე გათვალისწინებულია როგორც მოსწავლის გარემომცველი მიკროსისტემა, აგრეთვე მეზო, ეგზო და მაკროგარემო, რომელშიც ის ცხოვრობს. **ექსპერტთა ჯგუფმა ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი შეაფასა შესაბამისად.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სასკოლო კურიკულუმები*
- *შეფასების რუბრიკები*
- *მოსწავლის ნამუშევრები*
- *დირექტორის მოადგილის ანგარიში*
- *სასკოლო სასწავლო გეგმა*
- *სასკოლო კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1.იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2.კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
პედაგოგთა ინტერვიურების პროცედიდან და სკოლის თვითშეფასების კითხვარიდან შეიძლება დავასკვნათ კურიკულუმი გადაიხედება,მიხდება მისი გადასინჯვა საგნობრივ კათედრებზე. საჭიროებიდან გამომდინარე, შეიქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო პაკეტი; კათედრის სამუშაო შეხვედრებზე, მასწავლებლები განიხილავენ მანამდე შექმნილი კურიკულუმს და შეფასების კრიტერიუმებს, ერთმანეთს უზიარებენ გამოცდილებას და გადამუშავების საფუძველზე შეეცდებიან შექმნან კურიკულუმის საუკეთესო მოდელები ,სადაც გათვალიწინებული იქნება სკოლის "ავტონომიური ბუნება" და ხედვა. **ექსპერტთა ჯგუფმა ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი შეაფასა შესაბამისად.**

2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.
საგნობრივ კათედრაზე მასწავლებლებს შემუშავებული აქვთ კომპლექსური დავალებების იდეები,რომელიც პასუხობს მესამე თაობის ესგ-ის მოთხოვნებს.საგნობრივ მეთოდოლოგიურ ორიენტირებს. სასკოლო საზოგადოების კათედრების წევრმა პედაგოგოებმა აღნიშნეს კურიკულუმების განხილვა მომავალშიც გაგრძელდება, ჯერ კატედრის დონეზე,შემდეგ სკოლის დონეზეც. ათედრები გაითვალისწინებენ წინარე გამოცდილებას, ასევე მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს. **ექსპერტთა ჯგუფმა ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი შეაფასა შესაბამისად.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. *სსიპ -თამარ მეფის სახელობის წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ გეგუთის N1 საჯარო სკოლის 2023-24 სასწ/წლის სამოქმედო გეგმა ;*
2. *კათედრის ოქმები;*
3. *პედსაბჭოს ოქმები;*
4. *სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია*
5. *ერთწლიანი სამოქმედო გეგმა.*
6. *სტრატეგიული განვითარების გეგმა (2023-2030წწ)*
7. *2023-2024 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა.*
8. *N3-სკოლის საჭიროებების კვლევის ანალიზი*
9. *N28-სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია.*
10. *საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები*

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---